

ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნათია გურამის ასული ქათამაძე

**პრესუპოზიციის პრაგმატული და სემანტიკური
მახასიათებლები**
(ინგლისური ენის მასალაზე)

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

10-02-04 –რომანულ-გერმანიკული ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი –
მადონა მეგრელიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

შესავალი-----4

თავი I. სემანტიკა, როგორც კომუნიკაციის ცენტრალური კომპონენტი-----8

§1. კომუნიკაცია და ინფორმაცია-----8

§2. ნომინალიზმი, რეალიზმი და კონცეპტუალიზმი-----20

§3. სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა -----35

§4. რეფერენსი, კონოტაცია და დენოტაცია-----39

§5. მნიშვნელობათა ტიპები ენაში-----44

თავი II. პრესუპოზიციის თეორიის ისტორიული წინამძღვრები და მისი განვითარების ზოგიერთი მიმართულებები. კონტექსტი და პრესუპოზიცია-----58

§1. პრესუპოზიციის თეორიის ზოგიერთი საკითხი ინგლისურ ენაში-----58

§2. პრესუპოზიციის თეორიის კვლევის ზოგიერთი მიმართულებები ინგლისურ ენაში-----64

§3. პრესუპოზიციის ანულირებადობა-----68

§4. პრესუპოზიციის კომპოზიციური პრობლემა-----70

§5. ჭეშმარიტების პრობლემა-----72

§6. სამეტყველო აქტების თეორია-----74

§7. გამონათქვამი და ქვეტექსტი-----80

§8. პრესუპოზიციის, როგორც ლოგიკური კატეგორიის კონტექსტური ანალიზი	84
---	----

თავი III. პრესუპოზიციის პრაგმატული და სემანტიკური მახასიათებლები	93
--	----

§1. პრესუპოზიციის პრაგმატული და ლოგიკური თეორიები	94
---	----

§2. პრესუპოზიციის, პროპოზიციისა და გარდუაღი შედეგის შეპირისპირებითი ანალიზი	96
---	----

§3. პრესუპოზიცია, როგორც გამონათქვამის ნომინაციურ ასპექტთან დაკავშირებული სისტემა	101
---	-----

§4. პრესუპოზიციის ტიპები დასკვნა	111
----------------------------------	-----

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა	115
------------------------------------	-----

გამოყენებული მხატვრული ლიტერატურა	121
-----------------------------------	-----

შესავალი

XX საუკუნის ლინგვისტიკის საფუძველს წარმოადგენს ენის სემიოტიკური გაგება, ნიშნის ცნება და მოდელი. ეს დინამიკა ორი მიმართულებით იშლება: ერთი მხრივ ეს არის მოძრაობა სინტაქტიკიდან პარაგმატიკისაკენ (ჰორიზონტალური ჭრილი), ხოლო მეორე მხრივ — ნიშნის არასრული ტიპიდან ისეთი სრული ტიპისაკენ, როგორცაა ჰიპოთეტურად — ტექსტი (ვერტიკალური ჭრილი). ამ ორი მიმართულების გადაკვეთის წერტილში შეიქმნა და ვითარდება კომუნიკაციური ლინგვისტიკა, რომელიც საკუთრივ ნიშნის სამგანზომილებიან მოდელს ეყრდნობა.

კომუნიკაციური ლინგვისტიკის აქტუალობა ენის გამოყენებითი ასპექტის წინ წამოწევამ განაპირობა. იგი შეიწავლის ენის მოქმედებას, კომუნიკაციის ყველა ელემენტს, ინტენციას, შედეგებს. მისი დანიშნულებაა, ინფორმაცია მიიტანოს მსმენელამდე, ხოლო მიწოდების სისტემური გზის შესწავლა სემანტიკის პრეროგატივაა.

ენა შეიწავლის ზოგად კანონზომიერებებს, ხოლო კომუნიკაციური ლინგვისტიკა — მეტყველების კანონზომიერებებს. მეტყველებას სისტემური სახე არ აქვს. მეტყველება ენობრივი კომუნიკაციაა. ენობრივი ცოდნა პოტენციურად არსებობს ანუ მოქმელი სიტყვებს კონტექსტის მიხედვით არჩევს. სემანტიკა კი შეიწავლის ნიშანს, აღსანიშნს, რომელიც მას აქვს ამ პარადიგმულ ჭრილში.

სემანტიკა და კომუნიკაციური ლინგვისტიკა განუყოფელია. შეუძლებელია თეორიული სემანტიკის გამიჯვნა პრაქტიკული კომუნიკაციისაგან. ის არ არის ცალკე კვლევის საგანი. შევეცადე ეს ორი მეცნიერება სიმბიოზურად შემეკავშირებინა ერთმანეთთან.

წარმოდგენილი ნაშრომი “პრესუპოზიციის პრაგმატული და სემანტიკური მახასითებლები” ლინგვისტური და წმინდა პრაქტიკული

თვალსაზრისითაც ძალზე საინტერესო და ამავე დროს წინააღმდეგობრივია.

თემის აქტუალობა შემდეგი ფაქტორებითაა განპირობებული: პრესუპოზიციის კატეგორია ის მოვლენაა, რომელსაც სემანტიკისა და პრაგმატიკის შედარებისას გვერდს ვერ ავუვლით. კერძოდ, ესაა მნიშვნელობასა და გამოყენებას შორის არსებული ურთიერთობის პრობლემა (Frege 1974; Russell 1940).

პრესუპოზიციის ცნება, როგორც გამონათქვამის სემანტიკური ანალიზის საშუალება, კომუნიკაციური ლინგვისტიკის მნიშვნელოვანი კატეგორიაა, რადგანაც გამონათქვამი მოცემულია კომუნიკაციური აქტის სტრუქტურაში, პრესუპოზიცია კი გამონათქვამში კომუნიკაციურ სიტუაციასთან მჭიდრო კავშირში ვლინდება (Strawson 1950; Lakoff 1970). პრესუპოზიცია თავის გამოხატულებას გამონათქვამის ნომინაციურ ქვეტექსტში პოულობს. გამონათქვამის ნომინაციური ქვეტექსტი ძირითადად პრესუპოზიციათა სისტემაა. ნომინაციური ასპექტის (ანუ პრესუპოზიციის სისტემის) გამოყოფა გამონათქვამის დონეზე ფარდობითი აქტია. ნომინაციური ასპექტი რეფერენტულ სიტუაციას ასახავს. იგი მზა სახით არ არის მოცემული, არამედ კომუნიკანტთა ქმედების შედეგია და განისაზღვრება ადრესანტის კომუნიკაციური მიზნითა და თეზაურუსით. მისი გამოყოფა ფარდობითია, ვინაიდან, პრესუპოზიცია, როგორც კონვერსაციული იმპლიკაციის სახეობა წინადადების ლინგვისტურ სტრუქტურაზე მეტად გარკვეულ კონტექსტურ ვარაუდს ეყრდნობა, რომელიც კომუნიკაციური აქტის მონაწილეთა ურთიერთგაგებას განაპირობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პრესუპოზიციაზე სამეცნიერო ლიტერატურა უფრო მეტია, ვიდრე პრაგმატიკის სხვა რომელიმე საკითხზე. ზოგი ტექნიკური ხასიათისაა და ძალიან რთულია, ბევრი რამ კვლავ კვლევას საჭიროებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ თემაზე ქართულ ლინგვისტთა ნაშრომები და გამოკვლევები შედარებით

ნაკლებად მოგვეპოვება. სწორედ აღნიშნულმა მიზეზებმა განაპირობეს ჩვენი ამ პრობლემით დაინტერესება.

ნაშრომის მიზანია, თანამიმდევრულად განვიხილოთ პრესუპოზიციის თეორიის ძირითადი მიმართულებები, მისი პრაგმატული და სემანტიკური მახასიაღებლები, შევისწავლოთ პრესუპოზიციის როგორც ლოგიკური კატეგორიის მნიშვნელობა სხვადასხვა სემანტიკურ დონეზე.

კვლევის ძირითად მეთოდად გამოყენებულია კომპონენტური ანალიზის მეთოდი, რომელიც ძირითადად ეყრდნობა ფრეგეს, რასელისა და სტოუსონის დებულებებს. კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულია ქართულ, რუს, ინგლისურ და ამერიკულ ლინგვისტთა სხვადასხვა ნაშრომები.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას და სიახლეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ წარმოდგენილი დისერტაცია პრესუპოზიციის თეორიის დეტალური ანალიზისა და შესწავლის კიდევ ერთი ცდაა.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ გამოკვლევების შედეგები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს და გამოყენებული იქნეს ლინგვისტიკის თეორიულ კურსებსა და სემინარებზე.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. დისერტაცია შედგება შესავალის, სამი თავისა და დასკვნისაგან. მას თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის სია დისერტაცია დაბეჭდილია 121 გვერდზე და შეიცავს ცხრილებს.

თავი I — სემანტიკა, როგორც კომუნიკაციური ლინგვისტიკის ცენტრალური კომპონენტი. თავი II — პრესუპოზიციის ისტორიული წინამძღვრები და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები. თავი III — პრესუპოზიციის პრაგმატული და სემანტიკური მახასიათებლები. შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის არჩევანი, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, ხაზგასმულია

ნაშრომის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

თავი I. სემანტიკა, როგორც კომუნიკაციის ცენტრალური კომპონენტი

§ 1. კომუნიკაცია და ინფორმაცია

ენა კომუნიკაციის საშუალებაა. ეს სიმართლეა და არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ენის სრულყოფილი და დამაკმაყოფილებელი განსაზღვრება დღესაც არ არსებობს. სემანტიკის ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მნიშვნელობასა და კომუნიკაციას შორის ნიშანდობლივი კავშირი არ არსებობს (Austin 1962; Leech 1990; Grice 1975).

რას წარმოადგენს კომუნიკაცია? ეს ტერმინი პრეთეორიული აზრით ყოველდღიურ კონტექსტში ფართოდ გამოიყენება. ჩვენ ისე გადავცემთ ერთმანეთს გრძნობებს, ხასიათს, დამოკიდებულებებს, როგორც ფაქტობრივ ინფორმაციას. ეჭვგარეშეა, ეს ერთი შეხედვით განსხვავებული შინაარსის მქონე ასპექტები ურთიერთკავშირშია. არის მცდელობა, რომ ისინი გააერთიანონ ერთ ზოგად, თეორიული ნიშნის ქვეშ, რომელსაც საფუძველს დაუდებდა ინდივიდთა სოციალური ურთიერთმიმართება.

ძირითადი სასიგნალო სისტემა, რომელსაც ადამიანი ინფორმაციის გადასაცემად იყენებს, ენაა. გამოყოფენ ლინგვისტურ და არა ლინგვისტურ სასიგნალო სისტემებს. სიგნალი კომუნიკაციურია თუ ვიტყვით, რომ მთქმელს წინასწარ აქონდა განზრახული, მსმენელისათვის მიეწოდებინა ახალი, მისთვის უცნობი ინფორმაცია. სიგნალის კომუნიკაციურობა მთქმელის არჩევანზეა დამოკიდებული, როცა მას არ შესწევს უნარი ამოარჩიოს კონკრეტული ალტერნატიულს შორის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომუნიკაციის პროცესი არ შედგა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელობაც არჩევანზეა დამოკიდებული (Grice 1975).

”კომუნიკაციური” ნიშნავს ”მთქმელისათვის მნიშვნელობის მქონეს”, მაგრამ ამ სიტყვის სხვა აზრიც არსებობს. ამისათვის საჭიროა შემოვიტანოთ ცნებები: ”ინფორმაციული” და კოგნიტური გამონათქვამები ” ინფორმაცია” და ” ინფორმირება”.

სიგნალი ინფორმაციულია, თუ ის მსმენელს გადასცემს ახალ ინფორმაციას (მთქმელის განზრახვის მიუხედავად). ”თუ ინფორმაცია მისთვის უკვე ნაცნობია, მისი მნიშვნელობა ნულს უტოლდება ანუ ინფორმაციული არ არის. ასე რომ, სლოგანი ” მნიშვნელობა გულისხმობს არჩევანს შეიძლება ინტერპრეტირებული იქნეს ორი კუთხით - მთქმელისა და მსმენელის თვალსაზრისით. აღსანიშნავია ისიც, რომ მთქმელის მნიშვნელობა ინტენციას გულისხმობს, მსმენელის კი -სიგნიფიკაციას (Lyons 1989, 167.)

კომუნიკაციის პროცესის სტანდარტული იდეალიზაციის თანახმად, მთქმელის კომუნიკაციის საგანი უტოლდება მსმენელის სიგნალისგან წარმოქმნილ ინფორმაციას. თუმცა ზოგჯერ ადგილი აქვს გაუგებრობასაც, რომელიც თეორიულად დასაშვებია.

აუცილებელია გამოვყოთ ორი ასპექტი: პირველი, მსმენელი აქტუალური როლია სიგნალის მიღების პროცესში. შეუძლებელია კომუნიკაციაში მონაწილეობდეს ერთი მთქმელი ან ერთი მსმენელი. მაშინ მთქმელმა სიგნალში უნდა ჩართოს გარკვეული ნიუანსები, რომლებიც სასურველი ადრესანტის იდენტიფიკაციას მოახდენენ და აიძულებენ მას პასუხი გასცეს მიღებულ სიგნალს. ეს ის შემთხვევაა, როცა მთქმელი იყენებს სახელს ან მიმართავს სხვა ფორმებს. მთქმელსა და ადრესანტს შორის დიფერენციაცია ნიშანდობლივია კომუნიკაციის პროცესში, ვინაიდან მთქმელი ძალიან ხშირად ეჩვენა იმ ინფორმაციის ხასიათის არჩევას, რომელიც მან უნდა გადასცეს, ითვალისწინებს რა მსმენელი ფონურ ცოდნას, სოციალურ სტატუსს და ა. შ. (გ. ლებანიძე 1998).

მეორე ასპექტი უფრო ზოგადთეორიული მნიშვნელობისაა. წარმატებული კომუნიკაცია მხოლოდ სიგნალის მსმენელისეულ აღქმაზე და მის წარმოდგენაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზე, როგორ გამოიცნობს ის მთქმელის ინტენციას და როგორ კონიგურ პასუხს გასცემს. ამ საკითხს შეეხო ისეთი მეცნიერები, როგორცაა ჰ. გრაისი და ფ. სტროსონი (Grice H. 1975, Strawson P. 1950).

ეს ის შემთხვევაა, როცა მთქმელმა იცის, რომ მსმენელმა უნდა დაიჯეროს მისი ნათქვამი ვინაიდან სიმართლეა. შემდეგ კი გონებაში უნდა შეინახოს ფაქტის სახით. უფრო მეტიც, მთქმელის სურვილს, დაარწმუნოს მსმენელი ინფორმაციის ჭეშმარიტებაში, სხვა მიზნებიც აქვს. მაგალითად უამრავი მიზეზი არსებობს ვინმეს ყურადღება მივაპყროთ ფაქტზე, რომ წვიმს: შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამის გაგება ესიამოვნება, რადგან ბალი ექნება მოსარწყავი, ან გვინდა ყურადღება გამოვიჩინოთ და შევახსენოთ, რომ უმჯობესია თან წაიღოს საწვიმარი ლაბადა ან ქოლგა და ა. შ. მიზეზი შეიძლება მრავალი იყოს, მაგრამ ფაქტი ერთია, ჩვენ ვცდილობთ გადავცეთ მას "ინფორმაცია", რომელსაც ის მანამდე იგნორირებას უკეთებდა. თუმცა ეს შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევაც, როცა ვიცით, რომ ინფორმაცია არის ინფორმაციული, ვინაიდან მსმენელმა იცის თუ რაზე ვლაპარაკობთ. არაფერია პარადოქსული იმაში, რომ არაინფორმაციული წინადადება წარმოიქმნება იმ განზრახვით, რომ მსმენელმა მასში უცილებლად რაღაც უნდა იგულისხმოს (ვინაიდან, რაოდენ ბანალურიც არ უნდა იყოს ინფორმაცია, ის მაინც წარმოითქვამს). ჩვენს უნარზე დამოკიდებული, როგორ შევარჩევთ ადეკვატურ კონტექსტს, რომ ინფორმაცია ვაქციოთ ინფორმაციულად. წინადადებას It is raining კონკრეტული მნიშვნელობა გააჩნია, რომელიც დამოუკიდებელია და შორს ღვას იმ მიზნებისაგან, რომლებიც მთქმელს ჰქონდა კომუნიკაციამდე. მაგრამ საკითხავია, It is raining ან რომელიმე

წინადადება, რომელიც იმისათვის წარმოითქვა, რომ იქცეს ფაქტად, დამოკიდებულია თუ არა კომუნიკაციური ინტენციის უფრო ზოგად ცნებაზე.

სემიოტიკური თვალსაზრისით ენის შესწავლისას აუცილებელია შევხვით ისეთ საკითხს, როგორცაა ენის წარმოშობა არალინგვისტური სასიგნალი სისტემებიდან.

ენის წარმოშობის შესახებ დისკუსია უძველესი დროიდან მიმდინარეობს. ჯერ კიდევ მანამ, სანამ დარვინი გამოაქვეყნებდა თავის ნაშრომს "სახეობათა წარმოქმნა", მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ ენის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო არავერბალური კომუნიკაციის ისეთი ტიპები, როგორცაა ინსტიქტური ემოციური ყიჟინა, ჟესტები, რიტმული შეძახილები და ა. შ. მხოლოდ დარვინს უნდა უმადლოდეს კაცობრიობა ენის ევოლუციური ხასიათის დამკვიდრებას. იმ პერიოდში (XX ს.) ძალიან პოპულარული იყო ევოლუციის თეორია. დაახლოებით 50 წლის განმავლობაში ლინგვისტები ნაკლებად ინტერესდებოდნენ ენის წარმოშობის პრობლემატიკით. მიზეზი ნათელია, არსებულ ენებში ევოლუციური განვითარების არათუ გლობალურ, მცირედ ნიუანსებსაც ვერ პოულობდნენ. მწირი მასალა მაინც რომ მოიპოვებოდას კომინიდეების კომუნიკაციის შესახებ, ენის წარმოშობის საკითხი საგრძნობლად გაადვილდებოდა. არსებულ მასალაზე დაყრდნობით ლინგვისტთა უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ ენის კვლევის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით შეუძლებელია კონკრეტული ენის დეტალური ანალიზი. ზოგიერთი ლინგვისტის დამოკიდებულება ენის ევოლუციურ თეორიასთან კი აგნოსტიციზმს უახლოვდება.

იმის გამო, რომ ენაში არ გვხვდება შემთხვევა, სადაც მარტივის ევოლუციის შედეგად მივიღოთ რთული, მეცნიერებმა წამოაყენეს კონკრეტული მასალა მოცემული თეორიისათვის: პირველია ბავშვის ენაზე დაყრდნობით მიღებული თეორია, მეორე კი, ენის ფუნქციისა და სტრუქტურის შედარება-შეპირისპირება არალინგვისტურ სიგნალთან:

უპირველესად, ალბათ საჭიროა ავლნიშნოთ, რომ წმინდა ლინგვისტურ და არალინგვისტურ სისტემათა გამიჯვნა დიდ სირთულეს წარმოადგენს. ასევე ბუნდოვანია საკითხი, რომელი რომელს უსწრებდა წინ და ა. შ.

საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ენის ვოკალიზაციაზეც. ვთქვათ, უცებ აღმოვაჩინეთ ადამიანთა სოციუმში, რომელიც იყენებს ვოკალიზაციას (გარდა სიგნალებისა, რომლებიც გამოხატავენ ბრახს, შიშს და სხვა გრძნობებს). მათი კომუნიკაციის ერთ-ერთ საშუალებას კი ქესტიკულაციის რთული სისტემა წარმოადგენს. ასევე წარმოვიდგინოთ, რომ ამ ქესტების გრამატიკული სტრუქტურა (სირთულითაც) ჩვენი სასაუბრო ენის იდენტურია და მსგავს ფუნქციასაც ასრულებს. ამ ჰიპოთეზაზე დაყრდნობით თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ სოციუმს გააჩნია ენა.

ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამწერლობაც კომუნიკაციის ისეთი დამოუკიდებელი სუბსტანციაა, როგორც მეტყველება. ყრუ-მუნჯთა კომუნიკაციის ენა კი, ისევე როგორც დამწერლობა, სამეტყველო ენიდან წარმოდგა. ადამიანი კი, ცხოველისაგან განსხვავებით, სწავლის სფეროში უფრო წარმატებულია და მხოლოდ იმიტომ, რომ ვერბალური ენის დიდი რაოდენობით ინვარიანტებს ფლობს. ა. ჰილი მიიჩნევს, რომ ენის ტრანსფერულ თვისებას სწორედ სწავლის უნარი განაპირობებს (Hill A. 1958).

შესაძლოა თუ არა სალაპარაკო ენის ხელოვნურად წარმოქმნა სოციუმისაგან იზოლირებულად? დამწერლობა ან ქესტიკულაციის ენა სამეტყველოზე რა დამოკიდებულებაშია? შესაძლებელია თუ არა დამოუკიდებელი განვითარება? ან კიდევ, შეიძლება თუ არა ბავშვმა ისწავლოს ის მისი პირველ წყაროს, ბაზისის, სამეტყველო ენის გაცნობის გარეშე? ამჟამად ამ კითხვებზე პასუხი ლინგვისტიკას არ მოეპოვება. თუმცა უმნიშვნელო მოსაზრებები არსებობს.

ი. ლენებრი მიიჩნევს, რომ ენა სახეობის სპეციფიკასა და კონკრეტულ ბიოლოგიურ მიდრეკილებაზე დამოკიდებული (Lennebry E. 1967). სწორედ ამიტომ გახლავთ ის მხოლოდ ადამიანი პრივილეგია. ადამიანს გააჩნია მთელი რიგი ანატომიური და ფიზიოლოგიური ბაზისი, რომ იყოს მეტყველების მწარმოებელი და ჰქონდეს მისი აღქმის უნარი. დამტკიცებულია, რომ სხვა პრიმატთა სამეტყველო ბგერები შეზღუდული რაოდენობით ვოკალურ სიგნალებს შეიცავს. ყოველი ნორმალური ბავშვი ენობრივი განვითარების სპეციფიკურ ეტაპებს გადის. ის დაბადებიდან ფსიქოლოგიურად მოტივირებულია, მზადაა შეისწავლოს სოციალური ენა, რომელთანაც მჭიდრო კავშირში იმყოფება. ეს უნარი კი თანდაყოლილია, უპირობო, მაგრამ ვოკალიზებისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების კავშირში არ იმყოფება. ამიტომ საკითხავია, ადამიანში თავიდანვე თუ არსებობს ეს თვისება, როგორც ერთგვარი გენეტიკური კოდი. საკამათოა ის ფაქტიც, რომ ენა წამოიზარდა ექსტიკულაციური ბაზისიდან, ასოცირდება ვოკალიზაციასთან და არაპირდაპირ კონკრეტული სიგნალებიდან, რომელთაც ვხვდებით, ვთქვათ, ძუძუმწოვრებში. ფონოლოგიური მედიუმის ბიოლოგიური უპირატესობა, ალბათ, იმაში მდგომარეობდა, რომ პირველ ადამიანს საშუალება ჰქონდა ლოკალური სიგნალები, განსხვავებით ვიზუალური სიგნალებისა, გადაეცა არა მარტო დღისით, არამედ ღამითაც, არ იყო დამოკიდებული ფიზიკურ ბარიერზე, ქმედებებზე. ადრესატი კი უნდა ყოფილიყო მასა და არა კონკრეტული ინდივიდი.

ცნობილია, რომ ადამიანის ტვინი მისი მსგავსი მაიმუნების ტვინისაგან განსხვავდება ზომით და მარცხენა ნახევარსფეროს დიდი განვითარებით. არსებობს ჰიპოთეზა, რომ სწორედ მარცხენა ნახევარსფეროს დიდი განვითარება განაპირობებს ენის ევოლუციას. მასვე უკავშირდება ვერბალური კომპონენტებიც, ისე როგორც

ეოკალური სიგნალების პროსოდიული ბუნებაც. ვიზუალური მხარე კი მარჯვენა ნახევარსფეროს პრეროგატივაა.

აშკარაა, რომ ენის გრამატიკულ და სემანტიკურ ფაქტორებს ორივე ნახევარსფერო განაპირობებს. უფრო ზუსტად კი, მარჯვენა ნახევარსფერო არეგულირებს უფრო კონკრეტული ობიექტის ინტერპრეტირების პროცესს მაშინ, როცა მარჯვენა ნახევარსფეროს ობიექტი აბსტრაქტულია.

თუ ეს მოსაზრებები ჭეშმარიტია, მაშინ უდავოა, რომ ენის ევოლუცია მჭიდრო კავშირში იმყოფება ცერებრული ფენომენის დომინანტობასთან. საინტერესოა, რომ ცერებრული სისტემის დომინანტობა განსაკუთრებით ენის ლინგვისტურ ნაწილს შეესაბამება: ნაწილს, რომელიც ხასიათდება გარკვეული პრეტენზიულობით, სპეციფიკით, პროდუქტიულობით, რომელიც ქმნის კომპლექტურ და ფლექსიურ სემიოტიკურ სისტემას, რომელსაც შესწევს უნარი, განეგრძოს ერთი მედიუმიდან მეორეში, რომელიც ხასიათდება აღწერილობითი ფუნქციით, მაგრამ ცერებრული ნაწილის დომინანტობა პირდაპირ კავშირშია ენის ევოლუციასთან, უცილობლად ვგულისხმობთ ენის ევოლუციის დამოკიდებულებას ადამიანის კოგნიტურ შესაძლებლობებთან. ეს კი ჭეშმარიტად ორიგინალური სინთეზია.

ნ. ჩომსკი მიიჩნევდა, რომ ყოველი ადამიანის ენის გრამატიკულ სტრუქტურას განსაზღვრავს კონკრეტული პრინციპი და ამ პრინციპს ბავშვი უპირობოდ აღიქვამს (Chomsky N. 1976;), მაგრამ ლინგვისტები აღიარებენ გრამატიკული სტრუქტურის უნივერსალურობას. უდავოა, რომ ნებისმიერი ენის გრამატიკა გარკვეული სირთულით ხასიათდება. შესაძლოა სიმართლეა, რომ ზოგადად, ენათა შორის სიმძლავრის იდენტური სემიოტიკური ფუნქციები განაპირობებს და ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანს მსგავსი, უნივერსალური კოგნიტური შესაძლებლობები გააჩნია.

ყოველივეს გათვალისწინებით თუ შევეცდებით იმ თვისებების განსაზღვრას, რასაც ჩვენ "ენას" ვუწოდებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ენა ფუნდამენტალურად განსხვავდება სხვა სასიგნალო სისტემებისაგან. ენასა და არა ენას შორის განსხვავება მდგომარეობს ხარისხში და არა ტიპში. წმინდა დეფინიციური ასპექტი გონებაში მაშინ ჩნდება, როცა კითხვის ქვეშ დგება: უნიკალურია თუ არა ენა ადამიანთა სახეობისათვის? სემანტიკისადმი რაციონალური მიდგომა, რომელიც ზღუდავს მას აღწერილობით ფუნქციამდე და უგულებელყოფს ვერბალურ კომპონენტს, ენას, როგორც სემიოტიკურ სისტემას არაადეკვატურ იერსახეს აძლევს.


ლინგვისტური ექსპრესის მნიშვნელობას სიგნიფიკაციის (ნიშანდება) ცნებასთან კავშირში განიხილავენ. სიტყვები წარმოადგენენ ნიშნებს, რომლებიც აღნიშნავენ ობიექტს, ხოლო რას წარმოადგენენ ეს ობიექტები დიდი ხნის დისკუსიის საგანია. საჭიროა, შეირჩეს ნეიტრალური ტექნიკური ტერმინი. ეს ტერმინი კი ლათინური სიტყვაა (significatum) სიგნიფიკატუმი.

სიგნიფიკაციის შესწავლისას ლინგვისტები შეეცადნენ ერთმანეთისაგან განერჩიათ ნიშანი და სიმბოლო, სიგნალი და სიმბოლო, სიმბოლო და სიმპტომი. სამწუხაროდ, ერთი საყოველთაო, უნივერსალური მოსაზრება ამ ტერმინთან დაკავშირებით არ არსებობს. მაგალითად, ჯ. გრინი და ჯ. მორგანი სიმბოლოს განმარტავენ, როგორც "ნიშანს, რომლითაც ადამიათა შორის კომუნიკაცია ხორციელდება" (Green J.1972; Morgan J.1969). მაშინ როცა ქ. პირსი, რომელიც სიმბოლოს ნიშანთა ქვეკლასად მიიჩნევს, მას ნიშანსა და სიგნიფიკატორს შორის კონვენციონალურ ურთიერთმიმართებაზე დაყრდნობით განსაზღვრავს. (Peirce C. 1940). ასევე ფიქრობს ჯ. მილერი (Miller G. 1951). მაგრამ ქ. მორისი აღნიშნავს, რომ. "სიმბოლო არის ნიშანი და იმ ნიშანს ცვლის რომელიც არ არის სიმბოლო, სიგნალია " (Morris C.1971). ქ. ბიულერის აზრით მეტყველება

მთქმელის გონებაში არსებული ასპექტების სიმპტომებია, ხოლო სიმბოლო არის ის, რაც იგულისხმეს ან აღნიშნეს (Buhler K. 1934). ჩერი კი მიიჩნევს, რომ ნიშანი "ნებისმიერი ფიზიკური მოვლენაა, რომელიც გამოიყენება კომუნიკაციის პროცესში " (Cherry 1957).

აშკარაა, რომ მოცემული ტერმინების სტანდარტული ინტერპრეტაცია არ არსებობს. ლინგვისტთა უმრავლესობა თვლის, რომ სიგნალი არის ის, რაც სპეციფიკური არხის საშუალებით გადაეცემა მსმენელს და მიღებული კოდირებული შეტყობინება კი ნიშანია, რომელიც შეიცავს ან არა უფრო მარტივ ნიშანს.

სიგნიფიკაცია ჩვეულებრივ აღინიშნება, როგორც ტრიადული სისტემა. ის შეიძლება ვიზუალურად გამოისახოს სამკუთხედის სახით:



ცნებას "ნიშანი" შეესაბამება A; "ცნებას" – B, ხოლო "სიგნიფიკაციას" – C. ერთ-ერთ სკოლასტურ ნაშრომში წერია: "სიტყვა აღინიშნება შუალედური ცნებების საშუალებებით". ლათინურად ეს წინადადება ასე უღერს: Vox signifikat mediantebus conseptibus.

სიტყვა vox სტანდარტული სიტყვაა, ფონეტიკური ბგერის აღსანიშნავად აღებული. ლექსეში კი მისი თანამედროვე ექვივალენტია.

საყურადღებოა, რომ ლექსემსა (A) და მის სიგნიფიკატუმს (C) შორის კავშირი არაპირდაპირია. ისინი ერთმანეთს ცნების (B) საშუალებით უკავშირდებიან, ამიტომ AC კავშირი წყვეტილი ხაზით არის აღნიშნული, განსხვავებით AB და BC, რომელთა შორის მტკიცე ურთიერთმიმართება არსებობს. ორივე წყვეილი AB და BC გამოხატავს ნიშანდების ურთიერთმიმართებებს: ლექსეში აღნიშნავს ცნებას, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, სპაგანს.

როგორც ცნობილია, ქ. ოჯდენმა და ი. რინარდმა აღნიშნეს “ნიშვნელობის” რამოდენიმე მნიშვნელობა. ისინი მიიჩნევენ, რომ ბევრი რამ ამ საკითხთან დაკავშირებით ბუნდოვანია და არასწორ ინტერპრეტირებას არ გამორიცხავენ. მათი აზრით, ყოველივეს მიზეზი ნიშანდობლივი და მტკიცე ურთიერთკავშირი იყო ნიშანსა და აღსანიშნ ობიექტს შორის. კომუნიკაციის პროცესი საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა, ეს ურთიერთმიმართება რომ იყოს წმინდა დერივატური, არაკაუზალური, მსმენელისა და მთქმელის გონებაში ასოციაციის პროდუქტი.

AB-სა და BC-ს შორის კავშირი ჭეშმარიტად კაუზალურია, ხოლო თეორიები, რომლებიც ამ მეცნიერებმა წარმოადგინეს – ბიჰევიორისტული. ექსტერნალური სამყაროს ზოგიერთი ობიექტი (C) მთქმელის გონებაში წარმოშობს ფიქრს (B), რომელიც, თავის მხრივ, გააძლევს ნიშანს (A). ქ. ოჯდენი და ი. რინარდი არ მიჯნავენ ერთმანეთისაგან ნიშანსა და სიგნალს, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ ნიშანი მსმენელამდე პირდაპირ აღწევს, ყოველგვარი ექსცესების გარეშე. მიუხედავად ამისა, კომუნიკაციის პროცესში თავისუფლად შეგვიძლია გაუშიფრავი თუ უკვე ნაცნობი შეტყობინების ჩართვა ზოგადი სქემის დარღვევის გარეშე. მსმენელის გონებაში ნიშანი წარმოქმნის ფიქრს, რომელიც ბუნებრივად შეტყობინებას გადაიტანს

ობიექტზე. აქვე მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ გონებაში ფიქრის წარმოშობას კაუზალური ფაქტორები, ექსტერნალური რეალობის სტიმულატორები განსაზღვრავენ. სწორედ ამ თვალსაზრისით მიიჩნევენ ჯ. ლაიონსი, რ. ოჯდენისა და ი. რინარდის მსჯელობას ბიჰევიორისტულად (Lyons J. 1995). არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ არ უნდა ჩათვალოს ფიქრი და ცნება კომუნიკაციის მექანიკური თეორიის პოსტულატად. ცნების ნაცვლად მათ შემოაქვთ ტერმინი “რეფერენტი”, ამჟამად ამ სიტყვას ბევრი სემანტიკოსი იყენებს. საყურადღებოა, რომ მათი აზრით რეფერენტული ურთიერთობა არსებობს B-სა და C-ს და არა A-სა და C-ს შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ობიექტს აღნიშნავს სიტყვა და არა ცნება.

ფიქრობდნენ B-სა და C-ს საერთოდ უგულებელყოფასაც. C-ს პირდაპირი კავშირი არ აქვს სემანტიკასთან და ის ნიუანსები, რომლებიც სიტყვის მნიშვნელობას განსაზღვრავენ მდგომარეობის არა სიგნიფიკატუმში, არამედ (B) ეყრდნობა რა ფ. სოსიურს (ნიშანი არ არის A არამედ A+B კომპოზიტი) (Saussure F. 1916), ის მიიჩნევენ, რომ მენტალური ერთეული არ არის მხოლოდ B, არამედ A, ვინაიდან გონებაში დინამიურად შეესაბამებიან ერთმანეთს.

როცა მესმის სახელი “მაგიდა”, მე ვფიქრობ მაგიდაზე და თუ ვფიქრობ მაგიდაზე, ვიტყვი მაგიდას მაშინ, როცა ეს საჭირო იქნება. მნიშვნელობა A და B-ს შორის ურთიერთსაპასუხო მიმართებაა, რომელიც საშუალებას აძლევს ორივე მათგანს ერთმანეთი გამოიძახონ. სხვა მეცნიერები, რომლებიც უგულებელყოფენ მენტალისტების მოსაზრებას, ეჭვქვეშ დააყენეს B-ს საჭიროებაც მაშინ, როცა ცნებას შუალედური პოზიცია ეკავა სიტყვასა და ობიექტს შორის. მათთვის სიტყვის მნიშვნელობა ობიექტი ან უბრალოდ ობიექტთა კლასია, რომელსაც ის აღნიშნავს.

სიგნიფიკაციის ამ ტრიალულ ანალიზს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ნიშანი (A) ფიზიკურ ასპექტს განეკუთვნება თუ გონებრივს? რა

გახლავთ ცნების (B) ფსიქოლოგიური სტატუსი? და ობიექტის შესახებ ცნება მხოლოდ სპეციფიკურ სიტუაციაში არსებობს თუ უფრო გლობალური სახე აქვს? ან, არსებობს ამ კლასის უფრო იდეალური წარმომადგენელი? ეს კითხვები მრავალ კონტრარგუმენტებს წარმოქმნიან. ისინი ცალკე ანალიზს საჭიროებენ.

§2 ნომინალიზმი, რეალიზმი და კონცეპტუალიზმი

ახლა კი განვიხილოთ, რა როლი შეასრულა ცნებამ მნიშვნელობის ტრადიციული და თანამედროვე თეორიების ჩამოყალიბების პროცესში. ეს საკითხი ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური თვალსაზრისით საკმაოდ წინააღმდეგობრივი და პრობლემატურია.

ვთქვათ, ექსტერნალურ სამყაროში არსებობს სხვადასხვა სახის რეალური მატერია (აღამიანი, ცხოველი, მცენარე და ა.შ.) და თითოეული მათგანი ინდივიდუალურია, გააჩნია გარკვეული აღქმისა და ურთიერთგაგებინების უნარი. ყოველივე ეს კი ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს მეტაფიზიკასთან.

სიტყვა “ცნება” გულისხმობს იდეას, ფიქრს ან გონებრივ კონსტრუქციას, რომლის საშუალებით გონება აღწევს ობიექტამდგ. როგორც ვნახეთ, სიგნიფიკაციის ტრადიციული ანალიზისას, ცნება გახლდათ შუალედური ხაზი სიტყვასა და ობიექტს შორის. “სიტყვები აღნიშნავენ საგანს მაკავშირებელი ცნებების საშუალებით”. ეს ერთგვარი სლოტანია, რომელიც ყველაფერს აჯამებს. ახლა შემოვიტანოთ ტერმინი სიგნიფიკაცია (ნიშანდება) მაკავშირებელი ცნებისათვის, რის შედეგადაც შეგვეძლება ვთქვათ, რომ, რასაც სიტყვა აღნიშნავს პირდაპირ, გახლავს მისი სიგნიფიკაცია და რასაც აღნიშნავს არაპირდაპირ – სიგნიფიკატუმი. თანამედროვე სემანტიკაში ამ დიფერენციაციას თან ახლავს გარკვეული მოსაზრება, კერძოდ კი ცნებას უწოდებენ სიტყვის “მნიშვნელობას”, ხოლო ობიექტს – “ნაგულისხმევ საგანს” (Gardiner A. 1932).

ცნებებს დიქტომიური პრინციპით აჯგუფებენ: მარტივია თუ რთული, კონკრეტული თუ აბსტრაქტული, მხოლოდითი თუ მრავლობითი, უნივერსალური თუ კერძო. აღსანიშნავია, რომ არსებითი

სახელის ტრადიციული გრამატიკული კლასიფიკაცია კონკრეტულ და აბსტრაქტულ, საკუთარ და საზოგადო სახელებად, დამოკიდებულია დასავლურ ტრადიციებში გრამატიკისა და ლოგიკის თეორიების ურთიერთკავშირზე.

განვიხილოთ უნივერსალურსა და კონკრეტულს შორის ურთიერთმიმართება. ეს უკანასკნელი დაედო საფუძვლად ე.წ. უნივერსალების პრობლემატიკას, რომელიც პლატონის პერიოდიდან დღემდე ფილოსოფიური კონტრარგუმენტების წყაროს წარმოადგენს. ყოველივე ამან კი ნომინალიზმსა და რეალიზმს შორის კონფლიქტის სახე მიიღო. მოცემულ საკითხს დომინანტური პოზიცია ეკავა შუასაუკუნეების ლოგიკასა და მეტაფიზიკაში. მის სახელს უკავშირებენ XIV საუკუნის ინგლისელ ფილოსოფოსს უილიამ ოკჰემს.

“უნივერსალია” გულისხმობს ცნებას, რომელიც ასოცირდება ისეთ სიტყვებთან, როგორცაა, ვთქვათ “კაცი” ან “მშვენიერი”, როცა ისინი გამოიყენებიან პრედიკატულ ასპექტში, რომ ინდივიდს მიეწეროს კაცის ან მშვენიერის თვისებები. უნივერსალიის ტრადიციული პრობლემატიკა უკავშირდება მის ონტოლოგიურ და არა ფსიქოლოგიურ სტატუსს. არსებობენ თუ არა ისინი დამოუკიდებლად? ანუ გააჩნია თუ არა მათ არსებობის ექსტრამენტალური, ობიექტური ფორმა?

ტერმინი “ცნება” შეიძლება ორნაირად გამოვიყენოთ; არა მხოლოდ იმ კუთხით, რასაც მენტალურ ცნებას ვუწოდებთ, არამედ როგორც ექსტრამენტალური ცნება, გონებაში არსებული, როგორც ექსტერნალური სამყაროს აღქმის საშუალება. მათ შეიძლება ეწოდოს “ობიექტური ცნებები”.

რეალიზმის ორი ფუნდამენტალური ვერსია არსებობს. ერთი უკავშირდება პლატონს და შეიძლება განვიხილოთ, როგორც ტრანსცენტენტალური, ექსტრემალური რეალიზმი. მეორე კი სათავეს იღებს არისტოტელესთან. ეს გახლავთ “იმანენტური რეალიზმი”.

პლატონის თქმით, ობიექტური ცნება “ან იდეა” არსებობს ინდივიდუალისაგან დამოუკიდებლად, მის მიღმა არისტოტელეს რეალიზმი ალტერნატიულია და გულისხმობს ლოგიკას, ეპისემოლოგიისა და მეტაფიზიკის სქოლიასტურ ანალიზს. ამ ვერსიას მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ნომინალისტები. თანამედროვე მეცნიერები ჯ. ფრიჯი და ბ. რასელი აშკარად იზიარებენ პლატონის მსოფლმხედველობას.

არისტოტელეს თვალსაზრისით, ყოველი ინდივიდი (ანუ სუბსტანტი) ორი სხვადასხვა, თუმცა განუყოფელი პრინციპის კომპოზიტს წარმოადგენს. ესენია შინაარსი და ფორმა. შინაარსი გახლდათ პრინციპი, რომელიც ინდივიდუალურს უნიკალურობას ანიჭებდა და სხვა ინდივიდისაგან განარჩევდა. ფორმა კი საგნის გაგებინებისა და აღქმის უნარს განსაზღვრავდა, გახლდათ იმანენტური და არ არსებობდა დამოუკიდებლად. უნივერსალური კი იყო იმ მხრივ, რომ სხვადასხვა ინდივიდს შეეძლო აქონოდა იდენტური ფორმა.

ნომინალიზმმა მკვეთრად უარყო მსგავსი ურთიერთმიმართება სიტყვასა და ობიექტს შორის. მათი თქმით, უნივერსალები გახლდათ ინდივიდის აღმნიშვნელი სახელები. მხოლოდ ინდივიდუალები არსებობდნენ და არ არსებობდა სხვა ობიექტური, ექსტრამენტალური უნივერსალია. აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების ნომინალისტები უარყოფდნენ ექსტრანალურ სამყაროს ცოდნის ობიექტურობას და არა იმას, რომ ინდივიდი თავის თავში შეიცავდა რაღაცას. ამბობდნენ, რომ არ არსებობს “სიწითლე” როგორც ასეთი, არამედ არსებობდნენ წითელი საგნები, ანუ ინდივიდუალური ობიექტები, რომელთა ბუნებრივ ფერს ვუწოდებთ “წითელს”. აქ ვუახლოვდებით ოქქემის ცნობილ პრინციპს, ონტოლოგიური მომჭირნეობის თუ უკანონობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც “კონკრეტული რაობა საჭიროების ზღვარს არ უნდა გასცილდეს”, ან “სიმრავლე ლიმიტირებულად არსებობს”.

მიიჩნეოს რა უსარგებლოდ, შუა საუკუნეების ნომინალისტებმა უარყვეს ობიექტური და არამენტალური ცნებები.

როგორც ვნახეთ, ნომინალიზმი არანაირად არ გულისხმობს სუბიექტივიზმსა და სკეპტიკურ დამოკიდებულებას. ჩვენი ცოდნის მიმართ ექსტერნალური სამყაროს შესახებ, ს. ოკპემი მიიჩნევდა, რომ ჩვენი ცოდნა ინდივიდუალურად პირდაპირი და ინტუიციურია. საგნის ინტუიციური აღქმა ბუნებრივად წარმოშობს ამ საგნის ცნებას გონებაში. ინდივიდუალური ცნება ობიექტის ბუნებრივი ნიშანია და სიტყვის მნიშვნელობადაც შეიძლება ჩაითვალოს. “ძროხის” აღქმა ერთი და იმავე იდეას ან ბუნებრივ ნიშანს წარმოშობს ინგლისელისა და ფრანგის გონებაში, თუმცა პირველი ამ ცნებას გამოხატავს სიტყვით cow, ხოლო მეორე - სიტყვით - vache. მოცემული ინტენპრეტაციის მიხედვით, სიტყვასა და ცნებას შორის ასოციაციური კავშირი კონვეტური ხასიათისაა.

კონცეპტუალიზმი სემანტიკის თეორიაა, რომლის მიხედვითაც სიტყვის მნიშვნელობა წარმოადგენს ცნებას, რომელიც მთქმელისა და მსმენელის გონებაში ამ სიტყვასთან ასოცირდება. ამ მოსაზრების თანახმად, კონცეპტუალურად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ რეალიზმი და ნომინალიზმი, არამედ სხვა ალტერნატიული თეორიებიც, საკუთრივ თეორია, რომლის მიხედვით უნივერსალურ ცნებებს გააჩნიათ ფსიქოლოგიური და არა ონტოლოგიური საფუძველი და რომ, მათი აღქმა არ ხდება მყესეულად, არამედ მყარად კონსტრუირდება გონებაში.

კონცეპტუალიზმი სემანტიკაში ორ სერიოზულ კრიტიკას უკავშირდება. პირველი თუ სიტყვასა და მის ცნებას შორის ისეთი კავშირი არსებობს, რომ, როცა მე მესმის სიტყვა “მაგიდა” ჩემს გონებაში ჩნდება ამ სიტყვის მცნება ან თუ ეფიქრობ მაგიდაზე, გონებაში დაუყოვნებლივ ამოტივტივდება სიტყვა “მაგიდა”, მაინც უსაფუძვლოა ვამტკიცოთ, რომ მსგავსი ცნებები გარკვეულ როლს

ასრულებენ მეტყველებაში. თვით ანალიზი კი აშკარად არასაიმედოა, თუმცა არც ისაა ცნობილი განსაზღვრავს თუ არა მეტყველების რაობას ცნებათა გარკვეული ნაწილი.

რა თქმა უნდა, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება წარმოიქმნას გონებაში მაგიდის გარკვეული მენტალური იმიჯი, იგივე პროცესი შესაძლებელია განმეორდეს მეტყველებისა და აღქმის პროცესში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსგავსი რამ ყველა სიტყვაზე ვრცელდება. არც იმის უარყოფაა მართებული, რომ თუ მაგიდის ცნება არ მოგვეპოვება, შეუძლებელია მაგიდის განსაზღვრა და შესაბამისად შეუძლებელია ამ სიტყვის მართებულად გამოყენება. ეს ჭეშმარიტება კი არა, ტავტოლოგია იქნებოდა.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკაში “ცნება” ძალიან ფართოდ გამოიყენება, უნდა ავლნიშნოთ, რომ ამ ტერმინის მნიშვნელობა ასევე ბუნდოვანია. ეს არის ტერმინი, რომელიც უამრავ კონტრარგუმენტებს წარმოშობს და ის ვინც ამტკიცებს, რომ სიტყვის მნიშვნელობა შესაბამისი ცნებით განისაზღვრება, საჭიროა აუხსნას მკითხველს რა სახის ცნებაზეა საუბარი.

კრიტიკის მეორე ხაზი მიმართულია არა მხოლოდ კონცეპტუალიზმის, არამედ სემანტიკის ნებისმიერი თეორიის წინააღმდეგ, რომელიც სიტყვის მნიშვნელობის აღნიშვნის ობიექტია, თან არ აინტერესებს მნიშვნელობა სიგნიფიკაციაა თუ სიტყვის სიგნიფიკატუმი. მაგიდის შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვა დანარჩენი, რომელიც ამ სიტყვას უკავშირდება—ნიშნებია — შესაძლებელია მსგავს სიტუაციებში განესაზღვროთ ურთიერთმიმართება სიტყვასა და ობიექტს შორის. რაკი ერთხელ საკმაოდ განვაგრცეთ ნიშანდების ცნება და ვთქვით, რომ ის ყველა ლექსემას მოიცავს. ახლა სრული საშიშროება არსებობს იმისა, რომ ამ ტერმინმა შეიძლება ტრივიალური სახე მიიღოს, ვინაიდან იმის მტკიცება, რომ სიტყვის მნიშვნელობა არის ის, რასაც აღნიშნავს,

იგივეა რაც ვთქვათ, სიტყვის მნიშვნელობა არის ის, რაც არის მისი მნიშვნელობა. უმჯობესია ალბათ ნიშანდების ცნება შევკუმშოთ კონკრეტულ ლექსემამდე ან კონსტრუქციამდე, რომელიც მკაფიოდ შეესაბამება “აღნიშვნის აზრს”.

ფილოსოფოსთა გარკვეული ნაწილი მიიხსენებს, რომ ტერმინი აზრი იდენტურია ტერმინების “კოგნიტური” ან “დესკრიფციული” მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, ზოგჯერ თვლიან, რომ რეფერენსსა და აზრს შორის დიფერენციაცია რეფერენსსა და მნიშვნელობას შორის დიფერენციაციის მსგავსია.

მოვიყვანოთ ჯ. ფრიჯის კლასიკური მაგალითი, რომელსაც იყენებენ აზრისა და რეფერენსის შესახებ მსჯელობისას.

(1) The Morning star is the evening star

როგორც ჯ. ფრიჯი აღნიშნავდა, ორი გამონათქვამი The Morning star და The evening star ერთი და იგივეზე მიუთითებს – პლანეტაზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ მსგავსი აზრი გააჩნიათ და თუ კი ასე იქნებოდა, მაშინ წინადადება გახდებოდა ანალიტიკური ან ტავტოლოგიური. ასე, მაგალითად:

(2) The Morning star is the morning star.

მაგრამ პირველი გამონათქვამი მეორესაგან განსხვავებით (პოტენციურად) ინფორმატიულია: მსმენელმა შესაძლოა მიიღოს ინფორმაცია, რომელიც არ იცოდა და რომლის გაგება მხოლოდ წინადადების მნიშვნელობის გაცნობიერებით არ შეეძლო. აქედან გამომდინარე, The Morning star არ წარმოადგენს the evening star-ის სინონიმს, ანუ მათ იდენტური აზრი არ გააჩნიათ.

შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ამ ორ სიტყვათა ჯგუფს შუალედური პოზიცია უჭირავს საკუთარ სახელსა და განსაზღვრულ აღწერას (დესკრიფციას) შორის და მსგავსად სათაურებისა, რომლებიც უნიკალურ ობიექტზე მიუთითებენ, გამოისახებიან დიდი ასოთი. ვინაიდან ისინი უფრო ახლოს საკუთარ სახელებთან დგანან, სავსებით

ლეგიტიმური იქნება თუ ვიტყვით, რომ მათ აზრი გააჩნიათ, ამასთან აღსანიშნავია, რომ ფართოდ მიღებული (მაგრამ არა უნივერსალური) წესის თანახმად საკუთარ სახელებს აზრი არ გააჩნიათ. სხვა მხრივ, თუკი *The Morning star* განიხილება, როგორც განსაზღვრული დესკრიპციები, რომლებიც აზრობრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმდენად, რამდენადაც ყოველივე აშკარაა ნებისმიერი ინგლისურად მოლაპარაკესათვის, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

(3) *The Morning star is not a star (but a planet).*

გახლავს ინფორმაციული არა წინააღმდეგობრივი, არამედ პოტენციური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ასტრონომთათვის ცნობილი იყო, რომ *the morning star* და *the evening star* არათუ ვარსკვლავები, არამედ პლანეტები იყვნენ. მხოლოდ შემდეგ დადასტურდა მათი იდენტურობა. ამ ორი სიტყვათწყობის ბუნდოვანი სტატუსი იმის საშუალებას იძლევა, რომ დავასკვნათ, ისინი გ. ფრეგეს ექსპერიმენტისათვის იდეალურ მაგალითად ნამდვილად არ გამოდგებიან. მიიჩნევენ, რომ ისინი განსხვავდებიან არა მხოლოდ აზრობრივი, არამედ რეფერენტული თვალსაზრისითაც (Frege G. 1974).

ჯ. ფრიჯის მაგალითი უბრალოდ რეფერენსსა და აზრს შორის დიფერენციაციას ბუნების ილუსტრაციის საშუალებას იძლევა, გამონათქვამები შეიძლება აზრობრივად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, მაგრამ მსგავსი რეფერენსი გააჩნდეთ, ხოლო "სინონიმური" იდენტური აზრის ქონას ნიშნავს და არა რეფერენსის. გ. ფრიჯის მაგალითზე უფრო ადეკვატური ბ. რასელის მაგალითებია:

a. *The Victory at Java*

b. *The loser at Waterloo*

ორივე გამონათქვამი ნაპოლეონზე მიუთითებს. (Carnap R. 1942).

აშკარად არ გაამართლა გ. ფრეგეს ტერმინმა *Bedeutung*, რომელიც თანამედროვე ინგლისურში რეფერენსს შეესაბამება. გერმანული სიტყვის შერჩევა, რომლის არატექნიკური თვალსაზრისით

გამოყენება, უფრო მეტ ნიუანსს მოიცავს, ვიდრე ინგლისური სიტყვა “მნიშვნელობა” განპირობებული იყო იმით, რომ ის სხვა ფილოსოფოსთა მსგავსად, რეფერენსს სემანტიკის სფეროს მიაკუთვნებდა. გერმანულში ვხვდებით ალტერნატიულ ტექნიკურ დიფერენციაციას ორ ტერმინს შორის: *Bedeutung* (მნიშვნელობა) და *Bezeichnung* (აღნიშვნა). ამ დაყოფას ადარებენ გ. ფრეგეს ტერმინებს *Sinn da Bedeutung*. მისი *Bedeutung* – ი იდენტურია სიტყვისა, რომელსაც მრავალი გერმანელი ავტორი უწოდებს *Bezeichnung* – ს, ხოლო მისი *Sinn* უტოლდება გერმანელების *Bedeutung* – ს. “მნიშვნელობის”, როგორც ძალიან ზოგადი პრეთეორიული ტერმინის გამოყენების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ გერმანულში არსებული პრობლემების მსგავსი უზუსტობები. აღსანიშნავია ისიც, რომ “აზრი”, როგორც თეორიული ტერმინი გაცილებით ვიწროა, ვიდრე მისი ფილოსოფიური ექვივალენტი (Frege G. 1974).

იდენტური რეფერენსის მქონე გამონათქვამებს ყოველთვის ვერ ჩავანაცვლებთ კონტექსტში. *Salva veritate* (ლაიბნიცის ფრაზა) წარმოადგენდა იმ ფილოსოფოსთათვის, რომლებიც ცდილობდნენ სემანტიკის წმინდა ექსტენციური თეორიის შექმნას. თუ გამონათქვამთა მნიშვნელობა კონკრეტულ შინაარსობრივ კლასს წარმოადგენს, რომელსაც ისინი მიუთითებენ, როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ ისეთი უნიკალური აღნიშვნის მქონე გამონათქვამები, როგორიცაა: *The morning star* და *The evening star*, *Tully* და *Cicero*, *Pegasus* და *Medusa* არ არიან სინონიმები და არ აკმაყოფილებენ ჯ. ლაიბნიცის ურთიერთჩანაცვლების პრინციპს. თუ X და Y წარმოადგენენ ორ გამონათქვამს, რომლებიც ერთი და იგივეზე მიუთითებენ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი ურთიერთჩანაცვლება შესაძლებელია ისეთი პროპოზიციის ჭეშმარიტების გარეშე, როგორიცაა “მას არ სჯერა, რომ X არის Y”.

როგორც ბ. რასელი აღნიშნავდა თავის ბოლო ნაშრომებში “ექსტენსიონალობის” თეზისის შენარჩუნების რამდენიმე მიზეზი არსებობდა. ის ძალიან მოსახერხებელია ტექნიკურად, მათემატიკური ლოგიკის თვალსაზრისით; მნიშვნელოვანია მატერიალური და ბიპეიორისტული მსჯელობისათვის, არა მხოლოდ მეტაფიზიკური სისტემებისათვის, არამედ რ. ქარნაფის მიერ შემუშავებული ლინგვისტური აზრის თვალსაზრისით, მაგრამ არც ერთი ჩამოთვლილი მიზეზთაგანი არ იძლევა იმის საშუალებას მივიჩნიოთ, რომ ეს თეზისი ჭეშმარიტია. ჩვენ არ გვჭირდება ბ. რასელის, რ. ქარნაფისა და სხვა ფილოსოფოსთა დასკვნის მიზეზების განხილვა, ვინაიდან ექსტენსიონალობის თეზისი ყოველდღიურ, სალაპარაკო სიტუაციებშია განფენილი ან შესაძლებელია შეიქმნას გარკვეული ფორმალური სისტემის სახით. კოლოქვიალური ენის ინტერპრეტირებისათვის ექსტენსიონალობის თეზისის ფილოსოფიური წინააღმდეგობრიობა საფუძველს გვაძლევს, რომ ლინგვისტურ სემანტიკაში ის არ მივიღოთ, და თუკი იგნორირებას ვუკეთებთ, იმის საჭიროებაც არ არსებობს, რომ ამ ფილოსოფიურად ამოუხსნელ პრობლემებს ჩაუღერმავედეთ (Carnap R. 1956; Russell B.1940).

რეფერენსსა და აზრს შორის დიფერენციაცია მნიშვნელობის არც ერთ ფილოსოფიურ თეორიას არ უკავშირდება; ის არსებობს დამოუკიდებლად, ჩანაცვლების მეთოდით კი შენარჩუნებულია ექსტენსიონალობა და ჭეშმარიტება. შესაძლებელი რომ იყოს ამ დიფერენციაციის გაბათილება იმ თვალსაზრისით, რომ ხელსაყრელი იქნება მოვახდინოთ წინადადებაში გამოხატული ლოგიკის სტრუქტურის ფორმალიზება. ეს დაყოფა მაინც გადამწყვეტია, ვინაიდან ის ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს წინადადების აქტიურ კონტექსტში წარმოთქმის დროს. ეს კი სემანტიკაში შემდგენაირად მტკიცდება: ერთი მხრივ, წინათეორიული მსჯელობისას არასინონიმური გამოთქმები (“მამანემი” და “ის კაცი”) შეიძლება მიუთითებდეს ერთი და

იმავე ინდივიდზე. ამ წინათეორიული ინსტიტუტის ანალიზი კი თეორიული სემანტიკის პრეროგატივას წარმოადგენს.

ფილოსოფოსების მიერ წარმოდგენილი მრავალი კლასიკური მაგალითი, რომელიც აზრსა და რეფერენსს შორის დიფერენციაციის ილუსტრირების ერთგვარი საშუალებაა, იდენტურია შემდეგი გამოთქმის: *The Morning star is The evening star*, ვინაიდან ისინი ემსახურებიან იდენტიფიკაციის ექვივალენტურ (ტოლობით) წინადადებებში ყოფნას ზმნის საშუალებით. მაგრამ ინგლისურ ენაში თხრობით წინადადებათა უმრავლესობას არ გააჩნია ისეთი გრამატიკული სტრუქტურა, როგორც გამოთქმას *“The Morning star” is the evening star*.

მოცემული წინადადება

(4) *John is a fool*

რომლის საშუალებითაც ვამტკიცებთ, რომ ჯონი სულელია, ექვივალენტური არაა. ვერ ვიტყვით, რომ ორი სავარაუდოდ განსხვავებული ინდივიდი ფაქტიურად იდენტურია: უბრალოდ კონკრეტულ პიროვნებას ჯონსს მივაწერთ სულელის შინაარსს ან ალტერნატიულად ვამბობთ, რომ ის სულელთა კლასის წარმომადგენელია. წინადადებაში (4) “ჯონი” მიხათითებელი სიტყვაა, ხოლო (*be*) *a fool* წმინდა პრედიკატულ ფუნქციას ასრულებს. ახლა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ორ სიტყვათწყობას ორი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. “ჯონის” ნაცვლად შეგვიძლია გამოვიყენოთ ნებისმიერი სხვა მარტივი თუ რთული სიტყვა (სახელი, ნაცვალსახელი ან დესკრიბციული ფრაზეოლოგიური არსებითი სახელი), რადგან ვიცით, რომ ის ახდენს ისეთი ინდივიდის იდენტიფიცირებას, როგორცაა ჯონი კონკრეტულ კონტექსტში. ამ შემთხვევაში გამონათქვამის დესკრიფციული მნიშვნელობა არ იცვლება, ხოლო თუ (*be*) *a fool* – ს ჩავანაცვლებთ იდენტური აზრის მქონე სიტყვათწყობით, გამონათქვამის დესკრიფციული მნიშვნელობა აშკარად შეიცვლება.

ყოველივე კი შეიძლება ორ წინადადებაში მოვათავსოთ: კრიტერიუმი, რომლის თანახმადაც ხდება სუბიექტის ჩანაცვლება მოცემულ კონსტრუქციაში რეფერენტული იდენტურობაა, ხოლო პრედიკატის პოზიციაში ჩანაცვლება აზრის პრეროგატივაა.

ფილოსოფოსები ცდილობდნენ ჯ. ლაიბნიცის ჩანაცვლების პრინციპის გამოყენებას რეფერენსისა და აზრის განსაზღვრების ჭეშმარიტების დაურღვეველად. მოცემული პრინციპის თანახმად, ორ გამონათქვამს მსგავსი რეფერენსი გააჩნიათ, თუ შესაძლებელია მათი ჩანაცვლება სუბიექტის პოზიციაში ისე, რომ არ შეიცვალოს ნებისმიერი გამონათქვამის ჭეშმარიტება და მათ გააჩნიათ იდენტური აზრი, თუ გამონათქვამის მნიშვნელობა არ დაირღვევა პრედიკატის პოზიციაში ჩანაცვლების შედეგად.

კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს აზრის მსგავსება-განსხვავებას, პირდაპირ კავშირში იმყოფება გამონათქვამის დესკრიფციულ მნიშვნელობასთან. ორ გამონათქვამს იდენტური აზრი გააჩნია (სინონიმურია), თუ მათი ჩანაცვლებით არ დაირღვევა დესკრიფციული მნიშვნელობა. თუ გამონათქვამი თავისთავად ჭეშმარიტია, დესკრიფციული მნიშვნელობის არსებობა ჭეშმარიტების უცილობელი გარანტიაა. ერთი გამონათქვამის ჩანაცვლება მეორეთი ცვლის დესკრიფციულ მნიშვნელობას, მაგრამ ჭეშმარიტება არ ირღვევა.

ვთქვათ, ჯონი სულელის გარდა ლინგვისტიცაა. ჩანაცვლების შედეგად მივიღებთ, რომ

(4) John is a linguist.

ახლა (4) და (5) წინადადებები, უფრო სწორედ, გამონათქვამები, რომლებიც მოცემული წინადადების წარმოთქმით მიიღება, ჭეშმარიტია, მაგრამ განსხვავდებიან დესკრიფციული მნიშვნელობით.

და გვაძლევს იმის საბაბს, რომ ასე ვიფიქროთ? როცა განსხვავება აშკარაა, ჩვენი ინტუიციური, პრეთეორიული პასუხი

კითხვაზე “(5) და (4) გამოთქმათა მნიშვნელობები იდენტურია თუ არა? არც ის უნდა დაგვაეიწყდეს, რომ დესკრიფციულ სემანტიკაში ინტუიციური მსჯელობა დიდ როლს ასრულებს. როგორ შეიძლება დავამტკიცოთ, რომ (4) და (5) დესკრიბციული მნიშვნელობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან? ეს საკითხი თეორიულად ძალიან საინტერესოა.

უ. ქუინმა წარმოადგინა ამ საკითხის ფილოსოფიური ფორმულირება, რომ წინადადებები სინონიმურია თუ მათი ორმაგი პირობითი კავშირი უცილობლად ანალიტიკურია. (Quine W. 1960). უ. ქუინმა ანალიტიკურობის ცნება შეცვალა “ემპირიზმის დოგმით”. ის მიიჩნევდა, რომ მკვეთრი ზღვარის გავლენა ლოგიკურ და ფაქტობრივ ჭეშმარიტებას შორის შეუძლებელია: ჩვენ უნდა ვიპოვოთ განგრძობითი გრადაცია იმ საგნებს შორის, რომელთაც ჭეშმარიტად მივიჩნევთ, და რომელთაც ჩვენს კონცეპტუალურ სქემაში ცენტრალური პოზიცია უკავიათ და იმ საგნებს შორის, რომელთაც უფრო პერიფერიული პოზიცია აქვთ. უპირატესობა კი პერიფერიულობას ენიჭება. ჭეშმარიტება, რომელიც ცენტრალურ ადგილს იკავებს ადამიანის კონცეპტუალურ აღქმაში, არაფერია, თუ არა მათემატიკური სიზუსტე ($2+2=4$) და ლოგიკური პრინციპი (კანონი). ფილოსოფოსები მოცემულ ჭეშმარიტებას ანალიტიკურს უწოდებენ, მაგრამ უ. ქუინის თვალთახედვით, ყველაზე ცენტრალური ჭეშმარიტებაც კი მხოლოდ და მხოლოდ განმეორებაა მსუბუქი გამოცდილების. ამ უკანასკნელის ინტერპრეტირება კი მხოლოდ ახალ კონცეპტუალურ ჩარჩოებშია შესაძლებელი. საბოლოოდ თანამედროვე მეცნიერულმა პროგრესმა იმ პრინციპების უგულებელყოფა მოითხოვა, რომლებიც ერთ დროს უნივერსალურად ითვლებოდა (Quine W. 1960).

უ. ქუინი მთლიანად არცაა მართალი როცა ამბობს, ყოველდღიურ დისკუსიებსა თუ კამათში შეუძლებელია სინთეტიკური და ანალიტიკური ჭეშმარიტების გამოჯვნა. ქარნაფი მიიჩნევდა, რომ

ანალიტიკურობის კონკრეტული ლოგიკური სისტემა განაპირობებდა მნიშვნელობის პოსტულატებით (Carnap R. 1956).

მაგალითისთვის ავიღოთ ერთი მნიშვნელოვანი პოსტულატი
(X) $(Bx \rightarrow \sim Mx)$

ეს ფორმულა შეიძლება წავიკითხოთ შემდეგნაირად

No x that is a bachelor is married

საბოლოო დასკვნა კი შემდეგნაირად ჟღერს

$Ba \rightarrow \sim Ma$

ი.ე. If Alfred is a bachelor, then he is not married.

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ წყვეტს დესკრიფციულობის საკითხს; მოვათავსოთ თუ არა სისტემაში (X) $(Bx \rightarrow \sim Mx)$ პირველ ადგილზე. რ. ქარნაფი კი ამ საკითხზე მსჯელობისას არ ეხება დესკრიფციულ სემანტიკას. მას სურს, ანალიტიკურობის ცნება წმინდა სემანტიკური სისტემის ჩარჩოებში მოეთავსოს. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელობა- პოსტულატი (X) $(Bx \rightarrow \sim Mx)$ თავისთავად აკავშირებს აზრს პრედიკატთან, თანაც არ არის ლოგიკურად დამოკიდებული ყოველი მათგანის მნიშვნელობაზე.

გნახოთ, როგორია კავშირი სიტყვებს married და bachelor შორის. ფაქტიურად, შესაძლებელია, რომ ისინი ამ მხრივ დაკავშირებული იყვნენ ერთმანეთთან და არ ვიცოდეთ მათი მნიშვნელობები. ის, რომ bachelor სემანტიკურად დაკავშირებულია სიტყვასთან married, ამ აზრის ერთ-ერთი ნაწილია და პირიქით. იმისთვის, რომ გავაანალიზოთ ან აღვწეროთ სიტყვის აზრი, საჭიროა განვიხილოთ მისი აზრობრივი მიმართება სხვა სიტყვასთან. ეს კი შესაძლებელია, რ. ქარნაფის სიტყვებით რომ ვთქვათ, მნიშვნელობა – პოსტულატების საშუალებით (Ibid).

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად რ. ქარნაფი კონცენტრირებას ახდენდა ლოგიკის სინტაქსურ და სემანტიკურ სტრუქტურაზე, მოგვიანებით ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისი

მოსაზრებები ნაყოფიერი გამოდგებოდა ბუნებრივი ენის ანალიზის შემთხვევაში. ის ეთანხმება ქ. მორისს, რომ მნიშვნელობა-პოსტულატების ცნება პრაგმატიკის სფეროს წარმოადგენს, ვინაიდან ის დამოკიდებულია იმაზე, რა სახის იმპლიკაცია და ექვივალენტია მისაღები სემიოტიკური სისტემის მომხმარებლისათვის. თუ ის ასეა, მომავალში ადვილი შესაძლებელი იქნება ლინგვისტიკისათვისაც ანალიტიკური და სინთეტიკური ჭეშმარიტების განსაზღვრისას დაიკავონ ფილოსოფიურად ნეიტრალური პოზიცია. შესაძლებელი იქნება ბუნებრივ ენაში ამა თუ იმ გამონათქვამის დეფინიცია პრაგმატული იმპლიკაციის საშუალებით ანუ მთქმელი არა მხოლოდ ამბობს, რასაც ამბობს, არამედ გულისხმობს, რასაც ამბობს და ამბობს, რასაც გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ აქ მოცემული ჭეშმარიტება პრაგმატული ცნებაა. იგი განისაზღვრება, როგორც მთქმელის აზრი. აქტები და ლოგიკურობა აუცილებლობას არ წარმოადგენს. არ არის აუცილებელი, პრაგმატული ჭეშმარიტება იყოს მუდმივი ან განსაზღვრული: მთქმელმა სიტყვათა შორის ურთიერთმიმართებისადმი შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს პოზიცია. მაგალითად, არ არსებობს ზუსტი მნიშვნელობა bachelor-სი. იგი (საქორწინო ასაკის) კაცია, რომელიც დაქორწინებული არ არის, თუ კაცი, რომელიც არასდროს არ იყო დაქორწინებული. თანაც ისიც საკამათოა, რა ასაკშია ადამიანი (კაცი) მზად იქორწინოს ან შესაძლებელია თუ არა ვუწოდოთ მღვდელს bachelor? ან გამართლებულია თუ არა ამ სიტყვის გამოყენება, როცა ვსაუბრობთ კაცზე, რომელსაც ლეგალური ცოლი არ ჰყავს, მაგრამ ცხოვრობს ქალთან, ჰყავს შვილები და ყოველნაირად უზრუნველყოფს მათ? ამ კითხვებზე პასუხი, რა თქმა უნდა, ნათელია ლეგალური კანონის თვალსაზრისით, რომელიც მეტნაკლებად განსხვავდება ყოველდღიური სალაპარაკო ენისაგან.

მნიშვნელობის რაობის საკითხზე სხვადასხვა მთქმელს სრულიად განსხვავებული აზრი გააჩნია. წარმოთქმის ანალიზით მიღებული კონკრეტულ იმპლიკაციას ორი ინდივიდი სხვადასხვანაირად აღიქვამს, თუმცა აუცილებელია საზიარო ფორმაც. დესკრიფციული სემანტიკა კი საზიარო ომპლიკაციის ამ ფორმებს მხედველობაში იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ბუნდოვანს გახდიან ამა თუ იმ ინტენციას. ენის ჩვენეული აღწერა კი იმდენად უნდა იყოს განსაზღვრული, რამდენადაც იმ ენის სისტემა, რომლის მოდელსაც ის წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ აზრის ფორმულირება უფრო ვიწროა, ვიდრე ფილოსოფიური სემანტიკის მიერ წარმოდგენილი განსაზღვრება. კითხვა “რას წარმოადგენს ამა თუ იმ სიტყვის აზრი?” უფრო ლიმიტირებული ხასიათისაა, ვიდრე “რას წარმოადგენს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა?”. უნდა ითქვას, რომ აზრი (და დეტონაცია) გააჩნია კონკრეტულ ლექსიკურ სიტყვებს (უფრო ზუსტად, ლექსემას) და ექსპრესიებს, ხოლო რეფერენსით მხოლოდ ექსპრესიები ხასიათდება. გამონათქვამების აზრი მისი კომპონენტი ლექსემებისა და კონკრეტულ გრამატიკულ კონსტრუქციებში მათი გამოყენების სფეროს ფუნქციას წარმოადგენს.

§3. სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა

ახლა განვიხილავთ სემიოტიკის სამ სფეროს: სინტაქტიკას, სემანტიკას და პრაგმატიკას შორის ურთიერთმომართებას ქ. მორისის და რ. ქარნაფის იდეებზე დაყრდნობით. (Morris C. 1971; Carnap R. 1956.)

მოცემულ კლასიფიკაციას უდაოდ ს. პირსთან მიეყვართ, მაგრამ პირველი მეცნიერი, რომელმაც საკითხს აშკარად ნათელი მოჰფინა გახლდათ ქ. მორისი, რ. ქარნაფმა კი მისი მოსაზრება ნიშანდობლივად განავრცო. ქ. მორისი იძულებული იყო აღენიშნა, რომ “პრაგმატიკა” და “სინტაქტიკა” საკმაოდ ბუნდოვანი ცნებებია. (Morris C. 1971).

ადრეულ შრომებში ქ. მორისი პრაგმატიკას განმარტავდა როგორც სწავლებას “ნიშანსა და მისი მომხმარებლის ურთიერთმომართებას”, სემანტიკას ნიშანსა და საგანს შორის ურთიერთმომართების შესახებ სწავლებას, ხოლო სინტაქსი მისი თქმით, გახლდათ სწავლება “ნიშანთა ურთიერთმომართებისა ერთმანეთთან” (ibid). შემდეგში მან უფრო დახვეწილი ფურმულირება წარმოადგინა, რომელიც ითვალისწინებდა “გავრცელებული კლასიფიკაციის შტრიხების შენარჩუნებას და მის თავისუფლებას ყოველგვარი შეზღუდვებისა და ბუნდოვანებისაგან და ტერმინების თავისუფალ ინტერპრეტირებას სემიოტიკის ფარგლებში” (ibid). განახლებული განსაზღვრება შემდეგში მდგომარეობს: პრაგმატიკა სემიოტიკის ნაწილია, რომელიც უკავშირდება ნიშანთა წარმოებას, გამოყენებასა და ეფექტს ქმედებათა იმ ნორმის ფარგლებში, რომელსაც მოიცავს. სემატიკა უკავშირდება იმ ნიშანდების პროცესს აღნიშვნის ყოველ ასპექტში; სინტაქტიკა კი ნიშანთა კომბინაციასთან ასოცირდება ისე, რომ მხედველობაში არ მიიღება სპეციფიური სიგნიფიკაცია ან მათი დამოკიდებულება შესაბამის ქცევის ნორმებთან.

რ. ქარნაფის დეფინიცია ახლოსაა ქ. მორისის ადრეულ ფორმულირებასთან, მიუხედავად იმისა, რომ რ. ქარნაფს ყოველივე

ლოგიკურობამდე დაჰყავს: თუკი კვლევისას ექსპლიციტური პოზიცია უკავია მთქმელს ან უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ენის მომხმარებელს, საქმე გვაქვს პრაგმატიკასთან, თუ მთქმელს გამოვეყოფით და ცალკეულ წინადადებებს და მათი აღნიშვნის ობიექტებს გავანალიზებთ, ამ შემთხვევაში სემანტიკის სფეროში ვიმყოფებით, და თუკი საბოლოოდ ამ პოზიციიდანაც გამოვალთ და წინადადებებს შორის ურთიერთმიმართების ანალიზს მოვახდენთ, საქმე გვაქვს (ლოგიკურ) სინტაქსთან. (Carnap R. 1942).

როგორც ჩანს, ამ განსაზღვრებაში “მომხმარებელი” ჩანაცვლებულია უფრო ზოგადი ტერმინით “მთქმელი”, მაგრამ ბუნდოვანია რამ გამოიწვია ამ ტერმინის ზოგადი ხასიათი: მისმა კავშირმა წერილობითი სიტყვის ავტორთან, მთქმელთან, მსმენელთან, მკითხველთან თუ მის მომხმარებელთან. ერთადერთი რაც აშკარაა არის ის, რომ პრაგმატიკაში რ.ქარნაფი უპირატესობას ანიჭებს ნიშნის მწარმოებელს და არა მიმღებს. მაშინ, როცა ქ. მორისი ადრეულ ნაშრომებში პრაგმატიკას განიხილავს იმ თვალსაზრისით, როგორ ეფექტს ახდენს ნიშნები მომხმარებელზე. ერთ-ერთ გამომცემლობაში გამოქვეყნდა სტატიები, სადაც უამრავი ავტორი გამოთქვამდა თავიანთ მოსაზრებას ზემოთ განხილულ საკითხზე. აღსანიშნავია ერთი ფრაზა “პრაგმატიკა სწავლობს ნიშანთა მიმართებას ხალხთან”

რ.ქარნაფის თვალსაზრისით სემანტიკასა და პრაგმატიკას შორის განსხვავება უახლოედება ენასა და ლოგიკას შორის დიფერენციაციას. სემანტიკა და პრაგმატიკა მნიშვნელობის ანალიზის ფუნდამენტალურად განსხვავებულ ფორმებს წარმოადგენენ. პრაგმატიკა შეესაბამება ისტორიულად არსებული ბუნებრივი ენის ემპირიულ კვლევას მაშინ, როცა წმინდა სემანტიკა სწავლობს კონსტრუქციულ ენას როგორც სისტემას. დესკრიფციული სემანტიკა კი მისი თქმით, შეიძლება ჩაითვალოს პრაგმატიკის ნაწილად. (Carnap R 1956). ასე თუ ისე, მიუხედავად იმისა, რომ, ის წმინდა სემანტიკასა და

აღწერილობით სემანტიკას “ანალიზისათვის ფუნდამენტალურად განსხვავებულ ფორმებად” მიიხსენიებდა, შემდეგ შრომებში დაამტკიცა, რომ წმინდა სემანტიკა შეიძლება ჩაითვალოს დესკრიფციული სემანტიკის მოდელად, მისი ეს მოსაზრება აქტიურად გამოიყენეს ლოგიკური სემანტიკის მიმდევრებმა ბუნებრივი ენის ანალიზისას. თავის ნაშრომში რ.ქარნაფის ფილოსოფიის შესახებ ქმორისი წერდა, რომ ეს უკანასკნელი პრაგმატიკას ემპირიულ დისციპლინად მიიხსენიებდა და გამორიცხავდა მის იდენტურობას წმინდა სემანტიკისა და წმინდა სინტაქტიკასთან (Morris C. 1971), არ არსებობს მიზეზი, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ტერმინები “წმინდა” და “აღწერილობითი” იმ ურთიერთობის ანალიზისას, რომელიც არსებობს ნიშანსა და მის მომხმარებელს შორის, ტერმინი “ლოგიკური” შეიძლებოდა გამოგვეყენებინა სემიოტიკასთან მიმართებაში, რ.ქარნაფი ამ მოსაზრებას დაეთანხმა.

ქმორისი და რ.ქარნაფი შეთანხმდნენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ბუნებრივ ენაში მნიშვნელობის ანალიზისას ყველაფერი დაიყვანება პრაგმატულ ასპექტამდე. რ.ქარნაფი თავის უახლოეს ნაშრომში მიიხსენებს, რომ “ენას გააჩნია პრაგმატული ხასიათი” (Carnap R.1956).

ჯ.ლაიონსი ასკენის, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა, სემანტიკასა და პრაგმატიკას შორის სრულფასოვანი განსხვავების პოვნა შეუძლებელია (Lyons J.1995).

ორიოდე სიტყვით შევხვით სინტაქსის ურთიერთმიმართებას სემანტიკასთან. ლინგვისტები და ფილოსოფოსები გამოყოფენ ორი სახის იდეალური ფორმულის პრინციპებს, რომლებიც უკავშირდებიან წინადადებისა და ფრაზის კონცენტრაციას, პირველი განისაზღვრება მათი გრამატიკული ხასიათით, მეორე კი—მათი მნიშვნელობით. თუ სემანტიკა მნიშვნელობას შეისწავლის, მაშინ კომპინაციური ასპექტი ვრცელდება როგორც სემანტიკაზე, ისე სინტაქსზე. მაგრამ რ.ქარნაფისა და ქმორისის დეფინიციას ეს მოსაზრება არ ესადაგება,

სინტაქსის განსაზღვრების კრიტიკის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მასში არ არის მოცემული განსხვავება ფორმას, ლექსემასა და გამოთქმას შორის. აქედან გამომდინარე, არ არის დადგენილი, რა პრინციპით უნდა გამოვეყნოთ სინტაქსი ისეთი დისციპლინებიდან როგორცაა ენა და მორფოლოგია.

და ბოლოს განვიხილოთ თვით ტერმინი “სემიოტიკა”, განსაზღვრებისათვის საუკეთესო საშუალება გახლავთ სასიგნალო თეორიის გამოყოფა. სასიგნალო სისტემათა (ანუ სემიოტიკურ სისტემათა) შორის საჭიროა განვასხვაოთ ბუნებრივი და ხელოვნური სისტემები. ბუნებრივში არ იგულისხმება მათი ხატოვანი ან თუნდაც სიმბოლური ხასიათი. არც ის, რომ ინსტიტუტურობით ხასიათდებიან. “ბუნებრივი” ნიშნავს, რომ ისინი “ისტორიულად არსებობენ” და რომ განზრახ არ არიან შექმნილნი. შეიძლება სასარგებლოც კია ლინგვისტიკის ჩართვა სემიოტიკის ზოგად თეორიაში, რომელიც დაკავშირებულია ყველა ბუნებრივ და ხელოვნურ სასიგნალო სისტემასთან.

როგორც ვნახეთ, პრაგმატიკას ბევრი ლინგვისტი განიხილავს, როგორც სემანტიკის კონტრასტულ მეცნიერებას, მაგრამ ავიწყდებათ ერთი რამ, რომ ლინგვისტიკა სემიოტიკის ნაწილს წარმოადგენს.

§4 რეფერენსი, კონოტაცია და დენოტაცია

როგორც ცნობილია, სიტყვა “მნიშვნელობა” მრავალ შესაძლო ურთიერთკავშირში მყოფ აზრს შეიცავს. განსაკუთრებით სამი ტიპის მნიშვნელობას გამოყოფენ: აღწერილობითს, სოციალურსა და ექსპრესიულს. ენა კი უნიკალურ ბუნებრივ სისტემას წარმოადგენს, რომელსაც ძალუქს სამივე სახის ინფორმაციის გადატანა. შეეხებოთ აღწერილობით მნიშვნელობას.

მოცემულ კლასიფიკაციას მრავალი ფილოსოფოსი შეეხო, მაგრამ სხვადასხვა კუთხით. ამჟამად ნიშანდობლივია გამოვეყნოთ აზრი და რეფერენსი. იგივე ცნებებს სხვა ტერმინებითაც გამოხატავენ: მნიშვნელობა და რეფერენსი, კონოტაცია და დენოტაცია, ინტონაცია და ექსტენცია.

ტერმინი “რეფერენსი” უკავშირდება გამონათქვამებს შორის ურთიერთკავშირს და იმას, თუ რას აღნიშნავს ესა თუ ის წინადადება კონკრეტულ სიტუაციაში. ამ ტერმინის გარდა გამოიყენება აგრეთვე ტერმინი “რეფერენტული”, თუმცა მიიჩნევენ, რომ ის სულ სხვა აზრს შეიცავს, რაც საკითხს ბუნდოვანს ხდის.

ჯ. გრინი და ჯ. მორგანი ტერმინს “რეფერენტი” გამოიყენებდნენ ექსტერნალურ სამყაროს ნებისმიერი ობიექტისა თუ მოვლენათა მიმართებაში, რომელიც განისაზღვრება სიტყვით ან ექსპრესიით (ისინი არ გამოყოფდნენ ცალ-ცალკე ფორმას, ლექსემსა და ექსპრესიას), ხოლო “რეფერენსი” მათი მოსაზრებით ცნებაა, რომელსაც შუალედური პოზიცია უჭირავს სიტყვასა და რეფერენტს შორის: რეფერენსის ეს ცნება ახლოსაა ამ ტერმინის ფილოსოფიურ გაგებასთან, იმ განსხვავებით, რომ ფილოსოფოსები მის შუალედურ ხასიათს გამორიცხავენ და ექსპრესიასა და რეფერენტს შორის ურთიერთმიმართებასთან აკავშირებენ (Green J.1972;Morgan J.1969).

ჯ. გრინმა და ჯ. მორგანმა ცნება გამოიყენეს ემოციური მნიშვნელობით, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს მსმენელზე

ემოციური ეფექტის მოხდენა. ისინი ამბობდნენ, რომ ორ სიტყვას შესაძლოა ჰქონდეს მსგავსი რეფერენტული მნიშვნელობა, მაგრამ განსხვავებულდეს ემოციური მნიშვნელობით. მაგალითად: horse და steed. ეს დიფერენციაცია რეფერენსსა და აზრს შორის ფილოსოფიური განსხვავების იდენტური არაა. უფრო ცენტრალური, სტილისტურად ნეიტრალური მნიშვნელობის კომპონენტსა და პერიფერიული სუბიექტური მნიშვნელობის ოპოზიციათა კვლევა სინონიმის კომპეტენციას წარმოადგენს, ამჟამად ტერმინები “რეფერენსი” ან “რეფერენტული მნიშვნელობა” ინტენსიურად გამოიყენება სემანტიკაში და სტილისტიკაში “კონკრეტული მნიშვნელობის” ანუ “დესკრიპციული მნიშვნელობის” აზრით.

ტერმინი “კონოტაცია” პრობლემატურ და ნულოვან ასპექტს წარმოადგენს. ის “დენოტაციის” ოპოზიციაა. გ. მილერმა (Miller G. 1963) მოგვცა ტერმინოლოგიური ოპოზიცია. მოკლე ციტატა გვინვენებს, თუ რა სახის განსხვავება ჰქონდა მას მხედველობაში: სიტყვა “თეთრი” მიუთითებს ყველა თეთრ საგანზე, იქნება ეს თოვლი, ქაღალდი, ზღვის ქაფი თუ სხვა რამ და გულისხმობს ანუ დამატებით მნიშვნელობას აძლევს სითეთრეს. გ. მილერის თვალსაზრისით, ექსპრესია მიუთითებს ინდივიდთა კლასზე, რომლის სახელსაც ის წარმოადგენს, მაგრამ, თუ ის, როგორც გ. მილერი უწოდებდა, კონკრეტული ზოგადი ტერმინია, როგორცაა “თეთრი” ან “კაცი”, რომელიც დამატებით მიუთითებს კლასზე ან ერთ-ერთ მის წარმომადგენელზე, მაშინ ის აგრეთვე გულისხმობს ნიუანსებს, რომლის მიხედვით ამა თუ იმ ინდივიდს კონკრეტულ კლასს მიაკუთვნებენ. გ. მილერის უახლეს ფილოსოფიურ ნაშრომში ტერმინები “კონოტაცია” და “დენოტაცია” უფრო სხვა თვალსაზრისით განიხილება, ვიდრე გ. ფრიჯის ტერმინები “რეფერენსი” და “აზრი”.

ამჟამად, რატომ აირჩია გ. მილერმა ტერმინი “კონოტაცია”. როგორც თვითონ ამბობს, ეს ტერმინი გვინვენებს, რომ ის სუბიექტს

აღნიშნავს ანუ დენოტაციას წარმოადგენს, რომელიც ამ განსაზღვრებებს შეიცავს. რამდენადმე მსგავსია ცნების “კონოტაცია” არაფილოსოფიური გამოყენება. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველ სიტყვას გააჩნია სასიამოვნო, საჭირო კონოტაცია. სიტყვის კონოტაცია ემოციური ანუ ეფექტური კომპონენტია, მისი ცენტრალური მნიშვნელობის დამატებით. ამიტომ, თუ ამ ტერმინს სემანტიკაში შევხვდებით, ფრთხილად უნდა ვიყოთ მის განსაზღვრისას. თუკი ის ექსპლიციტურად უპირისპირდება “დენოტაციას”, მაშინ მას ჩვეულებრივ ექნება ფილოსოფიური გაგება.

შემდგომ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემატიკაა წინადადების, სიტყვისა და ექსპრესიის გარჩევა ერთმანეთისაგან. რეფერენსი აზრზე დამოკიდებული ცნებაა. განსხვავებით აზრისა და დენოტაციისა, ინგლისურ ენაში არც კონკრეტულ სიტყვა-ფორმას და არც ლექსემას არ უკავშირდება. ეს ნათლად განარჩევს რეფერენსს დენოტაციისაგან, როგორც მას გ. მილერი უწოდებდა. (ibid).

როდესაც წარმოვთქვამთ მარტივ დესკრიფციულ წინადადებას, ძალიან ხშირად, ყოველთვის თუ არა, ჩვენი ქმედება მოიცავს რაიმეს თქმას ან მტკიცებას ამ რამის შესახებ. ყოველივე კი გამომდინარეობს ბუნებრივობით და არა აუცილებლობით. რა თქმა უნდა, შეიძლება წარმოვთქვათ წინადადება, რომელიც არ შეიცავს მტკივებას კონკრეტული ინდივიდის ან ინდივიდთა კლასის შესახებ. მაგალითად, თუ წინადადება “წვიმს” წარმოადგენს დესკრიფციულ გამონათქვამს, მაშინ ის არ შეიცავს კონკრეტულ შინაარსს და არ არის ჩართული ამა თუ იმ ქმედით პროცესში. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს წინადადება გამოიყენება, როგორც დესკრიფციული გამოთქმა ამინდის შესახებ, მაგრამ არა ისე, რომ მიეწეროს ამინდთან დაკავშირებული სხვა ინდივიდუალური, შინაარსობრივი, მახასიათებელი თვისებები. მოდით, გავამახვილოთ ყურადღება გამოთქმებზე, რომლებიც ჩვეული

ფუნქციის გარეშე მიუთითებენ რამეზე, რომელსაც საკუთრივ კონკრეტული შინაარსი გააჩნია.

როცა წარმოვთქვამთ Napoleon is a Corsican ეს უცილობლად ნიშნავს, რომ მთქმელი მიუთითებს კონკრეტულ ინდივიდზე (ნაპოლეონზე) სპეციფიური კონსტრუქციის დახმარებით. თუ რეფერენსი წარმატებით განხორციელდა, მოცემული რეფერენტული წინადადება საშუალებას მისცემს მსმენელს, განსაზღვროს კონკრეტული ინდივიდი: რეფერენტი. აღსანიშნავია, რომ მოცემული კონსტრუქციის თანახმად, მთქმელი გახლავთ ის ინდივიდი, რომელიც მიუთითებს. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ექსპრესია მიუთითებს რეფერენტს. წინადადება:

What does the expression “X” refer to?

იღენტურია წინადადების

What is the speaker referring to by means of “X”?

თუ წინადადება შეიცავს მხოლოდ ერთ რეფერენტულ გამონათქვამს, რომელსაც ვიყენებთ, რომ მიუთითოთ საუბრის ობიექტს, იგი წინადადების ტიპური ქვემდებარეა, ურთიერთკავშირში იმყოფება პრედიკატულ გამონათქვამთან (ტიპურ გრამატიკულ პრედიკატთან).

მაგალითად, (be) a Corsican პრედიკატიული გამოთქმაა წინადადებაში.

Napoleon was a Corsican.

მაგრამ წინადადება შეიძლება შეიცავდეს ორ ან სამ რეფერენტულ გამოთქმას. მაგალითად, თუ წინადადება

წარმოითქვა მისთვის დამახასიათებელი ძალით, გადაიქცევა გამოთქმად, ორივე სიტყვა აღფრედ და ბილ იქნებიან რეფერენტული გამოთქმები, რომელთა რეფერენტების ანუ ინდივიდთა იდენტიფიკაცია მოხდება სახელებით აღფრედ და ბილ.

რეფერენსის აქტუალობა ტექსტის ანალიზისაკენ წინ გადადგმული ნაბიჯია. სავსებით შესაძლებელია, რომ ლინგვისტმა რეფერენსის შესწავლა გრამატიკული სტრუქტურებისა და იმ პროცესების შესწავლით დაიწყო, რომლებიც მიუთითებენ კონკრეტულ ინდივიდზე ან ინდივიდთა ჯგუფზე. მაგრამ ამ ორი დისციპლინის სხვაგვარად შესწავლა ყოველად შეუძლებელია.

§5. მნიშვნელობათა ტიპები ენაში

მნიშვნელობა ოპოზიციითაა ჯამს წარმოადგენს. ის სტაბილურია, საერთოა ენის ყველა მცოდნისათვის. შესაბამისად სემანტიკაშიც ყველაფერი სტაბილურია, ენობრივი კოლექტივისათვის საერთო. გამოყოფენ მნიშვნელობის შვიდ ტიპს.

კონცეპტუალური მნიშვნელობა (ზოგჯერ მას დენოტატურ ან კოგნიტურ მნიშვნელობასაც უწოდებენ) ლინგვისტური კომუნიკაციის ცენტრალურ ფაქტორს წარმოადგენს. ლინის მოსაზრებით, ეს ტიპი ენის ფუნქციონირების პროცესში ინტეგრალურ ხასიათს იძენს. მას გააჩნია კომპლექსური და კომპეტენტური ორგანიზებულობა თუკი შევადარებთ იგივე ფუნქციის სინტაქსურ და ფონოლოგიურ სისტემებს. აქვე საჭიროა გამოიყოს ორი ტიპის პრინციპი: სტრუქტურისა და კონტრასტულობის. კონტრასტული თვისებები კონცენტრაციას ახდენენ ფონოლოგიის სფეროში ბგერების კლასიფიკაციაზე. მაგალითად, ფონეტიკური სიმბოლო /b/ შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი კონტრასტული შტრიხებით:

+bilabial

+voice

+stop

-nasal

კონცეპტუალურ მნიშვნელობას კონტრასტული თვისებების
საშუალებით სწავლობენ—დავახასიათოთ სიტყვა woman:

+Human; -male; +adult

სიტყვას boy კი შემდეგი თვისებები გააჩნია:

+Human; +male; -adult

მეორე სტრუქტურის პრინციპი გვიჩვენებს თუ როგორ ვღებულობთ უფრო დიდ ლინგვისტურ ერთეულებს პატარა ერთეულებისაგან, ან თუ როგორ ხდება წინადადების სინტაქსური ანალიზი დამოკიდებული წევრებიდან წინადადების მთავარ, ძირითად წევრებამდე. დიაგრამას კი ასეთი სახე ექნება:

წინადადება

ქვემდებარე

შემასმენელი

მსაზღვრელი

არს. სახელი

ზმნა

დამატება

მსაზღვრელი არს.სახელი

No

man

is


an

island

{(No)(man)} {[is] [(an)(island)]}

ამჟამად მიიჩნევენ, რომ სემანტიკას ექვივალენტი გააჩნია, როგორც სინტაქსური სტრუქტურის თვალსაზრისით, ასევე სიმბოლური ლოგიკის თვალსაზრისითაც, რომელთა თეორეტიკოსები ფილოსოფოსები და მათემატიკოსები არიან.

საჭიროა ავლნიშნოთ ლინგვისტური ორგანაზაციის კიდევ ერთი პრინციპი, რომელიც ხაზს უსვამს გარკვეული დონეების თანმიმდევრულობას. ყველაზე ცოტა საში დონის გაერთიანებაა საჭირო სრული ლინგვისტური კომპეტენციისათვის:



მთქმელი

მსმენელი

კონოტატიური (მეორადი) მნიშვნელება არის ის კომუნიკაციური მნიშვნელობა რომელიც სიტყვას საკუთარი, პირველადი, მნიშვნელობის გარდა გააჩნია წმიდა კონცეპტუალურ კონტექსტში. უფრო ფართო გაგებით კი, ეს არის შემთხვევა, როცა ცნება “რეფერენსი” ნაწილობრივ გადაიფარება კონცეპტუალური მნიშვნელობით. მაგალითად, სიტყვა woman განისაზღვრება სამი კონტრასტული ნიშნით (+Human; -male; +adult), რომელსაც მის “ჰუმანიტ საჩყაროს” უწოდებენ. მაგრამ არსებობს დამატებითი ნიშნები, რომელთაც რეფერენტი woman შეიცავს. ეს არის არა მარტო ფიზიკური მახასიათებლები, არამედ ფსიქოლოგიური და სოციალური ნიშნები. ყოველივე კი შეიძლება გადაიზარდოს ტიპური ქალის თვისებებში. კონოტატიური მნიშვნელობა ინდივიდთან ან თუნდაც სოციუმთან ერთად იცვლება. წარსულში ქალის განსაზღვრებები იყო: cowardly, emotional, irretional, inconstant. ამჟამად ეს სიტყვები სრულიად შეიცვალა: (gentle, compassionate, sensible, hardworking). ამ ტიპის მნიშვნელობაზე დიდ გავლენას ახდენს დროც. ასი წლის წინ სიტყვასთან woman ასოცირდებოდა nontrouser_wearing. ახლა კი ეს იტყვა ნამდვილად არ წარმოადგენს ქალის ინდივიდუალურობის კრიტერიუმს.

კონოტატიური მნიშვნელობა სპეციფიური არ არის ენისათვის. ის სხვა კომუნიკაციური სისტემების პერეოგატივია, ისეთების, როგორიცაა ხელოვნება და მუსიკა. ლინგვისტური და ვიზუალური კონოტაციის ურთიერთშეხამება ნათლად ჩანს განცხადებებში, სადაც სიტყვა და ილუსტრაცია ურთიერთასოცირდებიან.

მეორე ფაქტი, რომელიც მიუთითებს, რომ კონოტატიური მნიშვნელობა პროფესიულია კონცეპტუალურ მნიშვნელობასთან შედარებით არის ის, რომ ის საგრძნობლად იცვლება კულტურის

ისტორიული პერიოდის, ინდივიდის გამოცდილებასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად მარტივად ჟღერს მოსაზრება, თითქოს კონკრეტულ ენაზე მოსაუბრე ადამიანები ლაპარაკობენ ზუსტად “იდენტურ” ენებზე. აღსანიშნავია, რომ ისინი მსგავს კონცეპტუალურ ჩარჩოებში თავსდებიან, ვინაიდან მსგავს სინტაქსს იყენებენ. ფაქტიურად, თანამედროვე სემანტიკაში მიიჩნევენ, რომ ბაზისური კონცეპტუალური ჩარჩოები ყველა ენისათვის საერთოა, უფრო მეტიც უნივერსალურია ზოგადად ადამიანის ცოდნისათვის.

ახლა განვიხილოთ კომუნიკაციის ორი ასპექტი, რომელსაც ადგილი აქვს წინადადების წარმოთქმის დროს. სოციალურია მნიშვნელობა, რომელსაც ენა ქმნის გარკვეულ სოციალურ გარემოში. ჩვენ “ვშიფრავთ” ტექსტის სოციალურ მნიშვნელობას ერთი და იმავე ენის სხვადასხვა სტილისტური დონეების ჩვენეული აღქმით. მაგალითად: კონკრეტულ სიტყვას, გამოთქმას დიალექტურად მივიჩნევთ, ანუ გარკვეულ ინფორმაციას ვღებულობთ მთქმელის გეოგრაფიულ ან სოციალურ წარმომავლობაზე, ენის სხვადასხვა მახასიათებლები გვიჩვენებენ მთქმელსა და მსმენელს შორის ურთიერთმიმართებებს და სხვა.

კრისტალი და დევივი გამოყოფენ სოციო-სტილისტური ცვალებადობადობის გამომწვევ კრიტერიუმებს.

- დიალექტი (გეოგრაფიული რეგიონის ან სოციალური კლასის ენა)
- დრო (XVIII საუკუნის ენა და სხვა)
- კომპეტენცია, მოქმედების სფერო (სამართლის, სამეცნიერო, სარეკლამო ენა)
- სტატუსი (ზრდილობიანი, კოლოქვილური, სლენგური)
- მოდალურობა (მემორანდუმის, ლექციის, ანეგდოტის ენა)
- სპეციფიურობა (დიკენსის, ჰემინგუეის ენა)

ეს სია კონკრეტულ ენაში გარკვეული სტილის გამოყოფის შესაძლებლობზე მიუთითებს. ალბათ, არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ რამოდენიმე სიტყვა თუ არსებობს, რომელთა კონცეპტუალური და სტილისტური მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა. აქედან გამომდინარე ზოგი მიიჩნევს, რომ ჭეშმარიტად სინონიმური სიტყვები არ არსებობენ. თუ სინონიმას გავიგებთ, როგორც კომუნიკაციური ეფექტის სრულყოფილ ექვივალენტს, მაშინ რთული იქნება ისეთი მაგალითის პოვნა, რომელიც გააბათილებდა ამ მოსაზრებას, მაგრამ მაინც გარკვეულ წილად გამართლებულია, რომ ტერმინი “სინონიმი” კონცეპტუალური მნიშვნელობის ექვივალენტად მივიჩნიოთ. ასე რომ შეგვეძლება კონცეპტუალური სინონიმების დაპირისპირება მათი სტილისტური ასპექტების ცვლილებების მიხედვით.

steed (პოეტური)

horse (ზოგადი)

nag (სლენგი)

gee-gee (ბავშვის ენა)

cast (ლიტერატურული, ბიბლიური)

throw (ზოგადი)

chuck (ყოველდღიური, სლენგი)

domicile (ძალიან ფორმალური, ოფიციალური)

residence (ფორმალური)

abode (პოეტური)

home (ზოგადი)

dominutive (ძალიან ფორმალური)

tiny (კოლექციალური)

wee (დიალექტური)

“სტატუსის” სტილისტური შეფერხება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სინონიმური გამოთქმების დიფერენციაციის პროცესში. მოცემულ მაგალითში სტატუსის თვალსაზრისით განსხვავება მთელი წინადადებით გადმოიცემა, ახდენს რა გავლენას არა მხოლოდ სინტაქსზე, არამედ ლექსიკონზე:

(1) They chucked a stone at the cops,
and then did a bunk with a loot.

(2) After casting a stone at the police,
they absconded with the money.

პირველ წინადადებას ალბათ რომელიმე კრიმინალი იტყოდა, მეორეს კი – პოლიციის ინსპექტორი, მაშინ როცა ორივე მათგანი ერთ და იმავე მოვლენაზე საუბრობს. მათ იდენტური კონცეპტუალური ბაზისი გააჩნიათ. სოციალური მნიშვნელობა შეიძლება შეიცავდეს გამოთქმის ილოკუციურ ძალასაც, ხოლო წარმოთქმის ფუნქცია ამ შემთხვევაში მხოლოდ ნაწილობრივადაა მის კონცეპტუალურ მნიშვნელობასთან. წინადადებას I have not got a knife მტკიცების ფორმა და მნიშვნელობა გააჩნია, თუმცა სოციალურ რეალობაში (მაგალითად თუ ოფიცინტს მიემართავთ რესტორანში) შეიძლება თხოვნის დატვირთვა შეიძინოს: Please give me a knife.

ყოველივე ეს მხოლოდ მცირედი მცდელობაა, ვივარაუდოთ ენის მიმართება მთქმელის პირად გრძნობებთან: იგულისმება მთქმელის დამოკიდებულება მსმენელისა და საუბრის ობიექტის მიმართ. ეფექტური მნიშვნელობა სიტყვის კონცეპტუალური ან კონოტატიური შინაარსით გადმოიცემა; მაგალითად:

You are vicious tyrant and a villainous reprobate and I hate you for it!

ამ გამოთქმით მიღებული ეფექტი შეიძლება შეიცვალოს თუკი ვიტყვით:

I am terribly sorry to interract but I wonder if you would be so kind as to lower your voice a little ან Will you belt up?

მოცემულ შემთხვევაში ინტონაცია და ხმის ტემბრი მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ეფექტური მნიშვნელობა “პარაზიტული” ხასითისაა, ვინაიდან ემოციების გამოხატვა სხვა მნიშვნელობის კატეგორიათა ხარჯზე ხდება (კონცეპტუალური, კონოტაციური ან სტილისტური). სტილთან დაკავშირებულ ემოციით შექმნილ შთაბეჭდილებას ადგილი აქვს მაშინ, როცა უხეში ტონით ვლაპარაკობთ და უსიამოვნებას გამოვხატავთ ან კოლოქვიალურად ვსაუბრობთ მეგობრების წრეში. სხვა მხრივ კი ენას სპეციფიური ელემენტები (ძირითად შორისდებულები) გააჩნია ემოციის გადმოსაცემად. ხოლო როცა ყოველივე ამას პრაქტიკულად ვიყენებთ, მაშინ გრძნობებისა და დამოკიდებულებების კომუნიკაციის საშუალება გვეძლევა. ეს პროცესი კი ყოველგვარი სემანტიკური ფუნქციის გარეშე მიმდინარეობს.

რეფლექტური მნიშვნელობა წარმოიქმნება, როცა სიტყვის ერთი აზრი ქმნის სხვა აზრის მიმართ ჩვენი რეაქციის ნაწილს. ეკლესიაში მოსმენილ სინონიმურ გამოთქმებს The Comforter და The Holy Ghost, რომლებიც აღნიშნავენ ყოველადწმინდა სამებას, ვადარებთ ყოველდღიურ სასაუბრო სიტყვებს Comforter და Ghost. საპირისპირო

ბაზისის მიუხედავად პირველი სიტყვა გაცილებით თბილად და კომფორტულად უღერს, ვიდრე The Holy Ghost, რომელიც საშიშთან ასოცირდება. კოლოკაციური მნიშვნელობა შეიცავს ასოციაციებს, რომელთაც სიტყვა იძენს სპეციფიურ გარემოში. მაგალითად სიტყვები: Pretty და Handsome კარგი გარეგნობის გამომხატველი განსაზღვრებებია, მაგრამ არსებობენ არსებითი სახელები, რომლებიც საკუთრივ ერთ-ერთ მათგანს ეკუთვნიან:

	girl		boy
	woman		man
	flower		overcoat
Pretty	garden	Handsome	airliner
	colour		car
	village		typewriter

თუმცა გამონაკლისებიც არსებობს, მაგალითად: handsome woman და pretty woman ორივე მისაღებია, მიუხედავად ამისა, რომ პირველი გამოთქმით დახასიათებული ქალი ნაკლებ მომხიბლავია. მაგალითისათვის ისეთი ნახევრად სინონიმური სიტყვებიც გამოგვადგება, როგორიცაა: wander და stroll (cows may wander but may not stroll) ან trample და quiver (One tramples will fear, but quivers with excitement).

პოტენციურ წყვილთა შორის გამონაკლისები არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ კოლოკაციური მნიშვნელობით, ვინაიდან ერთ შემთხვევაში შესაძლოა საქმე გვექონდეს სტილისტურ, მეორეგან კი კონცეპტუალურ განსხვავებასთან. ზოგჯერ განზოგადების ხერხსაც მიმართავენ, ვინაიდან კოლოკაციური მნიშვნელობა ინდივიდუალური სიტყვების იდიოსიქრატული ფაქტორია მხოლოდ.

სიტყვის რეფლექსური, კოლოკაციური, ეფექტური და სოციალური მნიშვნელობები გაცილებით ახლოს დგანან კონოტაციურ მნიშვნელობასთან, ვიდრე კონცეპტუალურთან, ვინაიდან ცვალებადი ბუნებით მთლიან სისტემას წარმოადგენენ. მათ საერთო სახელი “ასოციაციური მნიშვნელობები” შეიძლება ეწოდოს. ხოლო იმისათვის, რომ კომუნიკაცია აეხსნათ ამ დონეზე, საჭიროა წარმოვიდგინოთ გონებრივი ურთიერთკავშირის ელემენტარული “ასოციაციური” თეორია, რომელიც გამოცდილების იდეათა ასოციაციას ეფუძნება. ყოველივე კი კონცეპტუალური მნიშვნელობის ოპოზიტს წარმოადგენს, რადგან ის მხოლოდ ადამიანთა ენის პრეროგატივაა.

სემანტიკური დიფერენციაცია დიდი პოპულარობით სარგებლობს ისეთ ფსიქოლოგიურ სფეროში, როგორცაა პიროვნების შესწავლა, “დამოკიდებულებათა განსაზღვრა” და ფსიქოთერაპია, სადაც ინდივიდთან დაკავშირებულ ყოველ დეტალს საფუძვლიანად აკვირდებიან. ასოციაციური მნიშვნელობა ნაკლებ სტაბილურია და ინდივიდის გამოცდილებასთან ერთად იცვლება, მაშინ როცა კონცეპტუალური მნიშვნელობა სოციუმის “ენის მახასიათებელი სისტემის” ნაწილს წარმოადგენს.

მნიშვნელობის ბოლო კატეგორიას თემატური მნიშვნელობა მიეკუთვნება. ეს გახლავთ ის, რასაც კომუნიკაციის პროცესში მთქმელი იტყობინება ბრძანებით, საკითხზე კონცენტრირებით თუ აქცენტირებით, ძალიან ხშირად წინადადებას (1) აქტიურ კონსტრუქციაში მისი პასიური ექვივალენტისაგან (2) განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნია, თუმცა კონცეპტუალური თვალსაზრისით ისინი იდენტურები არიან.

- (1) Mrs Bessie Smith donated the first prize
- (2) The first prize was donated by Mrs Bessie Smith

რა თქმა უნდა, ამ ორ წინადადებას განსხვავებული კომუნიკაციური დატვირთვა გააჩნია იმდენად, რამდენადაც განსხვავებულ კონტექსტს ქმნიან: აქტიური კონსტრუქციის წინადადება თითქოს იმპლიციტურ კითხვას პასუხობს: What did Mrs Bessie Smith donate? მაშინ როცა პასიურ კონსტრუქციას შეესაბამება კითხვა: Who was the first prize donated by? მხოლოდ პირველი წინადადებით ვგებულობთ ვინ არის ქალბატონი ბესი სმიტი და კიდევ სავსებით შესაძლებელია სიტუაციის პოვნა, სადაც (1) ზუსტი, ჭეშმარიტი იქნება, ხოლო (2) მცდარი და პირიქით.

თემატური მნიშვნელობა ძირითადად ალტერნატიულ გრამატიკულ კონსტრუქციაზეა დამოკიდებული. მაგალითად:

(3) A man is waiting in the hall.

(4) There is a man waiting in the hall.

(5) They stopped at the end of the corridor.

(6) At the end of the corridor, he stopped

(7) I like Dannish cheese best

(8) Dannish cheese I like best

(9) It's Dannish cheese that I like best.

მაგრამ ბრძანებისა და აქცენტირების გადმოცემის მეთოდით კონტრასტულობა (1-2) შესაძლებელია გამოიხატოს ლექსიკური

საშუალებებითაც: მაგალითად სიტყვას belongs თუ ჩავანაცვლებთ სიტყვით owns მივიღებთ:

(10) My brother owns the largest betting-shop in London

(11) The largest betting-shop in London belongs to my brother

ზოგ შემთხვევაში ინტონაციაც დიდ მნიშვნელობას იძენს. მაგალითად, თუ (12) წინადადებაში გამოვკვეთაოთ სიტყვას electric, ის ახალი ინფორმაციის სახეს მიიღებს:

(12) Bill uses an electric razor.

(13) The kind of razor that Bill uses is an electric one.

ერთად მოთავსებულ წინადადებებს აზრობრივად მსგავსი მნიშვნელობები გააჩნიათ, თუმცა შესაძლებელია განსხვავებული კომუნიკალური დატვირთვა აქონდეთ ანუ იდენტურ კონტექსტში არაადეკვატურნი აღმოჩნდნენ.

ჯ.ლინი თავს არიდებს, ერთმანეთისაგან განასხვავოს განზრახული მნიშვნელობა, ანუ ის, რაც მთქმელის გონებაშია შეტყობინების წარმოქმნამდე და ინტერპრეტირებული მნიშვნელობა, ანუ ის, რასაც აღიქვამს მსმენელი შეტყობინების მიღების შემდეგ. ის მნიშვნელობას, ამ სიტყვის ფართო გაგებით, აიგივებს კომუნიკაციურ ეფექტთან, ხოლო კომუნიკაციას განიხილავს, როგორც ინფორმაციის ტრანსფერს წყაროდან (a) მიზნისკენ (b). ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, შეიძლება ზოგს გაუჩნდეს აზრი, რომ კომუნიკაცია შედგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიცით, რომ ის, რაც a-ს გონებაში იყო, გადაეცა ან გადაიწერა b-ს გონებაში. მაშინ ბუნებრივია ისიც, რომ მნიშვნელობის შესწავლისას (განსაკუთრებით ფილოსოფიაში) დიდი ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებს როგორცაა მნიშვნელობათა

ურთიერთმიმართება, ინტენცია და ინტერპრეტაცია. მიუხედავად ყველაფრისა ლინგვისტს უფლება აქვს, იგნორირება გაუკეთოს შეტყობინების ინტენციას (განზრახვას) და მისით გამოწვეულ ეფექტს შორის განსხვავებას, ვინაიდან მას საკუთრივ კომუნიკაციური სისტემა აინტერესებს და არა შედეგი. აინტერესებს ენის სემანტიკური ასპექტი, რომელიც შეიძლება საერთოა a და b კომუნიკანტების გონებისათვის. თანაც ის მოიცავს ორპარტიულობასა და ენის სხვა დანარჩენ ასპექტს (ასოციაციური მნიშვნელობის ცვალებადობას), რომლებიც არაკომუნიკაციურობის ეფექტს იძლევიან. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ სემანტიკისათვის მნიშვნელობა შუალედური, ნეიტრალური ხაზია “მთქმელის მნიშვნელობასა” და “მსმენელის მნიშვნელობას” შორის. ეს გარკვეულწილად მართალიცაა, ვინაიდან ვიცით რა კომუნიკაციის მედიუმის ნეიტრალური პოტენციურობა, შეგვიძლია გავაანალიზოთ განსხვავება პიროვნების განზრახვასა და რეალურ შედეგს შორის.

ენის ნებისმიერი სახით გამოყენება, რა თქმა უნდა, გულისხმობს მთქმელის ამა თუ იმ განზრახვას, მაგრამ ვინაიდან მნიშვნელობა გულისხმობს განზრახვას, ამ უკანასკნელის ანალიზს ისევ მნიშვნელობიდან თუ შევძლებთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტენცია პირადულია, მნიშვნელობა კი – საზოგადო. ეს უკანასკნელი კი ზემოთ ჩამოთვლილი შეიძლება ტიპის სინთეზს წარმოადგენს და შეიძლება გავაიგივოთ ერთ ალტერნატიულ ტერმინთან, კომუნიკაციასთან.

თავი II. პრესუპოზიციის თეორიის ისტორიული წინამძღვრები და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები

§1. პრესუპოზიციის თეორიის ზოგიერთი საკითხი ინგლისურ ენაში

პრესუპოზიციის თემა საწყისს ფილოსოფიიდან იღებს. პირველი ფილოსოფოსი, რომელმაც ბოლო წლებში ყურადღება მიაქცია ამ პრობლემას, არის გოტლობ ფრეგე. (Frege G. 1974).

დისკუსიებში, რომელიც თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა, გ. ფრეგე შეეხო ბევრ ისეთ საკითხს, რომელიც პრესუპოზიციის თეორიისათვის არსებითი გახდა (ibid.).

მისი აზრით, რაიმეს მტკიცება ყოველთვის პრესუპოზიციაა (ვარაუდი) (ibid.).

მაგალითად, თუ ვინმე ამტკიცებს Kepler died in misery, ვარაუდობს, რომ საკუთარი სახელი Kepler რაღაცას აღნიშნავს. Kepler-ი რომ რაღაცას აღნიშნავს, ეს პირველი წინადადების "Kepler died in misery" შემადგენელი ნაწილი არ არის; ამ შემთხვევაში გვექნებოდა: Kepler died in misery – Kepler designates something. შესაბამისად, წინადადების Kepler did not die in misery ან "Kepler has no reference", რაც იმაზე მიუთითებს, რომ გამოყენებულ მარტივ ან შედგენილ სახელებს რაღაც მახასიათებელი აქვთ (ibid.).

გ. ფრეგემ ფაქტიურად პრესუპოზიციის თეორია შემდეგი თეორემების სახით ჩამოაყალიბა:

1. ფრანგები და ტემპორალური დამოკიდებული წინადადებები პრესუპოზიციას ხშირად თავისთავად ატარებს იმ ეფექტის მოსახდენად, რასაც ისინი სინამდვილეში მოიცავენ.

2. წინადადება და მისი უარყოფითი ვარიანტები ერთსა და იმავე პრესუპოზიციას ინაწილებს.

3. იმისათვის, რომ დავამტკიცოთ წინადადება მცდარია თუ სწორი, მისი პრესუპოზიცია სწორი ან თუნდაც დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს (ibid.)

როგორც მესამე თეორემიდან ჩანს, გ. ფრეგემ მოგვცა პრესუპოზიციის რამდენიმე სახე. ზოგჯერ იგი იმ წინადადებათა გამოყენებაზე ლაპარაკობს, რომელთაც აქვთ პრესუპოზიცია, ზოგჯერ კი ისეთ წინადადებებზე, რომელშიც პრესუპოზიცია თავისთავადაა ნაგულისხმები. იგი პრესუპოზიციის მატარებელ მოსაუბრესაც არ ივიწყებს. მაგალითად: როცა ვამბობთ “the moon”, ჩვენ გარკვეულ რეფერანტს ვეარაუდობთ (ibid.).

მოგვიანებით ამ განმარტებებმა უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინეს და საფუძველი ჩაუყარეს პრესუპოზიციის განხილვას.

მეორე მეცნიერი, ბერტნარ რასელი აღნიშნულ საკითხზე გ. ფრიგის შეხედულებებს მცდარად მიიჩნევდა. რეფერანტის თეორიაში, მსგავსი პრობლემების განხილვისისას, ბ. რასელი მივიდა განსხვავებულ დასკვნამდე. (Russell B. 1940). ერთი პრობლემა ის იყო, როგორ შეიძლებოდა წინადადება რაიმე აზრის მატარებელი ეოფილიყო, თუ იგი საკუთარ სახელს არ შეიცავდა. მაგალითად, King of France is wise.

გ. ფრეგეს პასუხი ეყრდნობოდა განსხვავებას აზრსა და რეფერატს შორის. ასეთი წინადადებები ინარჩუნებს გრძნობასა და მნიშვნელობას იმ შემთხვევაში, როცა მათ რეფერატი არა აქვთ.

ბ. რასელის ვარაუდით, გ. ფრეგეს შეხედულებებს ანომალიამდე მიყავართ და მის საპირისპიროდ მან წამოაყენა ცნობილი

დესკრიფციათა თეორია (Theory of Description), რომელიც მსგავს გამოკვლევებში მთელი 45 წლის განმავლობაში დომინირებდა. ის ამბობდა, რომ განსაზღვრულ დესკრიფციებს, როგორცაა the-so აქვთ უმარტივესი ლოგიკური თარგმანი. ენაში ისინი ქვემდებარედ გეხვდებიან. ლოგიკური ფორმით ისინი ლოგიკური ქვემდებარეები არ არიან, მაგრამ პროპოზიციის კავშირებს შეესაბამებიან (Russel B. 1940). აქედან გამომდინარე (1) წინადადების ფორმა შემდეგია:

There is King of France and there is no one else who's King of France and he's wise.

აღნიშნული მოსაზრება ასაბუთებს, რომ წინადადება (1) The King of France is wise მნიშვნელობის მატარებელია, რადგან ის უბრალოდ მცდარია. ბ. რასელის მიხედვით, ეს არ არის იმის მტკიცება, რომ (1) წინადადება ასაბუთებს კონკრეტული პიროვნებების (King) არსებობას.

ბ. რასელის ანალიზის ერთ-ერთი უპირატესობა არის ე.წ. ორაზროვნება (ibid.).

მაგალითად, ავიღოთ უარყოფითი წინადადება:

(2) The King of France is not wise;

ეს წინადადება შეიძლება გაგებულ იქნეს ორნაირად:

- 1) რომ არის მეფე საფრანგეთის და ის არ არის ბრძენი ან
- 2) რომ არის მეფე საფრანგეთისა და ის არის ბრძენი.

მეორე წინადადებების გაგება შესაძლებელია კიდევ ერთი წინადადების დამატებით:

(3) The King of France is not wise – because there is no such person.

ბ. რასელის ფორმულირების მიხედვით უარყოფა გეხვდება ფართო ან ვიწრო მასშტაბით.

ფართე დიაპაზონის უარყოფა საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ წინადადება (2) The King of France is not wise, რომ უარყოფთ საფრანგეთის მეფის არსებობა, ხოლო ვიწრო დიაპაზონის უარყოფა უარყოფს მხოლოდ შემასმენელს, რომელიც ქვემდებარეს ეხება.

მაგალითად,

There is King of France and there is no one else who's King of France and the King of France is not wise.

ბ.რასელის ამ იდეას დიდხანს არ ჰყავდა მოწინააღმდეგე. 1950 წელს პ. სტროსონმა შემოიტანა აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა. ის თვლიდა, წინადადება The King of France is not wise – მნიშვნელობის მატარებელია, რადგან მას გააჩნია ნათელი აზრი – ის ან სწორი ან მცდარი უნდა იყოს. პ. სტროსონის ვარაუდით, არ შეიძლება ვიმსჯელოთ წინადადების სისწორე/მცდარობაზე. მხოლოდ მტკიცებულება შეიძლება იყოს მცდარი ან სწორი. აქედან გამომდინარე, მტკიცებულება The King of France is not wise შეიძლება სწორი იყოს 1670 წელს, მაგრამ მცდარი 1770 წელს. ხოლო 1970 წელს თუ ჩავთვლით, რომ საფრანგეთის მეფე არ არსებობდა, მაშინ მტკიცებულების სისწორე – მცდარობაზე საკითხი არც კი წარმოიშობა (Strawson P. 1950).

ამრიგად პ. სტროსონმა ორ წინადადებას შორის განსაკუთრებული ურთიერთობა დაინახა:

The King of France is wise და

There is King of France.

კერძოდ, მეორე წინადადება იმის წინაპირობაა, რომ ვიმსჯელოთ პირველის სისწორე/სიმცდარეზე და მან ამ ურთიერთობას პრესუპოზიცია უწოდა (ibid.).

პ. სტროსონი, გ. ფრეგეს მსგავსად თვლიდა, რომ უარყოფითი წინადადება თავის პრესუპოზიციას წარმოთქმისას ინარჩუნებს. ხოლო ბ. რასელი, რთული ლოგიკური ფორმების საშუალებით გამოყოფდა უარყოფის ორ ფორმას.

ამგვარად, პ. სტროსონსა და ბ. რასელს, გ.ფრეგესაგან განსხვავებული შეხედულებები გააჩნდათ.

ლინგვისტები პრესუპოზიციის საკითხით 1965 წლის შემდეგ დაინტერესდნენ. მანამდე ფილოსოფიურ ლიტერატურაში განმტკიცებული იყო შემდეგი შეხედულებები:

- I. განსხვავება ლოგიკურ იმპლიკაციას ან გარდაუვალ შედეგსა (entailment) და პრესუპოზიციას შორის;
- II. კონტრასტი მტკიცებასა (assertion) და პრესუპოზიციას შორის;
- III. პრესუპოზიციის განმარტება, როგორც წინადადებს ან მტკიცებულებებს (statement) შორის არსებული ურთიერთობისა, ან როგორც ურთიერთობისა, ერთის მხრივ, მოლაპარაკეთა და მეორეს მხრივ, ვარაუდებს შორის.
- IV. რას უნდა მივაკუთვნოთ უარყოფის აშკარა ორაზროვნება, სტრუქტურულ თუ ლექსიკურ ორაზროვნებას? უარყოფის ორაზროვნებაში იგულისხმება პრესუპოზიცია, რომელიც აზრს უარყოფს (presupposition denying sense) და პრესუპოზიცია, რომელიც მას ინარჩუნებს (presupposition preserving sense) ორაზროვნების საკითხი წამოიჭრა არა ფილოსოფიურ ლიტერატურაში, არამედ ბ. რასელის შეხედულებების საწინააღმდეგოდ პ. სტროუსანის თეორიებში.
- V. როგორ უნდა იქნეს გაგებული პრესუპოზიცია, როგორც მტკიცება თუ როგორც წინადადების მნიშვნელობის შესაბამისად გარდაუვალი შედეგი.

ლინგვისტიკაში კი პრესუპოზიციის არსებობის შესაძლებლობას გამოყოფენ. კერძოდ:

- ა) მხოლოდობითობის აღმნიშვნელი ტერმინები. მაგ: განსაზღვრული ატრიბუტები, საკუთარი სახელები.

ბ) რაოდენობის აღმნიშვნელი სახელობითი ფრაზები. მაგ: ლლ ოფ ჟოპნს ცჰილდრენ ვარაუდობს, რომ ჯონს პყავს შვილები.

გ) ტემპორალური დამოკიდებული წინადადებები.

დ) ფაქტის შემცველი ზმნები. მაგ: Bernand had stopped beating his wife – ვარაუდობს, რომ იგი ადრეც სცემდა ცოლს.

პ. სტროუსონის თეორიებმა პრესუპოზიციის შესახებ, ლინგვისტებს ახალი შესაძლებლობისაკენ გაუხსნა გზა.

დაეუბრუნდეთ (III) თეორიას, სადაც საუბარი იყო პრესუპოზიციაზე, რომელიც მთქმელსა და მსმენელს შორისაა. ასეთი მაგალითები ქმნის პრაგმატული დასკვნის დამოუკიდებელ და განსხვავებულ კლასს, რომელსაც პრაგმატული პრესუპოზიცია ეწოდა. იგი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ურთიერთობა, რომელიც არსებობს მთქმელსა და წინადადების შინაარს (Appropriateness of a sentence) შორის კონტექსტში.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ პირველი პიონერი პრესუპოზიციის თეორიისა გახლავთ გოტლობ ფრიგი, ფრიგს გამოეხმაურა მეცნიერი რასელი და სწორედ მათ ნაუყარეს საფუძველი იმას, რომ პრესუპოზიცია ლინგვისტიკის მნიშვნელოვანი და საინტერესო საკვლევი ობიექტი გამხდარიყო.

§2. პრესუპოზიციის თეორიის კვლევის ძირითადი მიმართულებები ინგლისურ ენაში

საინტერესოა გ. ფრედგესა და პ. სტროსონის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ პრესუპოზიცია შენარჩუნებულია როგორც უარყოფით, ისე მტკიცებით წინადადებებში (Fredge G. 1974, Strawson P. 1950).

ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ ნებისმიერი წართქმითი წინადადება, გადავიყვანოთ იგი უარყოფით ფორმაში და დავაკვირდეთ, რა ექნება მათ საერთო. მაგალითად:

John managed to stop in time.

ეს წინადადება შეიძლება ორი სახით წარმოვადგინოთ:

1. John stopped in time.

2. John tried to stop in time.

უარყოფითს ფორმაში წინადადება შემდეგ სახეს მიიღებს

John didn't manage to stop in time.

ამ უკანასკნელის მაგალითზე, ვერ ვიტყვით, რომ John stopped in time და John tried to stop in time შეესაბამება, როგორც პირველ (წართქმითს) ისე მეორე (უარყოფითს) წინადადებას. ამგვარად ზემონათქვამი შეგვიძლია ასეთი სახით წარმოვადგინოთ:

1. John managed to stop

2. John tried to stop in time

3. John didn't manage to stop

უარყოფის ტესტის საფუძველზე მეორე წინადადება პირველისა და მესამეს პრესუპოზიციად შეიძლება ჩაითვალოს.

საიდან მოდის პირველი წინადადების პრესუპოზიცია? რა თქმა უნდა, სიტყვიდან manage. თუ ეს უკანასკნელი შეიცვლება სიტყვით tried მაშინ დასკვნა იგივეა. იმ შემთხვევაში კი თუ მხედველობაში

იქნება მიღებული მისი უარყოფითი ფორმა John didn't try to stop in time, ის მაშინ პრესუპოზიცია კი არ იქნება, არამედ გარდაუვალი შედეგი.

ზემოთ განხილული მაგალითი გვინფენებს, რომ პრესუპოზიცია კონკრეტულ სიტყვაზე, ასპექტზე ან ზოგადად სტრუქტურაზეა მიმაგრებული. მათ ლინგვისტურად პრესუპოზიციური ტრიგერები ეწოდებათ.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი როგორც მტკიცებით, ისე უარყოფით ფორმაში:

- I. John, who is a good friend of mine, regrets that he stopped doing linguistics before he left Cambridge.
- II. John, who is a good friend of mine, does not regret that he stopped doing linguistics before he left Cambridge.

როგორც პირველ, ისე მეორე წინადადებას შეიძლება რამდენიმე დასკვნა მიესადაგოს. ეთქვას არის ვიღაც ჯონი, რომელიც ერთნაირად ცნობილია მოსაუბრეებისათვის.

- John is a good friend of the speakers.
- John stopped doing linguistics before he left Cambridge.
- John was doing linguistics before he left Cambridge.
- John left Cambridge.

გ. ფრედგსა და პ.სტროსონის კონცეფციის თანახმად, ეს წინადადებები შეიძლება პრესუპოზიციებად ჩაითვალოს, რადგან უარყოფას გადმოყენენ (Fredge G.1974; Strawson P. 1950)

ძირითადი ზმნის უარყოფა, როგორც ჩანს, გავლენას ვერ ახდენს ტემპორალურ დამოკიდებულ წინადადებებზე, რომლებიც იწყება კავშირებით before, while და when.

ენახოთ, რა ხდება, როცა წინადადება კითხვით ფორმაშია:

- III. Does John, who is a good friend of mine, regret that he stopped doing linguistics before he left Cambridge?

ამ გამონათქვამის მთავარი აზრი ჯონის მიმართ დასმული კითხვაა, ნანობს თუ არა იგი მის საქციელს, და არა მტკიცება იმისა, რომ იგი მას ნანობს, როგორც ეს პირველ წინადადებაშია მოცემული. იგი არც უარყოფაა იმისა, რომ ჯონი მას ნანობს, როგორც ეს მეორეშია მოცემული; მესამე კითხვითი კი აშკარად ინაწილებს ორივეს - პირველისა და მეორეს საერთო პრესუპოზიციებს.

ამგვარად, გამონათქვამის ძირითადი აზრი შეიძლება მტკიცებითი, უარყოფითი ან კითხვითი იყოს, ხოლო პრესუპოზიცია სამივესთვის უცვლელი დარჩეს. ეს არის ინტუიცია ან საშუალება, რომელშიც პრესუპოზიციის ტექნიკური ბუნება ნათლად ჩანს:

მაგალითად:

- (1) They came / did not come to start married life in the rather forlorn home of the Chartterly » The home of Charterleys was rather forlorn.
- (2) John managed / did not managed to open the door » John tried to open the door.
- (3) Martha regrets / does not regret drinking wine » Martha drank wine.
- (4) It was not / was Henry that kissed Rosie » Someone kissed Rosie.
- (5) The American lady admired / did not admired my wife's traveling coat » My wife has the traveling coat.
- (6) Carol is / is not a better linguist than Barbara » Barbara is a linguist.
- (7) Linguistics was / was not invented by Chomsky » Someone invented linguistics.

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ტიპის კითხვას შესაბამისი პრესუპოზიცია აქვს.

ზოგადი ტიპის კითხვითს წინადადებას (yes/no question) გააჩნია მრავალი პრესუპოზიცია, რადგან იგი თავის შესაძლებელი პასუხისაგან დაშორებულია.

1. Is there a professor of linguistics at MIT?

Either there is a professor of linguistics at MIT or there is not

თუობითი კითხვები (Alternative question)

2. Is Newcastle in England or is it Australia?

Newcastle is in England or it is in Australia.

სპეციალური კითხვები (Wh-question)

3. Who is the professor of linguistics at MIT?

Someone is the professor of linguistics at MIT?

ამგვარად, პრესუპოზიციის შემდეგი მახასიათებლებია: 1. ანულირებადია: ა) განსაზღვრულ კონტექსტში ბ) განსაზღვრულ შიგა - წინადადებისეულ კონტექსტში; 2. მიჯაჭვულია სტრუქტურის განსაზღვრულ ასპექტთან.

პირველი განმარტება გვეხმარება, რომ გავხსნათ პრესუპოზიციის ნებისმიერი სემანტიკური თეორია, ხოლო მეორე, რომ განვასხვაოთ პრესუპოზიცია კონვერსაციული იმპლიკაციისაგან.

§3. პრესუპოზიციის ანულირებადობა

პრესუპოზიციის ერთ-ერთი მთავარი თვისება ანულირებადობაა.

საილუსტრაციოდ ავიღოთ წინადადება კაუსალური ზმნით to know

1. John doesn't know that Bill came.

როცა ზმნა მეორე ან მესამე პირშია, მაშინ დამატება ყოველთვის მოცემული წინადადების პრესუპოზიციას (Bill came)

მაგრამ, თუ ზმნა უარყოფითი ფორმის პირველ პირშია, მაშინ პრესუპოზიცია იკარგება. მაგალითად:

2. I don't know that Bill came.

3. Bill came.

ამგვარად, მეორე მესამეს არ ვარაუდობს.

რაც შეეხება რთულ ქვეწყობილ წინადადებას, ჩვეულებრივ მასში კავშირის შემდეგ რთულ პრესუპოზიციას დამოკიდებული წინადადება ქმნის. მაგალითად:

1. Sue cried before she finished her thesis.

2. Sue finished her thesis.

როცა ვამბობთ პირველს, იგულისხმება რომ ვიცით მეორე. შედარებისათვის განვიხილოთ:

3. Sue died before she finished her thesis.

ცხადია, ეს ბოლო წინადადება, რა თქმა უნდა, არ ვარაუდობს მეორეს, ის გადმოცემს აზრს, რომ Sue never finished her thesis.

აღნიშნულ წინადადებაში პრესუპოზიცია კონტექსტისა და წინადადების შინაარსის გათვალისწინებით ვარდება. ამის მიზეზი კი შემდეგ შია: მესამე წინადადების მტკიცებულება ადასტურებს იმას, რომ Sue - ს სიკვდილი წინ უსწრებდა მის მიერ დისერტაციის დამთავრებას. ამგვარად, პრესუპოზიციამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა მისთვის დამახასიათებელი თვისება, ანულირებადობა.

კონტექსტუალური ანულირებადობა წარმოდგენილია შემდეგ მაგალითში:

4. It is not Luke who will betray you.

5. Someone will betray you.

6. You say that someone in this room will betray you. Well maybe so. But it won't be Paul, it won't be Methew. It certainly won't be John. Therefore no one in this room is actually going to betray you..

თითოეული წინადადება უნდა შეიცავდეს პრესუპოზიციას, რომ ვიღაცამ შეიძლება უღალატოს ადრესატს, მაგრამ გამონათქვამის მთავარი მიზანია აქ, რა თქმა უნდა, მოსაუბრის დარწმუნება, რომ მას არავინ უღალატებს. ამგვარად, პრესუპოზიცია ანულირდა.

§4. პრესუპოზიციის კომპოზიციური პრობლემა

შემდეგი მნიშვნელოვანი პრობლემა ამ საკითხთან დაკავშირებით პრესუპოზიციის კომპოზიციურობაა.

გ. ფრედგე თვლის, რომ წინადადების შინაარსი კომპოზიციურია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მასში შემავალი ნაწილების შინაარსით განისაზღვრება და რთული პრესუპოზიციაც მასში შემავალი პრესუპოზიციების ჯამია (Fredge G. 1974).

თუმცა რთული წინადადების პრესუპოზიციის ასეთი განსაზღვრა სრულ სიმართლეს არ შეესაბამება. ძნელია, ფორმულირება იმისა, რომელი შემადგენელი კომპონენტის პრესუპოზიცია განსაზღვრავს მთლიან პრესუპოზიციას, რაც ამ უკანასკნელის კომპოზიციური პრობლემაა. ამ მიმართებით ორი მხარე გამოიყოფა. ერთის მხრივ, პრესუპოზიცია არის ლინგვისტურ კონტექსტში, სადაც გარდაუვალ შედეგს არ შეუძლია არსებობა. მეორეს მხრივ, პრესუპოზიცია ქრება იმ კონტექსტში, სადაც გარდაუვალი შედეგია.

პირველი და ყველაზე მკვეთრად გამოკვეთილი კონტექსტი, სადაც გარდაუვალი შედეგისაგან განსხვავებით, პრესუპოზიციას შეუძლია არსებობა, უარყოფაა.

1. The chief constable arrested three men.
2. There is a chief constable.
3. The chief constable arrested two men

თუ პირველ წინადადებას გადავიყვანთ უარყოფითში (The chief constable didn't arrest three men).

გარდაუვალი შედეგი (მესამე წინადადება) არ გადაყვება მას, ხოლო პრესუპოზიცია (მეორე წინადადება) კი იგივე დარჩება იმ შემთხვევაშიც, თუ მასში ჩანაცვლდება მოდალური სიტყვები: possible, there is a chance that და ა.შ. მაგალითად: It is possible that the chief constable

arrested three men. პრესუპოზიციის მოდალობის შემცველ წინადადებებში შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა.

კონტექსტის განსხვავებული სახეობა, სადაც პრესუპოზიციას ძალუძს შენარჩუნება, არის and, or, if, then კავშირიანი რთული ქვეწყობილი წინადადებები. მაგალითად:

The two thieves were caught again last night.

ამ წინადადების გარდაუალი შედეგია:

A thief was caught last night.

The two thieves had been caught before.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კი:

If the two thieves were caught again last night, P.C. Katch will get an honourable mention.

აუცილებელი შედეგი (entailment) დაიკარგება, ხოლო პრესუპოზიცია შენარჩუნებულია.

§5. ჭეშმარიტების პრობლემა

სემანტიკა და პრაგმატიკა კომუნიკაციის აუცილებელი ელემენტებია. შეუძლებელია ამ ორი დისციპლინის მკვეთრი გამიჯვნა ერთმანეთისაგან. სწორედ ამიტომაც გამართლებული კომპლემენტარობის პრინციპი, რომელიც საეცებით დასაშვებად მიიჩნევენ სტრუქტურის ინტეგრირებას კონტექსტში, ისინი ხომ ერთ ძირითად ფუნქციას ასრულებენ — კომუნიკაციურს.

კომპლემენტარობის პრინციპის ჭეშმარიტებას პრესუპოზიციატ ატკიცებს, მაგრამ იმისთვის, რომ ეს საკითხი სრულყოფილად გავიგოთ, თავდაპირველად განვიხილოთ ჭეშმარიტების პრობლემა.

ჭეშმარიტების ცნება ორი — ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური აზრით იხმარება. ონტოლოგიურად იგი უპირისპირდება მოწვევებითს, ყალბს, ილუზიურს. ონტოლოგიურად ჭეშმარიტება იგივეა, რაც სინამდვილე, რაც ნამდვილად არსებობს. ჭეშმარიტების ამგვარ გაგებას დასაბამი მისცა პლატონმა.

გნოსეოლოგიაში ჭეშმარიტების ცნებას სულ სხვა შინაარსი აქვს. იგი ახასიათებს არა თვით სინამდვილეს, არამედ ცოდნას მასზე: ჭეშმარიტება ცოდნის თვისებაა, მხოლოდ იგი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი. აქ ჭეშმარიტება უპირისპირდება მცდარობას. ამგვარ თვალსაზრისს დასაბამი მისცა არისტოტელემ. მისი აზრით, ჭეშმარიტება მსჯელობის თვისებაა. მსჯელობა არის მტკიცება, რომელიც ადგენს რაღაც საგნობრივ ვითარებას. მას პრეტენზია აქვს, რომ იგი გამოთქვამს სწორედ იმას, რაც ბუნებრივად არსებობს. ჭეშმარიტია მსჯელობა, რომელიც აერთიანებს იმას, რაც სინამდვილეში გაერთიანებულია და ყოფს იმას, რაც სინამდვილეში გაყოფილია. საწინააღმდეგო შემთხვევაში კი მცდარია.

არისტოტელეს თვალსაზრისის საფუძველზე ჩამოყალიბდა კლასიკური თეორია, რომელიც ჭეშმარიტების ადეკვატურობის

(შესატყვისობის) კონცეფციის სახელითაა ცნობილი. აღნიშნული თეორიის თანახმად, ჭეშმარიტია მსჯელობა, როდესაც იგი ადეკვატურად ასახავს ანუ შეესატყვისება სინამდვილეს. თუ მსჯელობა არ შეესაბამება სინამდვილეს ე.ი. არ არის მისი ადეკვატური, ანუ მცდარია.

ფილოსოფიის ისტორიაში არ არსებობს ჭეშმარიტების ერთგვაროვანი გაგება. არ მოიძებნება ამ ცნების ერთი განსაზღვრება, რომელსაც ყველა გაიზიარებდა და მიიღებდა. ყოველი თეორია თავისებურად განმარტავს მას.

რისი თვისებაა ჭეშმარიტება? ის არის საგნის თვისება. საგანი არსებობს ან არარსებობს, მაგრამ არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. ჭეშმარიტება არ არსებობს ობიექტურად, ის არც აღქმის თვისებაა.

ჭეშმარიტება აზრის თვისებაა, მაგრამ ყოველ აზრს იგი არ ახასიათებს. მაგალითად: Are you going to the cinema today? ეს კითხვითი წინადადება აზრს შეიცავს, მაგრამ არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, რადგან არაფერს ამტკიცებს. მას არ აქვს პრეტენზია ამტკიცოს რაღაც საგნობრივი ვითარება.

ჭეშმარიტება მსჯელობის თვისებაა. იგი გამოითქმის თხრობითი წინადადების სახით. აზრი, გამოთქმული მსჯელობის ფორმით არის ცოდნა. ამიტომ ჭეშმარიტება ცოდნის თვისებაა.

§6. სამეტყველო აქტების თეორია

კომუნიკაციური ლინგვისტიკის ერთ-ერთი სფეროა სამეტყველო აქტების თეორია. მის ჩამოყალიბების პროცესში დიდი როლი ითამაშა ფილოსოფიურმა ნაშრომებმა, ჯ.ოსტინის იდეებმა და ჯ.სერლის სისტემატიზაციამ გარკვეულ წილად განსაზღვრა სამეტყველო აქტების თეორია, რამაც ლინგვისტთა ყურადღება მიიპყრო (Austin J. 1962; Searle J. 1969).

ლინგვისტებისათვის ამ თეორიას თავიდანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტის საკითხში, კერძოდ სინტაქსს, სემანტიკას და მეორე უცხო ენის შესწავლას. ჭეშმარიტება — მცდარობის პრობლემატიკას ცენტრალური ადგილი უკავია პრესუპოზიციის და იმპლიკაციის დისკუსიის პროცესში. ყოველივე კი პირდაპირ კავშირშია წინადადების მნიშვნელობასთან.

1930 გამოქვეყნდა დოქტრინა ლოგიკური პოზიტივიზმის შესახებ, რომლის ცენტრალური პრინციპი შემდეგი იდეა იყო: თუ შესაძლებელია წინადადების ვერიფიცირება (ანუ მისი განსაზღვრა ჭეშმარიტობით ანუ მცდარობით), მას მნიშვნელობა არ გააჩნია. ამ მოსაზრების თანახმად, უმეტეს ეთიკურ, ესთეტიკურ და ლიტერატურულ გამოთქმას, რომ არაფერი ვთქვათ ყოველდღიურ მეტყველებაზე, მნიშვნელობა არ გააჩნია. ამ დოქტრინას მკვეთრად აკრიტიკებდა ვიდგენშტეინი ნაშრომით “ფილოსოფიური კვლევები”, სადაც აცხადებდა “მნიშვნელობის გამოყენებითი ასპექტის” უპირატესობას; მიაჩნდა, რომ გამოთქმები პირდაპირ კავშირშია კონკრეტულ ქმედებებთან, ანუ ენობრივ თამაშებთან, სადაც ისინი გარკვეულ როლს ასრულებენ.

ჯ.ოსტინი აღნიშნავდა, რომ ძახილის წინადადებები შეიცავდნენ ვერიფიცირების ინტენციას. ეს მოსაზრება მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა პოზიტივიზმის პრინციპს. მაგალითად:

(1) I bet you six pence it will rain tomorrow

I Christen this ship the H.M.S. flounder.

I Declare war in Zanzibar

I apologise

I object

I sentence you to ten years of hard labour.

ამ წინადადებას სპეციფიურობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არაფერს ამბობენ ამა თუ იმ ობიექტზე (აღწერილობითი ფუნქცია), არამედ აქტიურად მოქმედებენ. მას შემდეგ, რაც მთქმელი გამოაცხადებს ომს, ვიღაცას პატიმრობას მიუსჯის და ა.შ. ამით სამყარო გარკვეულწილად იცვლება. ეს გამოთქმები არ შეიძლება იყვნენ ჭეშმარიტი ან მცდარი.

(2) A: I second the motion.

B: That's false

A: I dub tree sir Walter.

B: Too true.

ჯ.ოსტინი ამ კონკრეტულ წინადადებებსა და გამოთქმებს პერფორმატივებსა და კონსტატივებს უწოდებს. ის მიიჩნევდა, რომ პერფორმატივები კონსტანტივებისაგან განსხვავებით არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, თუმცა ადგილი აქვს წინააღმდეგობებსაც (Austin J. 1962). მაგალითად თუ მთქმელი ამბობს წინადადებას: I christen this ship the Imperial Flagship M.A.O. ცერემონიალის ჩასატარებლად მთელი რიგი პროცედურებია საჭირო, მაგალითად: მთქმელს აუცილებლად წინასწარ უნდა ჰქონდეს უფლება მინიჭებული, გააჩნდეს მოწმეები და ა.შ. ჯ.ოსტინმა ჩამოაყალიბა ნიუანსთა ტიპოლოგია, რომელიც გამოთქმას ანიჭებს პერფორმატიულობას:

A.(1) აუცილებლად უნდა გქვონდეს კონვენციური პროცედურა კონვენციური ეფექტით.

(2) მოქმედების არეალი და პროცესში მონაწილე ინდივიდები უნდა შეესაბამებოდნენ პროცედურის მოთხოვნილებებს.

B. საჭიროა პროცედურა ჩატარდეს კორექტულად და სრულყოფილად.

C. ხშირად ინდივიდს უნდა გააჩნდეს პროცედურისათვის საკვალდებულო ინტენცია, განზრახვა.

დაეუშვათ, რომ მოცემული ნიუანსები სრულყოფილად არ განხორციელდა; თუ ბრიტანელი მოქალაქე ცოლს ეტყვის I hereby divorce you. ეს მნიშვნელოვნად ვერაფერს შეცვლის მათ ურთიერთობაში, მაგრამ თუ იგივე შემთხვევა განმეორდა მუსლიმანური კულტურის რომელიმე წარმომადგენელთან და ქმარმა ეს წინადადება წარმოთქვა სამჯერ, ეს უკვე ქორწინების დასასრულს ნიშნავს.

ჯ.ოსტინმა განაცხადა, რომ ზოგიერთი წინადადება, პერფორმატივი, სპეციფიკურობით ხასიათდება: ა) მათი წარმოთქმა იწვევს ქმედებას და არა თქმას. ბ) პერფორმატივები აღწერს შესაბამის მიზანს, ქმედებას, ვინაიდან სპეციფიურ კონვენციებს წარმოადგენენ, აკავშირებენ რა სიტყვებს საინსტიტუციო პროცედურებთან: ისინი საუბრის პროცესში უპირატესობის მიჩვენების შემთხვევაში ცერემონიის კონკრეტულ ტიპს წარმოადგენენ და კონსტანტივებისაგან განსხვავებით, რომელთა იდენტიფიცირება სავსებით შესაძლებელია ჭეშმარიტება-მცდარობის პრინციპის საფუძველზე, პერფორმატივები სათანადო და არასათანადო სიტუაციებით განისაზღვრება.

საკუთარ ნაშრომში ჯ.ოსტინი ერთგვარ “დამაბნეველ თამაშს” თამაშობს. დასაწყისში მოცემული იდეები და არგუმენტები ბოლოს უარყოფილია. მართლაც, პერფორმატივები როგორც კონკრეტულ და სპეციფიურ გამოთქმების შესახებ დაწერილი მოსაზრებები საბოლოოდ იმ ზოგადი თეორიის სახეს იძენს, რომელიც საყოველთაოა ნებისმიერი გამოთქმისათვის. არსებობს ცნების ორი დეფინიცია: პირველი, კონკრეტული თვალსაზრისის მიხედვით პერფორმატივები

წარმოადგენენ წინადადებების სპეციფიურ კლასს კონკრეტული სინტაქსური და პრაგმატული დატვირთვით. პერფორმატიული გამოთქმები შეცავენ ექსპლიციტურ და იმპლიციტურ პერფორმატივებს. ეს უკანასკნელი მრავალ სხვადასხვა გამოთქმას აერთიანებს (ყველას თუ არა). მეორე განსაზღვრების თანახმად, საჭიროა გამოიყოს დიქტომიური პერფორმატივი/კონსტანტივი ილოკუციური აქტის ზოგადი თეორიისგან, რომლის ქვეკლასსაც ისინი წარმოადგენენ.

ჯ.ოსტინის თქმით, პერფორმატივი აუცილებლად უნდა იყოს თხრობითი კილოს აქტიური კონსტრუქციის წინადადება აწმყო განუსაზღვრელ დროში. აქ კი გარკვეულ წინააღმდეგობას ვაწყდებით. მაგალითად, ქვემოდ ჩამოთვლილი წინადადებებიდან მხოლოდ პირველი ჩაითვლება პერფორმატივად (Austin J. 1962) მაგალითად:

- a. I bet you five pounds it'll rain tomorrow
- b. I'm betting you five pounds it'll rain tomorrow.
- c. I betted yuo five pounds it'll rain tomorrow.
- d. He bets you five pounds it'll rain tomorrow.

არცერთ მოცემულ კონსტანტივს არ შესწევს ნიძღავის დადების უნარი პირველი პერსპექტივის გარდა.

პერფორმატივის გამოსაცნობად საჭიროა პერფორმატიულ ზმნას მიუესადაგოთ ზმნიზედა

- a. I hereby declare you Mayor of Csterbridge.
- b. ? I hereby now beat the eggs till pluffy.
- c. ? I hereby jog ten miles on Sundays.

ზმნა declare პერფორმატიული ზმნაა რასაც ვერ ვიტყვით ზმნებზე beat და jog, მაგრამ ამ კრიტერიუმის აღმონენაც არ არის საკმარისი საბოლოო დასკვნების გამოსატანად. შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ გამოთქმებს იდენტური ექსპრესიულობა გააჩნიათ?

- 1) I hereby warn you
- 2) You are hereby warned.

3) I find you guilty of doing it.

4) You did it

5) Guilty!

მაგრამ თუ ეს ასეა, პერფორმატივების გრამატიკული მნიშვნელობა სიტყვებს გარეთ რჩება. ვერც ლექსიკურ დეფინიციას დაეყრდნობით მხოლოდ, ვინაიდან ზმნები არა-პერფორმატიული თვალსაზრისითაც გამოიყენება, ხოლო ბოლო წინადადება ზმნას საერთოდ არ შეიცავს, უფრო მეტიც საესებით შესაძლებელია, რომ ყველა კრიტერიუმის შემცველი გამოთქმა არ იყოს პერფორმატიული. ლინგვისტები მიიჩნევენ (Austin J. 1962; Searle J. 1969), რომ ყოველ გამოთქმას მნიშვნელობის გარდა გააჩნია ქმედების უნარი, რომელსაც ის სპეციფიური ძალის საშუალებით ახორციელებს. ჯ.ოსტინი გამოყოფდა სამი სახის აქტს:

- (I) ლოკუციური აქტი — გამოთქმა, რომელსაც გააჩნია წინასწარ განზრახული აზრი და რეფერენტი.
- (II) ილოკუციური აქტი — შეთავაზების, დაპირების და სხვა განზრახვის გამოხატვა სპეციფიური კონვენციური ძალის საშუალებით.
- (III) პერლოკუციური აქტი — გარკვეული ეფექტის მოხდენა აუდიტორიაზე ამა თუ იმ წინადადების წარმოთქმით.

ტერმინი “სამეტყველო აქტი” სწორედ ილოკუციური აქტის ექსკლუზიურ ექვივალენტს წარმოადგენს.

§.7 გამონათქვამი და ქვეტექსტი

ენა არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ, როგორც ცალკეული გამონათქვამთა ერთობლიობა. მისი რეალიზება ნებისმიერი სიდიდის გამონათქვამთა მთელი ჯაჭვის საშუალებით ხდება, დაწყებული ცალკეული წინადადებიდან, ასი ათასობით ფრაზის (მაგალითად: მონოგრაფიული ტექსტი) ჩათვლით. ბუნებრივია, ნებისმიერი ენობრივი ერთეულის რეალიზებაც პრაქტიკულად მთლიანი დისკურსის ფარგლებში ხორციელდება. არ შეიძლება დისკურსის ფარგლებში მაკროკონტექსტი მიკროკონტექსტისაგან არ განვასხვაოთ. თუ მიკროკონტექსტში, ძირითად მექანიზმს შესატყვის სიტყვათშეთანხმებათა ჯგუფებში სიტყვათა კონკრეტიზაცია წარმოადგენს, მაკროკონტექსტში გადამწყვეტ როლს თამაშობს, როგორც ცალკეულ სიტყვათა, ისე სიტყვათშეთანხმებათა შესაძლებელი მნიშვნელობის წინასწარი ცოდნა. წინასწარი ცოდნა წარმოადგენს სწორედ პრესუპოზიციის მოვლენას, რომელიც ფრაზის შიგნით ცალკეულ სიტყვათა და საერთოდ, მთლიანი გამონათქვამის ერთმნიშვნელოვან და სწორ გაგებას განაპირობებს. პრესუპოზიციის სახით, სემანტიკური კონტექსტი, ბუნებრივია, ნებისმიერ კონტექსტშია, რომელიც გარკვეულწილად ტექსტის საზღვრების მარკირებას განაპირობებს, თუმცა აღნიშნულ მოვლენას უფრო აზრობრივი დატვირთვა აქვს, ვიდრე წმინდა ფორმალური. მაგალითად:

- (1) If the Vice-Chancellor invited Simone de Beauvoir to dinner, he will regret having invited a feminist to his table.
- (2) If the Vice-Chancellor invites the USA president to dinner, he will regret having invited a feminist to his table.
- (3) The Vice-Chancellor has invited a feminist to his table.

(2) წინადადება (3) წინადადებისათვის პრესუპოზიცია იქნება იმ შემთხვევაში, თუ ვიცით, რომ U. S. president არ არის ფემინისტი. მაგრამ, თუ Simone de Beauvoir – ს ვთვლით ფემინისტად, მაშინ (1) არ იქნება (3) პრესუპოზიცია. ასე, რომ პრესუპოზიცია აზრობრივი კატეგორიაა და დამოკიდებულია კონტექსტზე.

მიკროკონტექსტში წინადადების განმსაზღვრელად გვევლინება მთელი რიგი სინტაქსური ერთეულები (მართვა, შეთანხმება, სიტყვათა წყობა და ა.შ.) მაკროკონტექსტში კი აღნიშნულ ფუნქციას ასრულებს ცალკეულ გამონათქვამთა აზრობრივი კონოტაცია, რომელიც მომდევნო ფრაზის სწორად აღქმისა და გაგების წინაპირობას წარმოადგენს.

გ. კოლშანსკი, პრესუპოზიციის შესახებ მეკვლევარი რ. ლაკოფის (Lakoff G. 1969) კონცეფციის ანალიზისას აღნიშნავდა, რომ ზოგადად, წინადადება შიძლება იყოს მცდარი ან სწორი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მისი პრესუპოზიცია სწორია. მაგალითად, ავიღოთ ორი წინადადება S და S1, რომელთა რეალიზებაც კონკრეტულ ტექსტში მოხდა. მოცემულ შემთხვევაში, თითოეული წინადადების ტემატიკა (truth) და ღირებულების ხარისხი (value) შემდეგ ურთიერთმიმართებაში წარმოგიდგებიან: მიუხედავად იმისა, რომ წინადადება S1 სწორია, წინადადება S – ს შესაძლებელია სათანადო ღირებულება (value) არ გააჩნდეს. თუ დავეყრდნობით რ. ლაკოფის მოსაზრებას, ერთი წინადადება ვარაუდობს ანუ წარმოადგენს მეორე წინადადების პრესუპოზიციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი რეალიზება კონკრეტულ ტექსტში ხდება. აღნიშნული მოსაზრების დასაბუთება შესაძლებელია ძალზე მარტივი მაგალითით:

...Europe was not treatiy them right ვარაუდობს, რომ ისინი ახალი ჩასულები იყვნენ ევროპაში (Lakoff G. 1969).

მეორე მეცნიერი, რომელიც ასევე იკვლევს საკითხს იმ წინაპირობის შესახებ, რომელსაც მიყვავართ სწორ კომუნიკაციამდე,

უფრო ფართე კონტექსტში კი ტექსტის გაგებამდე არის ჯ. მორგანი (Morgan J. 1969). მის მიერ მოყვანილი მაგალითი: “ბოთლი დგას მაგიდაზე” პრესუპოზიციისა და კონტექსტუალური იმპლიკაციის თვალსაზრისით განიხილება. მაგალითად: “კარლი ამბობს, რომ ბოთლი ...”, “კარლი თელის...”. აქედან გამომდინარე, იგი ედავება ბ. რასელს, წინადადების “ვალენშტაინი აწარმოებდა მოლაპარაკებას შედეგებთან” პრესუპოზიციის თაობაზე. ბ. რასელის მოსაზრებით, აღნიშნული ფრაზა ჭეშმარიტად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ვალენშტაინი რეალურად არსებობდა და ა.შ. ხოლო ჯ. მორგანი, პრესუპოზიციას ზოგადად დისკურსის სამყაროს უკავშირებს. ის თვლის, რომ ისეთ ფრაზაში, როგორცაა “რეიხკანცლერი ბისმარკი ვინეტთან ხშირად აწარმოებდა მოლაპარაკებას”, დისკურსი ითვალისწინებს გარკვეულ ცოდნას ვინეტის პიროვნების შესახებ და თუ ცნობილი იქნება, რომ ვინეტი ერთ-ერთი რომანის გმირია და არანაირად არ არის დაკავშირებული ბისმარკის სახელმწიფო საქმეებთან, აქედან გამომდინარე მთელი დისკურსი აღმოჩნდება მცდარი, მაშინ როცა ფრაზა: “ბისმარკი მოლაპარაკებას აწარმოებდა გლადსტონთან” რეალური დატვირთვის მატარებელია (Russell B. 1940).

ამრიგად, ნებისმიერი ტექსტის გაგება (ეს იქნება პროფესიონალური მკითხველისათვის გამიზნული სპეციალური თუ უბრალოდ, განათლებული პიროვნებისათვის განკუთვნილი მხატვრული ტექსტი) უდაოდ ემყარება ენობრივ ერთეულთა შინაარსის შესახებ წინასწარ ცოდნას ანუ მკითხველის თეზაურუსს, რაც განაპირობებს კიდევც აღნიშნულ ერთეულთა მხოლოდ განსაზღვრულ სემანტიკურ კონტექსტში ფუნქციონირებას.

თეზაურუსი (ბერძ. “განძი”) ესაა სამყაროზე საერთოდ, თუ მოცემულ რეფერენტულ სიტუაციაზე წარმოდგენათა ერთობლიობა, რომელიც კომუნიკანტებს აქვთ, შეიძლება ვილაპარაკოთ ადრესანტისა

და ადრესატის თეზაურუსებზე, მათი თეზაურუსების შესაბამისობა შეუსაბამისობაზე.

ლინგვისტიკაში თეზაურუსის გვერდით ხმარობენ აგრეთვე ტერმინს ფონური ცოდნა. ამ ორის სინონიმურია აგრეთვე ტერმინი, რომელიც ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური წარმოშობისაა – ესაა სამყაროს ხატი.

თუ პირველი ორი აქცენტს ცოდნაზე აკეთებს, მესამე წარმოდგენაზე აკეთებს.

კომუნიკაციის ყოველი აქტი გულისხმობს, რომ კომუნიკანტებს ერთმანეთის თავისებურებაზე, ფონურ ცოდნასა და სამყაროს ხატზე აქვთ წარმოდგენა.

კონტექსტი, რამდენადაც იგი გამონათქვამის სწორად აღქმის პირობად ითვლება, მჭიდროდაა დაკავშირებული ფონურ ცოდნასთან ანუ თეზაურუსთან, რომელიც კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში მნიშვნელოვან ფაქტორს თამაშობს.

ფონური ცოდნა ო. ს. ახმანოვას ნაშრომში, თავად ენობრივი (ჰორიზონტალური) კონტექსტისაგან განსხვავებით, განმარტებულია, როგორც კულტურულ-მატერიალურ-ისტორიული, გეოგრაფიული და პრაგმატული ხასიათის მონაცემთა ერთიანობა, რომელიც ივარაუდება, რომ გააჩნია აღნიშნული ენის მატარებლის და მის გარეშე - როგორც თავად ავტორი აღნიშნავს – შეუძლებელია შედგეს ენობრივი ურთიერთობა (Akhmanova O. 1982).

ბუნებრივია, რომ აღნიშნული სახის ფონური ცოდნა კონკრეტული კონტექსტის გაშიფრვას განაპირობებს, მაგრამ ის ამავე დროს ემყარება “რეალიათა” ცოდნას და აქედან გამომდინარე, არა აქვს საკუთარი სტრუქტურა. ფონური ცოდნა, როგორც კონტექსტური (ახმანოვის მიხედვით ვერტიკალური) ტექსტის გაგების წინაპირობა, ენის სემანტიკურ სტრუქტურას ახასიათებს, ვინაიდან ის მიეკუთვნება “აღნიშნული გამონათქვამის ობიექტურ კონტექსტს”, (ibid).

ეს გარემოება განსაზღვრავს პრესუპოზიციის ლინგვისტურ სტატუსს, რომელიც მიმართულია არა მსჯელობის სისწორე მცდარობის დადგენისაკენ, არამედ ამა თუ იმ გამონათქვამის ძირითადი აზრის გამოვლენისაკენ. ლინგვისტური პრესუპოზიცია არ მოითხოვს რაიმე მკაცრ პროცედურას. იგი ტექსტის გაგების დამატებითი საშუალებაა და ემყარება წინაპირობას კომუნიკაციის ცოდნის შესახებ.

§.8 პრესუპოზიციის, როგორც ლოგიკური კატეგორიის, კონტექსტური ანალიზი

პრესუპოზიციის კონსტრუქციული ორგანიზაცია ენაში ძალზე მრავალფეროვანია, თუმცა საკუთრივ ფუნქციიდან გამომდინარე ერთიანია, რამდენადაც ის მიმართულია მხოლოდ ტექსტის სწორი გაგებისაკენ და იყენებს იმ ენობრივ ერთეულებს, რომლებიც თავიანთ მომხმარებელს, ერთი აზრის ნათლად გამოხატვის საშუალებას აძლევს, მეორე მხრივ, ხელს უწყობს მსმენელს, მთლიანი აზრობრივი დატვირთვითა და სიცხადით გაიგოს ტექსტი.

მაგალითად, წინადადების “Martha doesn’t regret drinking wine” პრესუპოზიცია, მსმენელს აწვდის ინფორმაციას, რომ Martha drank wine.

უფრო ფართოდაა გავრცელებული პრესუპოზიციები, რომლებიც იმ ტექსტის აზრობრივ ელემენტთა ჯაჭვზეა აგებული, რომლის საფუძველი ჩვენებითი ნაცვალსახელებია.

პრესუპოზიციის შედარებით რთულ სახეობას ქმნის წინადადებათა ჯაჭვი, სადაც ლოგიკური წყობიდან გამომდინარე, წინა წინადადებების მნიშვნელობა განაპირობებს მომდევნო წინადადების გაგებას. ამგვარად, პრესუპოზიციურ გამონათქვამთა ჯაჭვი საკმაოდ მკაცრ ერთიანობას ქმნის. მაგალითად, “ციოდა, ჩვენ უნდა გვექარა”. გამონათქვამი “ჩვენ უნდა გვექარა” მნიშვნელობას იძენს იმ პრესუპოზიციის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ სიტყვა, დაგვიანებამ, შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს. მოცემული პრესუპოზიცია გამორიცხავს ზემოთ მოყვანილი გამონათქვამის სხვაგვარ გაგებას.

ენობრივი კომუნიკაცია, რომელიც კონკრეტულ პირობებში კონკრეტულ პირებს შორის მყარდება, რომლებიც, თავის მხრივ, თანამდებობრივი და ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით,

განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან, ასევე ქმნის საფუძველს პრესუპოზიციისათვის.

მაგალითად, ენობრივი ფორმა, რომელსაც ხელმძღვანელი თავისი დაქვემდებარებული პირის მიმართ იყენებს, შეიცავს ბრძანების ან მითითების პრესუპოზიციას.

პრესუპოზიციის ყველაზე გავრცელებული ის ტიპია, რომელიც კომუნიკანტთა ცოდნას ანუ ფონურ ცოდნას ემყარება და, რომელიც უწყობს ხელს გამონათქვამის სწორ გაგებას. ქვემოთ, პრესუპოზიციის საფუძველზე უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ტექსტის კონტექსტუალურ ანალიზის ძირითად გზებს.

პრესუპოზიცია, რომელიც მოცემულია არა წინადადების, არამედ უფრო ფართე კონტექსტში მეტად საინტერესო მოვლენაა. ამ შემთხვევაში, რომელიმე ფრაგმენტის გაგება ხდება, სიტყვის ან გრამატიკული ფორმის შინაარსის გაშიფვრით, რომელიც კომუნიკაციური აქტის წინა მონაკვეთშია მოცემული.

აღნიშნული სახის პრესუპოზიცია რეალობაში ძალზე ხშირად გვხვდება, რადგან მასზე იგება ზეპირი თუ წერილობითი სახის ყოველდღიური კომუნიკაცია.

აღნიშნული პრესუპოზიციის სახესხვაობაა ჩვენებით ნაცვალსახელთა გამოყენება, რომელთა მნიშვნელობის გაგებაც ტექსტის წინა ფრაგმენტში, სიტყვათა კავშირის შედეგადაა შესაძლებელი. იმავედროულად, აღნიშნული კავშირი მხოლოდ პრესუპოზიციურ ხასიათს ატარებს და არა გრამატიკულს, რამდენადაც სიტყვასა და მის შემცველ სახელს შორის პირდაპირი კავშირი არ არის. აღნიშნული კავშირი შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ, სიტუაციის ცოდნის შემთხვევაში. მაგალითად: შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი სახის კომუნიკაცია შესდგება სიტუაციით მთელი ჯაჭვისაგან, რომელთა სიტყვიერი გამოხატულება კომუნიკაციის მონაწილეებისათვის გასაგები მხოლოდ პრესუპოზიციის საფუძველზე

ხდება. პრესუპოზიცია სინამდვილეში ლინგვისტური კომპეტენციის მოდელსა და კომუნიკაციური კომპეტენციის მოდელს შორის, შუალედური რგოლია.

პრესუპოზიციის მეორე ტიპი გარკვეულ ცოდნაზეა დამყარებული. აღნიშნულ შემთხვევაში, გამონათქვამის მნიშვნელობის გაგება, უკვე შეუძლებელია ამ გამონათქვამის წინა ფრაგმენტიდან. ეს შესაძლებელია კომუნიკანტთა შორის დაგროვილი ცოდნის საფუძველზე.

აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კონტექსტის ცნების განმარტება, სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვაგვარია. ზოგი მას უფრო ვიწრო, ხოლო ზოგი პირიქით, უფრო ფართე ასპექტში განიხილავს. მაგალითად, რ. ლაკოფი თვლის, რომ კონტექსტის ზოგიერთი ასპექტი უნივერსალური ლინგვისტური მნიშვნელობისაა და ყველა ენისთვისაა მისაღები, თუმცა არსებობს კონტექსტუალური პირობებიც, რომლებიც მხოლოდ კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში მქლავნდება. მაგალითის სახით, ის ინგლისური ენის მასალაზე განიხილავს მოსაუბრის მიერ თავაზიანობისა და პატივისცემის გაგებას, კონტექსტუალური გამოხატულების საკითხს. სხვადასხვა პრესუპოზიციის საფუძველზე (ასაკი, თანამდებობა, საზოგადოებრივი მდგომარეობა) შესაძლებელ სიტუაციათა ვარიანტები მან სამ გამონათქვამში განიხილა:

You must have some of this cake.

You should have some of this cake.

You may have some of this cake.

ყველა ზემოთ მოცემულ გამონათქვამს ძალუძს ამა თუ იმ პიროვნებისადმი, ამა თუ იმ სიტუაციაში სხვადასხვა ხარისხის თავაზიანობა და პატივისცემა გამოხატოს (Lakoff G. 1969). მსგავსი

ენობრივი მოვლენა მოცემულია შემდეგ გამონათქვამშიც: Come in, won't you? Please come in. come in. come in, will you?

ავტორმა, ზემოთ მოყვანილი კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, უდაოდ სწორად განსაზღვრა კონტექსტის დიდი როლი გამონათქვამის აგების პროცესში. გამონათქვამი, სხვადასხვა კომუნიკაციურ მნიშვნელობას, შესაბამისი პრესუპოზიციების საფუძველზე იძენს. მოცემული მაგალითებიდან ცხადად ჩანს, რომ კონტექსტი უბრალოდ კი არ ასრულებს თავის ფუნქციას, არამედ იგი ნებისმიერი სამეტყველო აქტის ძირითად ბირთვს წარმოადგენს და მჭიდროდაა დაკავშირებული გამონათქვამის ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობასთან.

მკითხველი, ზოგჯერ ვერ აცნობიერებს, რომ ნებისმიერი ფრაზის გაგება, ფაქტიურად, დამოკიდებულია პრესუპოზიციებზე, რომელსაც მკითხველის თეზაურუსი ქმნის.

ლინგვისტურად რთული სტრუქტურა, შეიცავს მთელ რიგ დეტალებს, რომელთა უმეტესობასაც მსმენელი კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება არც შეეხოს, თუმცა ის დეტალები, რომელსაც ის ეხება, უნდა შეესაბამებოდეს სტრუქტურას, სხვაგვარად მსმენელი ვერ გაიგებს წინადადებას. მაგ:

“ჯონმა თავისთვის გაიფიქრა: მერი ეს წუთია შევიდა სამზარეულოში”. იმ შემთხვევაში, თუ მსმენელს აინტერესებს, სად იმყოფება მერი, ის იგნორირებას გაუკეთებს პრესუპოზიციას “შევიდა”, რადგან შესაძლებელია ჯონიც იმყოფებოდეს სამზარეულოში. ამ შემთხვევაში “შევიდას” უფრო “გადაადგილების” მნიშვნელობა აქვს.

ხოლო თუ მსმენელი დაინტერესებულია ჯონის ადგილმდებარეობით, მაშინ ის ბუნებრივია იგნორირებას ვერ გაუკეთებს აღნიშნულ პრესუპოზიციას. მის წარმოდგენაში, ზმნა “შევიდა” ასოცირდება “გადაადგილებასთან” და მას ემატება პრესუპოზიცია..

საგულისხმოა, რომ მსმენელმა როგორადაც არ უნდა გამოავლინოს ზმნა “შესვლის” პრესუპოზიცია, ის ყოველთვის მის შეთანხმებას შესძლებს მისივე კონტექსტთან. აკადემიკოს პ. ლიხანავის ცნობილი გამოთქმა “აღმოვაჩინეთ ლიტერატურა ლიტერატურაში” ზუსტად შეესაბამება იმ ნიშნის კონტექსტუალური განმარტების ფართე შესაძლებლობებს, რომელიც აგებულია ლიტერატურის ფართე პრესუპოზიციაზე. აღნიშნული პრესუპოზიციის საფუძველზე, ლიტერატურათმცოდნეებმა ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების არსი მკითხველისათვის უნდა გახსნან.

აღნიშნული ტიპის კონტექსტს, პირველ რიგში რეალიათა ცოდნა მიეკუთვნება. პრესუპოზიციის ეს ტიპი საჭიროებს კომუნიკანტთა სათანადო კულტურულ დონეს, განსაკუთრებით იგი დიდ როლს წერილობითი ურთიერთობისას და მთარგმნელობით საქმიანობაში თამაშობს. მაგალითად, წინადადებაში : The proposed plan is a Metrical Program for Latin America-- ვერც ერთი მკითხველი ვერ ნაწვდება, ამერიკელი კონგრესმენის მიერ წარმოთქმული სიტყვის აღნიშნული ფრაგმენტის აზრს, თუ აღნიშნული ტექსტის საზღვრებს გარეთ არსებულ ინფორმაციას არ ფლობს. ეს შესაძლებელია მხოლოდ პრესუპოზიციის საშუალებით, ე.ი. აუცილებელია იმის ცოდნა, რომ სიტყვა metrical აღნიშნავს აბებს, რომელსაც იღებენ შიმშილობის დიეტის დროს. ეს გაუადვილებს მკითხველს, მოცემული ფრაზის მთავარი აზრის გაგებას, (“შიმშილობის” ამერიკული გეგმა ამერიკისათვის).

ამრიგად, რეალურ კომუნიკაციაში ნებისმიერი ტექსტის გაგება მჭიდროდაა დაკავშირებული პრესუპოზიციის გრძელ ჯაჭვთან, რომლის ერთი რგოლის დარღვევაც, პრაქტიკულად არღვევს კომუნიკაციის აქტს, რომელშიც აკუმულირებულია მთელი გამოცდილება, ლინგვისტური და ადამიანის ცოდნის ჩათვლით.

პრესუპოზიცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგალითად დიპლომატური საბუთების შედგენისას, სადაც თითოეული ფრაზის მიღმა იმალება არა მხოლოდ მნიშვნელობის კონტექსტური ვარიანტები, არამედ ოქმური ჩანაწერების სახით განსაზღვრული დოკუმენტური ინტენციებით. მაგალითად, ისეთ გამოთქმებშიც, როგორცაა “მიღწეულია მხარეთა შორის ინტერესების ბალანსი”, დასაშვებია არსებობდეს, როგორც ფართე, მრავალმხრივი, ისე ერთმნიშვნელოვანი პრესუპოზიცია.

პრესუპოზიცია, როგორც ტექსტის გაგების ერთ-ერთი ხერხი, მოქმედებს აზრობრივად დასრულებული გამონათქვამების ფარგლებში, სადაც აზრობრივ დასრულებას განაპირობებს სემანტიკური ველი. აღნიშნული სემანტიკური ველი, კომუნიკაციის პროცესში წარმოდგება, როგორც კომუნიკაციის მონაწილეთა საურთიერთობო, საკომუნიკაციო თემა (ზეპირი ან წერილობითი ფორმის); მის ინფრასტრუქტურაში, ეს ველი წარმოადგენს განსაზღვრულ დისკურსს, ე.ი. ლოგიკურად და სემანტიკურად გამართულ მსჯელობას, სადაც აზრობრივი ჯაჭვის თითოეული რგოლი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული (დიალოგი, მოთხრობა, მონოლოგი და ა.შ.). თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ დისკურსს გააჩნია შინაგან კავშირთა მთელი ქსელი, ამ სემანტიკური ქსელის თითოეული ნაწილის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ტექსტის დისკურსის ყველა კონტექსტუალური შემადგენელი ნაწილის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, პრესუპოზიცია სხვა არაფერია, თუ არა ტექსტის სემანტიკური ანალიზის საშუალება, რომელიც ხსნის გამონათქვამთა შორის არსებულ კავშირს და ემყარება ტექსტში შემავალ სიტყვათა, სიტყვათშეხამებათა და წინადადებათა სავარაუდო მნიშვნელობას. აღნიშნული ვარაუდი სწორედ რომ დისკურსის თემაა.

ნებისმიერი პრესუპოზიციის ლოგიკური სტრუქტურა ერთიანია და ჩვეულებრივი იმპლიკაციის ფორმულაში ჯდება: თუ ... მაშინ (თუ

მსჯელობის თემა იქნება ესა და ეს, მაშინ ტექსტში წარმოდგენილი სიტყვათა მნიშვნელობა იქნება ესა და ეს), თუმცა პრესუპოზიციის ერთიანი ლოგიკური სტრუქტურის შემთხვევაშიც, დასკვნის საფუძველი შეიძლება იყოს არა მხოლოდ წმინდა ენობრივი მონაცემები, რომელიც ხელმისაწვდომია კომუნიკაციის თითქმის ყველა მონაწილესათვის, არამედ ის მონაცემებიც, რომლებიც დაკავშირებულია კომუნიკანტთა ფაქტიურ მეცნიერულ, კულტურულ, ესთეტიკურ და ა.შ. ცოდნასთან, რაც განაპირობებს კიდევ კომუნიკაციის მონაწილეთა მიერ ტექსტის გაგების სიღრმესა და სისწორეს, მათი კომპეტენციიდან გამომდინარე. კომუნიკაციის მონაწილეთა კომპეტენცია მოიცავს, როგორც ელემენტარულ ცხოვრებისეულ რეალიათა ცოდნას, ასევე ლინგვისტურ ცოდნასაც.

ბუნებრივი ენისათვის, პრესუპოზიციისადმი ლოგიკური მიდგომა საკმაოდ ვიწრო დიაპაზონს წარმოადგენს. ზოგადად კი, ენა და ასევე კონკრეტული კომუნიკაციური კონტექსტები, იმპლიკაციათა ფართე სპექტრს მოიცავს.

პ. სტროუსონი წერს იმის შესახებ, რომ თეზისი კატეგორიულ მსჯელობათა ტრადიციული სისტემებისათვის არ შეიძლება მოიძებნოს საპირისპირო. ინტერპრეტაცია მცდარია, მას სურს უწვენოს, რომ თეზისი მცდარია გარკვეული მოსაზრების მიხედვით. ამ სიმცდარეს კი განაპირობებს ენის ყოველდღიური გამოყენების ზოგადი თავისებურებები (Strawson P.1950).

ენის გამოყენების ზოგად თავისებურებებში, პ. სტროუსონი სწორედ პრესუპოზიციას მიიწვევდა, რომელსაც განიხილავს ნაშრომში “Realistic Solution”.

რ. ლაკოფი შეეცადა პ. სტროუსონის თეორიის ინტერპრეტაციას და მოგვცა პრესუპოზიციის, როგორც მოსაზრების-მსმენელის “რწმენის” განმარტება (Lakoff P. 1950).

ის აზრი, რომელიც წარმოადგენს გამონათქვამის “საფრანგეთის მეფე მელოტია” პრესუპოზიციას, ემყარება მოსაუბრის რწმენას, რომ საფრანგეთის მეფე რეალურად არსებობს. უფრო მეტიც, მოსაუბრეს სწამს, რომ მსმენელიც იზიარებს მის შეხედულებას. პრესუპოზიციისადმი ასეთი მიდგომა აბსოლუტურად განსხვავდება ლოგიკური მიდგომისაგან. რ. ლაკოფის მიხედვით, პრესუპოზიციას ჭეშმარიტების ფაქტორთან აქვს შეხება, მაგრამ პირველ რიგში, ის დაკავშირებულია დასრულებულ კომუნიკაციასთან (Ibid.).

დღესდღეობით, უფრო ფართე გავრცელებას პოულობს პრესუპოზიციის როგორც წარმატებული კომუნიკაციის პირობების გაგება პრაგმატული კონცეფციის ფარგლებში. თუმცა, აღნიშნული “სფერო”- თანდათან ფართოვდება და უკვე აღარ შემოიფარგლება მხოლოდ მოსაუბრის-მსმენელის “რწმენით”, არამედ გულისხმობს კომუნიკაციურ-რელევანტურ პირობათა მთელ ნუსხას, რომელიც საჭიროა კომუნიკაციური აქტის ეფექტური გაგებისათვის. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ლინგვისტიკაში გაჩნდა პრესუპოზიციის ცნების უფრო ფართე გაგების ტენდენცია, ანუ ეს უკანასკნელი გაგებული უნდა იქნეს, როგორც ამა თუ იმ კონტექსტური მონაცემის საფუძველზე გამონათქვამის სწორად გამოყენების ერთ-ერთი გზა. უფრო ფართედ გამოიყენება პრესუპოზიცია, რომელიც ემყარება კომუნიკანტთა შორის დაგროვილ ცოდნას. რაც შეეხება ექსტრალინგვისტურ საფუძველზე – სიტუაციის ცოდნაზე დაფუძნებულ პრესუპოზიციას, ამ შემთხვევაში ის მეტნაკლებად მისაწვდომია კომუნიკაციის ყველა მონაწილისათვის.

ამრიგად, პრესუპოზიციის კატეგორია, კომუნიკაციური ურთიერთობის უწყვეტი პროცესის განუყოფელი ნაწილია.

მეტნაკლებად რთული ან მარტივი ფორმით იგი პრაქტიკულად ყველა საკომუნიკაციო აქტშია წარმოდგენილი.

თავი III პრესუპოზიციის პრაგმატული და სემანტიკური მახასიათებლები

§1 პრესუპოზიციის პრაგმატული და ლოგიკური თეორიები

პირველი პრაგმატული თეორია ახალი ტერმინოლოგიით წარმოდგენილია ი. პეტერსონის (Peterson E. 1998) მიერ; მან მნიშვნელობის მქონე გამონათქვამებს, რომლებიც პრესუპოზიციას შეიცავენ, იმპლიკაციური განათქვამები ანუ კონვერსაციული იმპლიკაცია უწოდეს, რამაც შემდგომში საფუძველი დაუდო პ. გრაისის (Grice H. 1975) ტერმინოლოგიას.

ი. პეტერსონის თეორიის მიხედვით, პრესუპოზიცია არაგაუქმებადია. თუმცა ამავე დროს, მას კარგად ესმოდა პრესუპოზიციის პრობლემატური საკითხები, მათ შორის მისი ანულირებადობაც. ის პირველი მეცნიერი იყო, რომელიც დეტალურად იკვლევდა აღნიშნულ საკითხებს. კერძოდ, როგორ დავამტკიცეთ, რომ პრესუპოზიცია არაგაუქმებადია.

მეორე მეცნიერი, რომელიც აგრეთვე ცდილობდა გაერკვია კონტექსტში პრესუპოზიციის ანულირებადობის პრობლემა, ი. გაზდარია. მისი პრაგმატული თეორიის მიხედვით, პრესუპოზიცია

ლინგვისტური გამონათქვამის მნიშვნელობის არანამდვილი პირობითი ასპექტია.

წინამორბედებისაგან განსხვავებით, ი. გაზდარის თეორია ასაბუთებს პრესუპოზიციის ანულირებადობას. ი. გაზდარი ეყრდნობა ჯ. გრინისა და ჯ. მორგანის ვარაუდს იმის შესახებ, რომ წინადადებას ახასიათებს ე.წ. პოტენციური პრესუპოზიცია. რთული წინადადების პრესუპოზიცია უდრის მასში შემავალი წინადადებების პრესუპოზიციის ჯამს. (Green J.1972; Morgan J.1969) იმისათვის, რომ გაეიგოთ პოტენციური პრესუპოზიციებიდან, რომელია ნამდვილი პრესუპოზიცია, უნდა გამოვიყენოთ უარყოფის მექანიზმი. შემდეგ, რაც გადარჩება, ის იქნება პრესუპოზიცია. ასეთი ანალიზის შედეგად, წინადადება ასოცირდება პოტენციურ პრესუპოზიციასთან, გამონათქვამი კი – ნამდვილ პრესუპოზიციასთან. ზემოთ ნახსენები პრაგმატული თეორიები პრესუპოზიციის ყველაზე მისაღები თეორიებია, რომლებიც კომპოზიციურ პრობლემას (Projection problem) ეხება რეალურად, მხოლოდ აღნიშნულ თეორიებზე დაყრდნობით შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მოძებნა.

პრესუპოზიციის პრაგმატული თეორიები განასხვავებს ორ ძირითად კონცეფციას: შესაფერისობა (appropriateness) და ორმხრივი ცოდნა (mutual knowledge).

მაგ: გამონათქვამი (A) პრაგმატულად ვარაუდობს გამონათქვამს (B)-ს. (A) არის შესაფერისი, შესატყვისი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (B) კარგად არის ცნობილი ორმხრივად კომუნიკაციის მონაწილეთათვის. ავიღოთ ორი ასეთი წინადადება.

(1). I'm sorry I am late, I'm afraid my car broke down.

(2). I'm sorry I am late, my fire-engine broke down.

(1) წინადადების პრესუპოზიციაა;

(3) The speaker has a car და აქ არ ირღვევა არც შესაფერისობა და არც ორმხრივი ცოდნა. ხოლო (2) წინადადების პრესუპოზიციაა (4) The speaker has a fire-engine.

იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება ორმხრივი ცოდნა მოსაუბრის საკუთრებაში მყოფი სახანძრო მანქანის არსებობაზე (4) პრესუპოზიცია ვერ იქნება შესაფერისი. ორმხრივი ცოდნა აქ აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ძალზე იშვიათია შემთხვევა, რომ ნებისმიერ ადამიანს სახანძრო მანქანა ჰქონდეს.

§2 პრესუპოზიციის, პროპოზიციისა და გარდაუვალი შედეგის შედარებითი ანალიზი

პრესუპოზიციის კატეგორიას დღესდღეობით ორი სხვადასხვა თეორია სწავლობს: ლოგიკური (სემანტიკური) თეორია, რომელიც ვარაუდს თეორემასთან (proposition) მიმართებაში, სისწორე-მცდარობის თვალსაზრისით შეისწავლის, პრაგმატული თეორია კი, ვარაუდს სტატუსის თვალსაზრისით ხსნის. კერძოდ, იგი იკვლევს მეტყველების აქტს, რომელიც დაფუძნებულია მთქმელის ან მსმენელის რწმენაზე. არსებობს სხვა მიდგომაც, რომელიც განიხილავს პრესუპოზიციას, ლოგიკურისა და პრაგმატულის სინთეზს.

საკითხის უფრო ნათლად გაგებისათვის აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ: პრესუპოზიცია (presupposition), პროპოზიცია (proposition) და გარდაუვალი შედეგი (entailment).

X Y – ის გარდაუვალი შედეგია (X entails Y)

X: He married a blonde heiress;

Y: He married a blonde.

X ვარაუდობს y

X: The girl he married was a hairess;

Y: He married a girl.

X Y-ის იმპლიკაცია (X implicates Y)

X: Few man marry blonde heiresses;

Y: Some man marry blonde heiresses.

პირველი და მეორე მაგალითი გვინვენებს, რომ ვარაუდი აუცილებელი შედეგისაგან განსხვავდება იმით, რომ Y - ი X - გან რაღაც ჭეშმარიტებას გებულობს. ჭეშმარიტების თვალსაზრისით, ეს განსხვავება შემდეგი განმარტებებიდან ჩანს.

X - ი ამცნობს Y - ს აუცილებელ შედეგს, რაც ნიშნავს:

ა) თუ X - ი მართალია, მაშინ Y - ც მართალი უნდა იყოს.

ბ) თუ X - ი მცდარია, მაშინ Y - იც შესაძლებელია სწორი ან მცდარი იყოს.

X - ი ვარაუდობს Y - ს:

ა) თუ X - ი სწორია, მაშინ Y - იც სწორი უნდა იყოს.

ბ) თუ X - ი მცდარია, მაშინ Y - იც მცდარი უნდა იყოს.

ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია ამომწურავი არ არის, ამიტომ საჭიროა მივმართოთ უარყოფის ტესტს, რომელსაც ხშირად იყენებენ, როგორც ვარაუდის აუცილებელი შედეგისაგან განმასხვავებელ უკიდურეს ხერხს. მაგალითად:

(1) ა) He married a blonde Heiress - აუცელებელი შედეგია იმისა, რომ He married a blonde;

ბ) He did not marry a blonde heiress - აღარ გვაძლევს შედეგს იმისას, რომ He married a blonde;

(2) ა) The blonde he married was a heiress - ვარაუდობს, რომ He married a blonde;

ბ) The blonde he married was not heiress - ვარაუდობს, რომ He married a blonde.

როგორც უარყოფითი ტესტიდან ჩანს, აუცილებელი შედეგის საკითხი უარყოფისათვის პრობლემატურია. რაც შეეხება ვარაუდს, იგი უარყოფის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაშიც შენარჩუნებულია, ე.ი. ვარაუდი უფრო ძლიერი კატეგორიაა, ვიდრე გარდაუვალი შედეგი (entailment).

ლოგიკური თეორიის მიხედვით X და Y ორივე თეორემაა (proposition):

განვიხილოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი:

- (3) The books you stole the library is valuable (proposition);
- (4) The book you stole from the library is not valuable (negative proposition);
- (5) Is the book you stole from the library valuable? (Yes/no question);
- (6) When did you steal the book from the library? (Wh question);
- (7) See that you return the book . (command);
- (8) What an interesting book you stole from the library! (exclamation);

ყოველივე ზემოთქმული, ვარაუდის პრაგმატული განმარტების პირველი ცდაა. ვარაუდის პრაგმატული კონცეფცია ინდივიდუალურია, რომელიც ენობრივ ორიენტაციას არ გამოხატავს. პრაგმატული თეორიის მიხედვით, მნიშვნელოვანია არა ის, რაც მთქმელს სჯერა, არამედ ის, რასაც ის ამბობს.

მაგალითად, ასეთ წინადადებაში “როდის შეწყვიტე ცოლის ცემა?”, მკითხველი ვარაუდობს, რომ მსმენელი მის ცოლს ცემდა ხოლმე, თუმცა არ ვიცით მთქმელს თავისივე სიტყვების სჯერა თუ არა. პრაგმატიკა სწავლობს გამონათქვამს და არა საიდუმლო ფიქრებს.

პრაგმატიკა ვარაუდს განიხილავს, ვარაუდს (Presupposition) და მტკიცება/მსჯელობას (Assertion) შორის არსებული განსხვავების მიხედვით. ვარაუდი ითვლება გამონათქვამის შინაარსის აუცილებელ

ელემენტად, ხოლო მტკიცება/მსჯელობა კი მიხნეულია ინფორმაციული ხასიათის ახალ მოვლენად. ეს განსხვავება ხშირად შეესაბამება ქვემდებარე-შემასმენლის ტრადიციულ განსხვავებას. მაგალითად:

The prime-minister's son drives fast cars;

ამ წინადადებაში ვარაუდი ასე გამოიხატება: არსებობს X და იგი პრემიერ-მინისტრის ვაჟია, ხოლო მტკიცება/მსჯელობა: X ატარებს სწრაფ მანქანებს.

შევეცადოთ ვარაუდსა და მტკიცება/მსჯელობას შორის განსხვავება ფონოლოგიის საშუალებით დაეადგინოთ. კერძოდ, წინადადებაში იმ ნაწილის გარკვევით, რომელზეც მთავარი მახვილი მოდის. ცენტრი, ხშირად წინადადების ბოლოს გვხვდება. ე.ი. ახალი ინფორმაცია მოსდევს უკვე კარგად ნაცნობ ინფორმაციას, თუმცა ეს პირობითია.

მაგ:

- (1) Her sister flew to Paris last Friday;
- (2) Her sister flew to Paris last Friday;
- (3) Her sister flew to Paris last Friday;
- (4) Her sister flew to Paris last Friday.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მისთვის შემცველი ელემენტი ინფორმაციის ცენტრია, ხოლო სხვა დანარჩენი ვარაუდი.

პრესუპოზიცია/Presupposition

ცენტრი/Focus

- | | |
|--|-----------------|
| 1) Her sister flew to Paris at some time X ; | X - last Friday |
| 2) Her sister flew to some place x last Friday; | X – Paris |
| 3) Her sister went by some means x to Paris last Friday; | X – air |
| 4) Somebody x flew to Paris last Friday; | X - her sister |

ზემოთქმულის დამტკიცება შეიძლება უარყოფითი ტესტის გამოყენებით:

მაგ: It was not to Paris, that her sister flew last Friday.



It was Paris.

იმისათვის, რომ გავიგოთ კავშირი ნაგულისხმევ აზრსა და უარყოფითს შორის, განვიხილოთ უარყოფის პრაგმატული ბუნება. უარყოფა მოსაუბრის ან მსმენელის მოლოდინთან ასოცირდება.

- ა) გაცრუებული მოლოდინი /Cancelled expectation/, რაც შეესაბამება დადებით პროპოზიციას not-ის გამოტოვებით;
- ბ) ჭეშმარიტი აღბათობა /an actual expectation/, რომელიც პრესუპოზიციის დადებითი შინაარსის ის ნაწილია, რომელიც მისგან უარყოფითი შინაარსის ამოღების შემდეგ რჩება.

მაგ: I did not eat many chocolates ანულირებას უკეთებს აღბათობას, რომ “მე ვჭამე ბევრი შოკოლადი” და ამ წინადადების ჭეშმარიტი აღბათობა I ate some of the chocolates.

§3 პრესუპოზიცია, როგორც გამონათქვამის ნომინაციურ ასპექტთან დაკავშირებული სისტემა

კომუნიკაციის ცნებისა და მისი მოდელის განახლება გულისხმობს კომუნიკაციის შინაარსის ისეთ გაფართოებას, რომლის ფარგლებშიც კომუნიკაციის აქტი გვევლინება უფრო ფართო ადამიანური ქმედების კომპონენტად ან მის “გაგრძელებად”. ეს თეზისი, რომელიც კომუნიკაციური ლინგვისტიკის პირველ საფუძველს წარმოადგენს, ჩვენ ძირითადად დავაკონკრეტეთ ექსტრალინგვისტური ცნების საშუალებით. განასხვავებენ ექსტრალინგვისტური სიტუაციის ორ სეგმენტს – რეფერენტულ და კომუნიკაციურ სიტუაციას. ორივე მათგანი “ნართულობას” გულისხმობს უფრო ფართო სიტუაციაში: რეფერენტული სიტუაცია ნართულია საგნობრივ-ხლომილებით ფონში, ხოლო კომუნიკაციური სიტუაცია – ქმედით სიტუაციაში “ნართვა” აქ ნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს ამ უფრო ფართოდ აღებული სიტუაციების კომპონენტს. გამოყოფილი 4 სეგმენტი: საგნობრივ-ხლომილებითი ფონი, რეფერენტული სიტუაცია, ქმედითი სიტუაცია, კომუნიკაციური სიტუაცია იძლევა იმას, რასაც კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში მეტყველების კომუნიკაციის ჩარჩოებს უწოდებენ.

ტერმინი და ცნება “ექსტრალინგვისტური სიტუაცია” გულისხმობს საკუთრივ ენობრივ-ინტრალინგვისტურ სიტუაციას. ეს კი თვით გამონათქვამია. ტერმინი “გამონათქვამი” თავისი მნიშვნელობით უფრო

ფართოა, ვიდრე ისეთი ტერმინები, როგორცაა “წინადადება” და “ტექსტი”. იმისათვის, რომ ამ ფართო მნიშვნელობაში გარკვეულობა შევიტანოთ, შეგვიძლია დავეყრდნოთ ტერმინებს “რეფერენტულ სიტუაციას” და “რეფერენტულ სივრცეს”. იმისათვის, რომ გამონათქვამი უდრიდეს წინადადებას, საკმარისია გვექონდეს რეფერენტულ სიტუაცია – ამ შემთხვევაში გამონათქვამი ასახელებს რომელიმე რეფერენტულ სიტუაციას. მაგრამ თუ გვაქვს სიტუაციათა გარკვეული ერთობლიობა ანუ რეფერენტული სივრცე, მაშინ გამონათქვამი უნდა მივიჩნიოთ ტექსტად.

გამონათქვამის ნომინაციური და კომუნიკაციური ასპექტი ერთნაირადაა დამახასიათებელი როგორც წინადადებისათვის, ისე ტექსტისათვის, ვინაიდან ერთი და მეორეც გამოდის გამონათქვამის როლში. მაგრამ ცხადია, ამ ასპექტების განმარტება, მათი არსის შეცნობა სჯობს წინადადების საშუალებით დავიწყოთ.

ზემოთ გაემიჯნეთ ექსტრალინგვისტური სიტუაციის ორი სახე: რეფერენტული და კომუნიკაციური სიტუაციები. გამონათქვამის ნომინაციური ასპექტი – ეს არის ასპექტი, რომელიც უშუალოდ ასახავს კომუნიკაციური სიტუაციას. აქვე უნდა ითქვას, რომ სიტყვა “ასახვა” გულისხმობს ასახვის ორ მოდულს: ასახვა შეიძლება იყოს ექსპლიციტური, ე.ი. გამონათქვამის ენობრივ სტრუქტურაში პირდაპირ განხორციელებული და შეიძლება იყოს იმპლიციტური, ე.ი. მხოლოდ ნაგულისხმევი, იმპლიციტური ასახვის შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ გამონათქვამის ნომინაციურ ან კომუნიკაციურ ქვეტექსტზე ანუ იმპლიკაციაზე.

რეფერენტული სიტუაცია მუდამ გულისხმობს სინამდვილიდან გარკვეული ელემენტების გამოყოფას და ამ ელემენტებს შორის გარკვეულ მიმართებათა დამყარებას. რაკი რეფერენტული სიტუაცია მუდამ წარმოადგენს გარკვეულ საგნობრივ-ხდომილებითი ფონის კომპონენტს, ცხადია, რომ რეფერენტული სიტუაციის გამოყოფა და

მისი გადაქცევა გამონათქვამის საგნად მუდამ არის მეტყველი სუბიექტის გარკვეული აქტივობის შედეგი. ე.ი. რეფერენტული სიტუაცია არასოდეს არ არის მოცემული მზა სახით. მაგალითად: იმის შესახებ, რაც აუდიტორიაში ხდება, შეიძლება აიგოს სხვადასხვა გამონათქვამი: “ტარდება ლექცია თეორიულ გრამატიკაში”, “მერხებს უზის 20 მსმენელი” და ა.შ. ამრიგად არის გარკვეული საგნობრივ-ხლომილებითი ფონი, მაგრამ გამონათქვამის ასაგებად საჭიროა მისგან გამოიყოს რეფერენტული სიტუაცია, ეს დამოკიდებულია, როგორც ერთგვარად, მეტყველ სუბიექტზე – მის სამყაროსეულ ხატზე, ფონურ ცოდნაზე, თეზაურუსზე და ა.შ. თუმცა საგნობრივ-ხლომილებრივი სიტუაცია ერთია, მისგან შეიძლება გამოიყოს მრავალი რეფერენტული სიტუაცია, მაგრამ სახელდობრ რომელი – ეს დამოკიდებულია უკვე სუბიექტის საკომუნიკაციო მიზანსა და თეზაურუსზე. იგივე ობიექტის კომუნიკალურ ასპექტზეც. აქედან გამომდინარეობს ორი ძირითადი დასკვნა, უაღრესად მნიშვნელოვანი, როგორც კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის საერთოდ, ისე პრაქტიკული ანალიზისათვის:

1. ნომინაციურ და კომუნიკაციურ ასპექტთა გამიჯვნა და გამოყოფა ფარდობითი ხასიათისა;
2. ის, რასაც ანალიზის მნიშვნელობიდან გამომდინარე უწოდებთ “ნომინაციურ ასპექტს”. ისიც კომუნიკაციური ასპექტი ყოფილა, რადგანაც იგი დამოკიდებული ყოფილა საკომუნიკაციო მიზანსა და თეზაურუსზე.

ამრიგად, ნომინაციური ასპექტის გამოყოფა გამონათქვამის დონეზე გვევლინება ფარდობით აქტად, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ითქმის კომუნიკაციურ ასპექტზე: ნომინაციური ასპექტი შეგვიძლია მივიჩნიოთ კომუნიკაციური ასპექტის ერთგვარ სახეობად, მაგრამ პირუკუ შეუძლებელია. ეს კი ნიშნავს მთელი ენობრივი სისტემის “კომუნიკაციულობას”, ენობრივ ერთეულთა შინაარსის მთლიან დაქვემდებარებას კომუნიკაციის ცნებისადმი.

ამრიგად, ნომინაციური ასპექტი ასახავს რეფერენტული სიტუაციას. იგი არ არის მოცემული მზა სახით, არამედ არის კომუნიკანტთა ქმედების შედეგი და განისაზღვრება ადრესანტის კომუნიკაციური მიზნითა და თეზაურუსით. ეს, რაც შეეხება ამ ასპექტის არსებობას. ესეა კი განვიხილოთ მისი სტრუქტურა.

თანამედროვე ლინგვისტიკაში ყოველი რეფერენტული სიტუაცია აღიქმება როგორც ისეთი ხდომილება, რომელიც გულისხმობს ამ ხდომილების მონაწილეთა გარკვეულ რაოდენობას. ე.ი. იგულისხმება, რომ რაღაც ხდება და იმას რაც ხდება ჰყავს რეალური მონაწილენი (აქტანტები) ე.ი. საგნობრივ-ხდომილებრივი ფონი შეიცავს როგორც ხდომილებათა, ისე პოტენციურ აქტანტთა უსასრულო რაოდენობას.

ეს კი ნიშნავს, რომ რეფერენტული სიტუაციის გამოყოფა გულისხმობს ამა თუ იმ ხდომილების გამოყოფას იმ საგნებთან ერთად, რომლებიც ამ ხდომილების მონაწილეთა როლში გამოდიან. მაგრამ რეფერენტული სიტუაციის გამოყოფა საგნობრივ-ხდომილებრივი ფონიდან, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს რეფერენტულ სიტუაციასა და აღნიშნულ ფონს შორის კავშირის გაწყვეტას. რეფერენტული სიტუაცია დაკავშირებულია საგნობრივ-ხდომილებით ფონთან, რომლის წიაღშიც იგი გამოიყო, ნომინაციური ქვეტექსტით.

ავიღოთ მაგალითი “რა მშვენიერი ამინდია!” სიტყვა “ამინდის” ექსპლიციტური ხმარება გულისხმობს, რომ არსებობს ისეთი, რაც ამინდია – ის ბუნება, რომელიც ჩვენს გარშემოა, ატარებს გარკვეულ სახეს და ამ სახეს ვუწოდებთ “ამინდს”. უნდა არსებობდეს ე.წ. “ეგზისტენციალური პრესუპოზიცია” – რომ ლაპარაკი შევძლოთ. არდა ამისა ამინდი შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი (ესაა ამ ლექსემის ძირითადი დისტრიბუცია). ეს, ასე ვთქვათ ლექსიკური პრესუპოზიციაა – ის, რასაც გულისხმობს თვით სიტყვის სემანტიკა. ამ ორი პრესუპოზიციის გარდა, რეფერენტული სიტუაცია გულისხმობს აგრეთვე სხვა სახის პრესუპოზიციებსაც –

არაეგზისტენციალურს, არალექსიკურს. მაგალითად, აქამდე ამინდი სხვანაირიც შეიძლება ყოფილიყო და სხვა. მას პირობითად შეიძლება "სიტუაციური პრესუპოზიცია" ვუწოდოთ.

ამრიგად: რეფერენტული სიტუაცია დაკავშირებულია საგნობრივ-ხლომილებით ფონთან და უფრო ფართოდ სამყაროსეულ ფონთან თავისი ნომინაციური ქვეტექსტით, ხოლო ეს უკანასკნელი გულისხმობს პრესუპოზიციათა და იმპლიკაციათა სისტემას (ტერმინებს "პრესუპოზიცია" და "იმპლიკაცია" საერთოა აქვთ ის, რომ არც ერთი მათგანი არ არის გამოხატული ექსპლიციტურად, ორივე იმპლიციტურია, ორივე ეკუთვნის ქვეტექსტს, განსხვავება კი მდგომარეობს იმაში, რომ პრესუპოზიცია – ესაა ქვეტექსტი, რომელიც წარსულსა და აწმყოს ეკუთვნის, იმპლიკაცია კი მომავალს).

როგორც პრესუპოზიცია, ისე იმპლიკაცია შეიძლება იყოს არა მარტო ნომინაციური, არამედ კომუნიკაციური ხასიათისაც – შეიძლება ვილაპარაკოთ არა მარტო ნომინაციურ, არამედ კომუნიკაციურ ქვეტექსტებზეც.

§4. პრესუპოზიციის ტიპები

პრაგმატული მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საინტერესო საკვლევ ობიექტს წარმოადგენს პრესუპოზიცია, რომელსაც არა მარტო პრაგმატული, არამედ სემანტიკური კუთხითაც განიხილავენ (Lyons J. 1998; Leech 19990; Levinson S. 1992 etc.). ამიტომ, ეს საკითხი მკვლევართა შორის დიდ კამათს იწვევს. პირველი პრობლემა, რომელმაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია არის ის, თუ რა კავშირშია მეცნიერების ეს ორი დარგი ერთმანეთთან, ემთხვევა მათი კვლევის ობიექტები, თუ რადიკალურად განსხვავებულია ისინი. ფაქტია, რომ პრაგმატიკა უფრო ფართოდ და გასაგებად ხსნის პრესუპოზიციის არსსა და მნიშვნელობას, ამიტომაც პრესუპოზიციის საკითხმა გამოიწვია ყველაზე დიდი გამოხმაურება და ინფორმაციათა დიდი რაოდენობა ამ საკითხთან დაკავშირებით მოიპოვება.

მასალების განხილვისას ჩემი ყურადღება ყველაზე მეტად მიიპყრო პრესუპოზიციის როლმა და მნიშვნელობამ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ვიდრე უშულოდ საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია პრესუპოზიციის მოკლე განმარტება წარმოვადგინო. პრესუპოზიცია ნიშნავს წინასწარ ვარაუდს, ჩართვას, რომელიც ენის ზოგიერთ მოდელს წარმოადგენს. ფაქტიურად შეუძლებელია რომელიმე წინადადების წარმოთქმა გარკვეული სახის ვარაუდის გარეშე და აქედან გამომდინარე პრესუპოზიციის გამოუყენებლად. პრესუპოზიცია არის მექანიზმი, რომელიც გამოიყენება ბრმად (ნაგულისხმევია), ვარაუდის შესაქმნელად მაშინ, როცა ზუსტი მტკიცება რაღაცას აშკარად გამოხატავს. უმარტივესი მტკიცებაც კი პრესუპოზიციას შეიცავს. განსხვავება ვარაუდსა და მტკიცებას შორის არის ის, რომ

ეს უკანასკნელი საკომუნიკაციო ტიპია, რომლის მართვაც შესაძლებელია მაშინ, როცა ვარაუდი ქვეცნობიერ პროცესს წარმოადგენს.

პრესუპოზიციათა ორ ტიპს განასხვავებენ: “ზუსტს” (სწორს), რომელიც საყოველთაო ცოდნაზეა დაფუძნებული და “არაზუსტს” (ყალბს), რომელიც ფარულ ანუ შენიღბულ ცოდნას ეყრდნობა.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

◆ The sun shines (მზე ანათებს)

წინადადებაში წარმოდგენილია ისეთი საგანი, რომელიც ყველასათვის ცნობილია. ეს არის “მზე” მისი ერთ ერთი დამახასიათებელი თვისებაა “ნათება”. საყოველთაოდ მიღებული ცოდნითა და შეთანხმებით ეს ფაქტები ნამდვილია და ამდენად ამ წინადადებების პრესუპოზიცია არის ზუსტი, სწორი, რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული.

ახლა ყურადღებით დავაკვირდეთ მეორე მაგალითს:

◆ Why did you steal the money? (რატომ მოიპარე ფული?)

წინადადებაში ნაგარაუდებია ფულის რაღაც რაოდენობა, რომელიც “შენ” მოიპარე და “შენ” გქონდა მიზეზი “რატომ” ჩაიდინე ასეთი საქციელი. ექვს სიტყვაში ოთხი ვარაუდია. გაცილებით მეტი ვარაუდი იქნებოდა თუ უფრო ღრმად გავაანალიზებთ ამ წინადადებას. ასე მაგალითად, ფაქტია რომ ფული არსებობდა, მას ჰყავდა კანონიერი მეპატრონე, აქვეა აგრეთვე ქონების ცნება, ლოგიკა და ა.შ. ვარაუდები, როცა ისინი ნამდვილია, როგორც შეთანხმებული ფაქტები და ჩვენებები, შეიძლება ჩაითვალოს ზუსტად და მისაღებად, ხოლო როცა არარეალურია, ფაქტებზე არ არის დაფუძნებული, ან კიდევ კითხვითი წინადადების სახითაა წარმოდგენილი, მაშინ ისინი შეიძლება არაზუსტ, მცდარ პრესუპოზიციებად მივიჩნიოთ.

ინგლისელმა ლინგვისტმა ს. მეიმ განიხილა ზემოთ აღნიშნულ პრესუპოზიციათა ორი ტიპი— “ზუსტი” და “ყალბი” და შემდეგ დასკვნამდე მივიდა:

- “ნამდვალი” პრესუპოზიცია მოსაუბრის მოუფიქრებელ ვარაუდზეა დაფუძნებული. ეს ვარაუდი მოსაუბრისა და მსმენელისათვის ერთი და იგივეა. აქედან გამომდინარე პრესუპოზიციის ამ ტიპს შეგვიძლია “ზუსტი” “არასადისკუსიო” ვუწოდოთ.

- ის ვარაუდი, რომელიც სხვადასხვაა მოსაუბრისა და მსმენელისათვის, შეიძლება მიეწინიოთ პრესუპოზიციის “ყალბ” ტიპად.

წინადადებები, რომლებსაც ახლა განვიხილავთ სხვადასხვა ტიპის პრესუპოზიციებს შეიცავენ, ფრჩხილებში კი შესაბამისი ვარაუდებია წარმოდგენილი. შევეცადე მაგალითებში ძირითადად ის პრესუპოზიციები ყოფილიყო, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად გამოიყენება.

უმარტივესი პრესუპოზიციებიც კი საშუალებას აძლევს მკითხველს გამოიკვლიოს რა სახის ვარაუდია მოცემული ამა თუ იმ წინადადებაში. შესაძლოა ზოგიერთი მაგალითი უმნიშვნელოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ ისინი მაინც საინტერესოა, რადგან მათში გადმოცემულია ის მრავალფეროვნება, რომელიც ყოველდღიური ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი.

- ◆ თქვენ ყოველთვის. . . (თქვენ განმეორებით აკეთებთ რაღაცას).
- ◆ ნება მომეცი გაეგზავნო შენი საბუთები (ჩემი ვარაუდით ვიცი რომ შენ გაქვს საბუთები და რა სახისაა ისინი).
- ◆ თუ შენ ამას სწორად შეხედავ . . . (ჩემი აზრით, შენ მცდარი გზა გაქვს არჩეული).
- ◆ შენ აუცილებლად უნდა გამოიყენო ეს შესაძლებლობა (არის რაღაც შესაძლებლობა).
- ◆ შემიძლია შემოგთავაზო ჩემი შეხედულება X-ის შესახებ

(ჩემი შეხედულება მაქვს X-ის შესახებ და ვაპირებ შენც მოგახვიო იგი).

- ◆ მნიშვნელოვანი ობიექტი X-ია (არის სხვა ობიექტებიც, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ X-ია მნიშვნელოვანი).
- ◆ X-მა დაკარგა მოტივაცია (იყო მოტივაცია, რომელიც X-ს ჰქონდა).
- ◆ მას სურს, რომ გამყიდველი წავიდეს (არის გამყიდველი და ვიცი რა სურს “მას”).
- ◆ მინდა განვიხილო საკითხი, რომელიც X-ს ეხება (არის საკითხები, რომლებიც X-ს ეხება და პიროვნება, ვისთანაც ამ საკითხის განხილვა შეიძლება).
- ◆ მსურს შენ გააკონტროლო X-ის ქმედებები (X წადის რაღაც ქმედებებს და ჩემი ვარაუდით შენთვის ცნობილია ისინი).

◆ რეალური შედეგები შემდეგი... (შესაძლებელია არსებობდეს არარეალური შედეგებიც, მაგრამ მოსაუბრე ყურადღებას მხოლოდ რეალურზე ამახვილებს).

◆ რამდენად ცუდი პირობებია დიუმბაში (დიუმბაში იყო პირობები, პირობები იყო ცუდი, არსებობს დიუმბა).

- ◆ რა რეაქცია გაქვთ ამის მიმართ? (გაქვთ რეაქცია რაღაცის მიმართ).
- ◆ რას გრძნობს ის X-ის მიმართ?(ის გრძნობს რაღაცას X-ის მიმართ).
- ◆ სად წავიდნენ ისინი ხუთშაბათს? (“ისინი“- გარკვეული ჯგუფია, “ხუთშაბათი“ კი ზუსტი დღეა).
- ◆ როდის დაბრუნდებით X-დან? (თქვენ მიდიხართ X-თან და ნავარაუდევია, რომ აუცილებლად დაბრუნდებით).

ამ თავში შევეცადე წარმომედგინა პრაგმატული მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საკვლევი ობიექტის, პრესუპოზიციის ერთი

საინტერესო ასპექტი, კერძოდ, პრესუპოზიციები, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ცხადია, ჩემს მიერ განხილული მასალა სრულ და ამომწურავ პასუხს ვერ იძლევა ყველა იმ კითხვაზე, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგება, მაგრამ იგი პირველი ცდაა, რომელიც კონკრეტული მასალის საფუძველზე მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის პრესუპოზიციათა მრავალფეროვნებაზე.

დასკვნა

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სემანტიკა და კომუნიკაცია განუყოფელი ცნებებია. თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის მიზანი არის კომუნიკაცია, ინფორმაციის მწოდება, სემანტიკა ინფორმაციის მიწოდების სისტემურ გზას იკვლევს.

თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა კონცენტრაციას ახდენს ადამიანზე, როგორც სუბიექტზე, ამრიგად, ადამიანი ანუ სუბიექტი დანახულია ენობრივი თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ის ამბობს, თანამედროვე ლინგვისტიკას თამამად შეიძლება ეწოდოს ანთროპოცენტრიული ლინგვისტიკა, მაგრამ ანთროპოცენტრიზმი და ადამიანზე ორიენტირება მხოლოდ XX საუკუნის პრეროგატივას არ წარმოადგენს. იგი თვით სოსიურისათვის არ იყო უცხო. თანამედროვე ლინგვისტიკა უფრო ფაქტებზეა ორიენტირებული, ვიდრე საკუთრივ ადამიანზე. ბრასელი მიიჩნევდა, რომ სამყარო ფაქტების კრებულს წარმოადგენდა, ადამიანს ძალუძს აღიქვას მხოლოდ და მხოლოდ აღქმადი ფაქტები, მეტაფიზიკა მას არც აინტერესებს.

ეს მოსაზრება ჭეშმარიტების პრობლემატიკის ანალიზით შეიძლება დავამტკიცოთ. ონტოლოგიურად იგი აღნიშნავს ნამდვილს და უპირისპირდება მოწვევებებს, ყალბს, ილუზიურს. ამ აზრით ჭეშმარიტება იგივეა, რაც სინამდვილე, რაც ნამდვილად არსებობს.

გნოსეოლოგიაში კი ჭეშმარიტების ცნებას სულ სხვა შინაარსი აქვს. იგი ახასიათებს არა თვით სინამდვილეს, არამედ ცოდნას მასზე. ჭეშმარიტება ცოდნის თვისებაა, მხოლოდ იგი შეიძლება იყოს

ჭეშმარიტი. იგი არც საგნის თვისებაა. საგანი არსებობს ან არარსებობს, მაგრამ იგი არც ჭეშმარიტია და არც მცდარი.

ჭეშმარიტება არც აღქმის თვისებაა, აღქმა საგნის უშუალო განცდაა, იგი გეიწვენებს იმას, რაც წვენ უშუალოდ გეძლევს, მაგრამ არა იმას, რაც ობიექტურად არსებობს. აღქმა ახასიათებს საგანს, რომელიც მე უშუალოდ მეძლევს, ჩემთან მიმართებაშია, მაგრამ არაფერს მეუბნება იმაზე, როგორია საგანი თავისთავად, ჩემთან მიმართების გარეშე. აღქმა ყოველთვის ისეთია, როგორიც უნდა იყოს. ეს ცალსახად განპირობებულია ინდივიდის გრძნობის ორგანოების თავისებურებით და გარემო პირობებით.

ჭეშმარიტება ცოდნის თვისებაა. ამგვარად, მე აღვიქვამ ფაქტს იმენად, რამდენადაც გამაჩნია გარკვეული ცოდნა მის შესახებ. ის ჩემთვის ჭეშმარიტია.

ადამიანის გონი კი ქმნის ენას, იგი იდეალურია, მაგრამ განივთებული და რეალიზებულია მატერიალურში. მატერიალიზაციის ფორმა მეტყველებაა. მეტყველება კომუნიკაციის რეალური პროცესია. ინფორმაციის სისტემატიზაცია კი მხოლოდ სემანტიკის პეროგატივაა.

პრესუპოზიცია პრაგმატიკული დასკვნის განსაკუთრებული სახეობაა. იგი გარკვეულ კონტექსტუალურ ვარაუდს ეყრდნობა და განაპირობებს კომუნიკაციური აქტის მონაწილეთა ურთიერთგაგებას.

პირველი ფილოსოფოსი, რომელმაც პრესუპოზიციის რამდენიმე სახე მოგვცა იყო ლოგიკის არქიტექტორი — გ.ფრეგი.

— ფრაზები და ტემპორალური დამოკიდებული წინადადებები ხშირად თავისთავად ატარებს პრესუპოზიციას.

— წინადადება და მისი უარყოფითი ვარიანტები ერთსა და იმავე პრესუპოზიციას ინაწილებს.

— იმ მიზნით, რომ დავამტკიცოდ წინადადება სწორია თუ მცდარი, მისი პრესუპოზიცია უნდა იყოს მართალი ან თუნდაც დამაკმაყოფილებელი.

გ.ფრეგეს საწინააღმდეგოდ, ბრასელმა წამოაყენა აღწერილობითი თეორია, რომლის ერთ-ერთი უპირატესობა ვგრეთწოდებულს ორაზროვნებაა.

1950 წელს ს.სტროსონმა შემოიტანა აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა. გ.ფრიგის მსგავსად იგი თვლიდა, რომ უარყოფითი წინადადება, წარმოთქმისას ინარჩუნებს თავის პრესუპოზიციას, მაშინ როცა რასელი რთული ლოგიკური ფორმების საშუალებით გამოყოფდა უარყოფის ორ ფორმას (ფართო და ვიწრო მასშტაბის უარყოფა).

პრაგმატული პრესუპოზიცია განსხვავებული, პრაგმატული დასკვნების დამოუკიდებელი და განსხვავებული კლასია, ანუ ეს არის ურთიერთობა, რომელიც მთქმელსა და წინადადების შესაფერისობას შორის არსებობს.

პრობლემატური საკითხებია:

ა) პრესუპოზიციის ანულირებადობა: John does not know that Bill came. როცა ზმნა მეორე ან მესამე პირია, მაშინ დამატება ყოველთვის წარმოადგენს პრესუპოზიციას » Bill came. მაგრამ თუ ზმნა პირველი პირია და უარყოფით ფორმაშია, მაშინ პრესუპოზიცია იკარგება: I do not know that Bill came » არ არის Bill came.

ბ) პრესუპოზიციის კომპოზიციური პრობლემა (The projection problem). ერთის მხრივ, პრესუპოზიციაში შენარჩუნებულია იმ ლინგვისტურ კონტექსტში, სადაც გარდაუვალ შედეგს არ შეუძლია არსებობა, მეორეს მხრივ, იგი იმ კონტექსტში ქრება, სადაც გარდაუვალი შედეგი სახეზეა. კონტექსტის ის სახე, სადაც პრესუპოზიციას ძალუძს შენარჩუნება არის უარყოფა და and, or, if, then კავშირიანი რთული ქვეწყობილი წინადადებები.

პრესუპოზიცია ეს არის კატეგორია, რომელსაც ორი სხვადასხვა თეორია სწავლობს, ლოგიკური თეორია, რომელიც ვარაუდს თეორემასთან მიმართებაში სისწორე-მცდარობის თვალსაზრისით

შეისწავლის, ხოლო პრაგმატული თეორია ვარაუდს სტატუსის თვალსაზრისით ხსნის და იგი მოქმედის ან მსმენელის რწმენაზეა დაფუძნებული. პრაგმატული თეორიის მიხედვით მნიშვნელოვანია არა ის, რაც მოქმედს სჯერა, არამედ, ის რასაც ამბობს.

პრესუპოზიციის პრაგმატული თეორიები ორ ძირითად კონცეფციას განასხვავებს: შესაფერისობასა და ორმხრივ ცოდნას.

მაგალითად: გამოთქმა A პრაგმატულად ვარაუდობს გამოთქმა B-ს. A არის შესაფერისი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ B კომუნიკაციის მონაწილეთათვის ორმხრივად კარგადაა ცნობილი.

აქედან გამომდინარე, პრესუპოზიცია, სხვა არაფერია თუ არა ტექსტის სემანტიკური ანალიზის საშუალება, რომელიც ხსნის გამონათქვამთა შორის არსებულ კავშირს და ემყარება ტექსტში შემავალ სიტყვათა, სიტყვათშეთანხმებათა და წინადადებათა სავარაუდო მნიშვნელობას. უნდა ითქვას, რომ წარმოუდგენელია ენა, რომელშიც პრესუპოზიციათა სხვადასხვა ტიპები არ გვხვდებოდეს.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ლებანიძე გ. ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბილისი, 1998.
2. ლებანიძე გ. კომუნიკაციური ლინგვისტიკა, ენა და კულტურა, თბილისი, 1997
3. ნებერიძე გ. ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი 1999.
4. Азнаурова Э. С. Слово как Коммуникативная Эдиница Языка-М. 1984
5. Ахманова О. С. Словарь Лингвистических Терминов-М, Советская Энциклопедия, 1966.
6. Ахманова О. С. Эмпирическая База Семантического Описания В Лингвистике-М. 1982
7. Бенвенист Э. Уровни лингвистического анализа—В кн. : Новое в лингвистике. – М.: Прогресс 1965, вып. III.
8. Бюлер К. Теория языка. М., 1934/1993
9. Волошинов В. Н. Марксизм и Философия языка. Л., 1930
10. Гумбольдт В. О. Различия человеческих языков и его влияния на духовное различие человечества М. 1985.
11. Демьянко В. З. Англо-русские термины по прикладной лингвистике и автоматической обработке текста, вып. 2. М., 1982.
12. Колшанский Г. Контекстная Семантика-М. 1980.
13. Локк Г. Опыт о человеческом раздумье. МЮ. 1998.
14. Степанов С.О. Методы и принципы современной лингвистики М.1975.
15. Падучева Е. В. Семантические исследования. Семантика времени и вида в русском языке. Семантика нарратива. М. 1996.
16. Alwood T. On the Distinction between Semantics and Pragmatics-New York, 1981.
17. Antley K. Foundations of language- New York, 1974.
18. Austin J.L. How to do things with words. Oxford Clarendon Press 1962.
19. Banfield A. Unspeakable Sentences. Narration and Representation in the Language of Fiction, Boston, Routledge & Kegan Paul. 1982.
[Banfield, 1982] A. Banfield. Unspeakable Sentences. Narration and Representation in the Language of Fiction, Boston, Routledge & Kegan Paul, London, 1982.
[Banfield, 1995] A. Banfield. Phrases sans paroles. Seuil, Paris, 1995.
- de Beaugrande, R. and Dressler, W. Introduction to Text Linguistics. London: Longman. 1981.
20. Benveniste E. 'La nature des Pronoms', Problemes de Linguistique Generale, vol. 1, Gallimard, Paris, 1966.
21. Bar Heller, Aspects of Language. Jerusalem: Magnes 1976.

22. Bierwisch M. "On certain problem of semantic representation". *Foundations of Language* 3. 1969.
23. Birch D. and O'Toole M (eds.) *Functions of Style*, London. 1988.
24. Bloom P. Peterson M. Nadel L. Garrett M (eds.) *Language and Space*. MIT Press, Cambridge, MA. 1996.
25. Bloom P. Peterson M. Nadel L. & Garrett M. F. (eds) *Language and Space*. Cambridge, Mass: The MIT Press 1996.
26. Bloomfield L. *Secondary and tertiary responses of Language-* New York. 1944.
27. Bloomfield L. *Language*. London: Allen & Unwin (American edition New York: Holt; Rinehart & Winsdon 1933)
28. Bolinger D. *The atomization of meaning—New Jersey*, 1967.
29. Bonnet Y. *Linguistic Behavior*. Cambridge University Press, 1976.
30. Boyd. J. and J.P. Thorne. *The semantics of modal verbs*. *Journal of Linguistics* 5.57-74. 1969.
31. Brown G. *Speakers, Listeners and Communication*. Cambridge University Press. 1995.
32. Brown G. *Context creation in discourse understanding*. In K. Malmkjaer and J. Williams (esa.). *Context in Language learning and Language Understanding*. Cambridge: Cambridge University Press. 1998.
33. Brown G. (in preparation) *Verbs of motivation and subjectivity*. Cambridge, 1964.
34. Brown R. and A. Gilman. "The pronouns of power of solidarity." *Style in Language*. Ed. T.' Sebeok. Cambridge, Mass.: MIT Press. 1964.
35. Bruner J. S. *Actual Mind, Possible Worlds*, Cambridge, MA: Harvard University Press. 1986.
36. Bublitz W. *Englische Pragmatik*. Berlin: Erich Schmidt. [ch.11] 2001.
37. Bull W. E. *Time, tense and the verb*. Berkeley and Los Angeles: University of California Press. 1960.
38. Bühler K. *Theory of Language*. (translated into English by D. Fraser Coodwin) Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing.
- Campos Pardillos, M.A. "Deixis as a reference to an alleged shared situation in persuasive discourse." *Revista Alicantina de Estudios Ingleses* 8, 1995. (1934/63).
39. Bühler K. *Sprachtheorie*. Yena: Fisher (Reprinted Stuttgart: Fisher, 1934.
40. Carnap R. *Introduction to Semantics*. Cambridge, Mass MIT. Press 1942
41. Carnap R. *The Methodological character of theoretical concepts*". In H feigl & M Scriven. 1956.
42. Carston G. *Reference to kinds in English*, Ph.D. Dissertation, University of Massachusetts, Garland, New York. 1980.
- [Carston, 1994] R. Carston. *Metalinguistic negation and echoic use*. ULC Working Papers in Linguistics, (6): 1994.
43. Carter R. A. and Nash W. *Seeing Through Words*. Oxford: Blackwell. 1990.
44. Carter R.A. et al. *Working With Texts*. London: Routledge and Kegan Paul. 1997.

45. Chierchia Gennaro and Sally McConnell-Ginet: *Meaning and Grammar*, MIT Press, Cambridge, Mass. 1990
47. Cherry C. on *Humen Communication*. Cambridge Mass: M. I. I. Press. New York. 1957.
48. Chomsky N. *Syntactis Structure*. The Hague: Mouton.
49. Chomsky N. *Language & Mind*. New York. 1968.
50. Chomsky N. *Reflection of Language*. London. 1976.
51. Chomsky N. *Topics in the theory of generative grammar*—Hague, 1965.
52. Clark Herbert. H. and R Schreuder: unpublished ms. 'Demonstrations and Demonstratives' 1957.
53. Compleston FA *history of Philosophy*, vol. 2 London. Burns Dates & washbourne. 1953.
54. Cook G. *Discourse and Literature*. London: Routledge and Kegan Paul. 1994.
55. Crystal D. *The English Tore of Voice* . London 1975.
56. Crystal D. *Specification and English tenses*. *Journal of Linguistics* 2. 1966.
57. Crystal D. *A Dictionary of Linguistics and Phonetics* Blackwell, Oxford. 1985.
58. Eggins S. *An Introduction to Systemic Functional Linguistics*. London: Pinter Publishers. 1994.
59. Fauconnier G. *Mental Spaces*. MIT Press, Cambridge, Mass. 1985.
60. Fauconnier G. *Mental Spaces*. Cambridge: Cambridge University Press. 1985.
61. Fillmore C. J. *Topics in lexical semantics*. In R. W. Cole (ed.) *Current Issues in Linguistic Theory*. Bloomington: Indiana University Press. 1977.
62. Fillmore C. J. *Pragmatic and the Description of discourse*. In P. Cole (ed.) *Radical Pragmatics*. New York: Academic Press. 1981.
63. Fillmore C. J. *Towards a descriptive framework*. In R. J. Jarvella and W. Klein (eds.) *Speech, Place and Action*. London: John Wiley. 1982.
64. Fodor Y. D. *Semantics*. New York. 1977
65. Fowler R. *Linguistic Criticism*. Oxford: Oxford University Press. 1986.
66. Frege G . *Logical structure of the language*-London, 1974.
67. Gardiner A. H. *The theory of speech and Language*. Oxford: Clarendon Press. 1932.
68. Garvin P.L. *A Prague School Reader in Aesthetics*. Bloomington, Ind. Indian University Press. 1955.
69. Geckerler H. *Strukterelle Semantic and Wolbefatheorie*/Munchen: chicago press. 1971.
70. Goodwin C. and A. Duranti. "Rethinking context: an introduction." A. Duranti and C. Goodwin. Eds. *Rethinking Context*. Cambridge University Press. 1992.
71. Graesser, Arthur C.; Singer, Murray; & Trabasso, Tom (1994), 'Constructing inferences during Narrative Text Comprehension,' *Psychological Reviews*.
72. Green J. *Psycholinguistics*. Penguin—Harmondsworth. 1972.

73. Grice H. P. "Meaning" *Philosophical Review* 67(reprinted in Zabeeh 1974) 1957.
74. Grice H. P. *Logic and conversation*-New York, 1975.
75. Halliday, M. A. K. *Class in relation to the axes of chain and choice in language*. *Linguistics*, 1963.
76. Halliday M. A. K. *Notes on transitivity and theme in English*. *Journal of Linguistics*, 1967.
77. Halliday M. A. K. *Exploration in the Functions of Language*. London: Arnold. 1973.
78. Halliday M. A. K. , *An Introduction to Functional Grammar*. (2nd edition). London: Arnold. m1994. [1985].
79. Halliday M. A. K. "Categories of theory of grammar" in Kress, G. R. (ed.) 1961
80. Halliday M. A. K. "Descriptive linguistics in literary studies" in Freeman. D. (ed.) (1970) *Linguistics and Literary Style* Holt, Reinhart and Winston: London, 1964.
81. Halliday M. A. K. *Cohesion in English* Longman: London (with R.Hasan). 1976.
82. Harris Z. *Methods in Structural Linguistics*-Chicago, 1951.
83. Hawes. G. W. *Primate communication an The gestural origin of language*" 1973.
84. Herskovits A. *Language and spatial cognition*. Cambridge University press, Cambridge. 1986
85. Hill A. A. *An introduction to linguistic structures*. New York: Harcourt Brace. 1958.
86. Huddleston R. D. *Predicate complement constructions in English*. (To appear in *Lingua* 23.) 1969.
87. Hunn E. *Columbia Plateau Indian place names: what can they teach us?* *Journal of Linguistic Anthropology* 6(1): 3-26 1993.
88. Jacobson R. *Typological studies and their contribution to historical comparative linguistics—Oslo*, 1958.
89. Jammer M. *Concepts of Space: the history of theories of space in Physics*. Harvard University Press, Cambridge, MA 1954.
90. Jespersen O. *Philosophy of Grammar*-New-York, 1958.
91. Jespersen O. A. *Modern English grammar on historical principles*. Parts 3, 4, 5. Copenhagen: Munksgaard. 1927, 1931, 1940.
92. Joia A. and Stenton A. *Terms in Systemic Linguistics: A Guide to Halliday* Batsford, London. 1980.
93. Joos M. *The English verb*. Madison: University of Wisconsin press. 1964.
94. Kaplan David: ' Demonstratives,' in Joseph Almong, John Perry, and Howard Wettstein (eds.), *Theme from Kaplan*, Oxford University press. 1989.
95. Katz J.J. & Fodor J. A. *The structure of a semantic theory*. 96. Kempson R. *Marked and Unmarked meanings—London*, 1980.
97. Kiefer F. *Studies in Syntax and semantics*. 1960.

98. Kress G. R. (ed.) *Halliday: System and Function in Language* Oxford University press:London. 1976.
99. Kreuz Roger J. & MacNealy Mary Sue (eds.) *Three Obstacles in Empirical Research on Aesthetic and Literary Comprehension*, Norwood, NJ: Ablex. 1996.
100. Lakoff G. *Linguistics and Natural logic*. University of Michigan. 1970.
101. Lakoff R. *A syntactic argument for negative transportation*-Chicago, 1969.
102. Landau B. Jackendoff R. "What" and "Where" in spatial language and spatial cognition. *BBS* 16(2): 1993.
103. Leech G. M. *Semantics*. Penguin. 1990.
104. Lenneby E.H. *The Biological Foundation of Language*. New York: Wiley. 1967.
105. Levinson S. *Pragmatics*-Cambridge, 1983.
106. Levinson S. C. *Pragmatics*. Cambridge: CUP. [ch. 6] 1983.
107. Levinson S. C. *Language and Cognition*. Cognitive Anthropology Research Group, Max Planck Institute, Nijmegen, Working Paper 1992.
108. Levinson S.C. Frames, of reference and Molyneux's question. in P. Bloom, M. A. Peterson, L. Nadel and M. F. Garrett (eds.).1996.
109. Levinson S C Frames of reference and Molyneux's question: crosslinguistic evidence. In: Bloom et al. 1996.
110. Levinson S. C. In preparation *Space in Language and Cognition: Explorations in Linguistic Diversity*. Cambridge University Press, Cambridge, 1996.
111. Levinson S. C. Wilkins D. (eds.) In preparation *Grammar of Space: Towards a Semantic Typology*. Cambridge University Press, Cambridge,1996.
112. Levinson S. C. *Pragmatics*, Cambridge University Press, Cambridge, England. 1983.
113. Lewis D. "Adverbs of quantification". 1975.
114. Lounsbury F. G. *The structural analysis of kinship semantics*.1981.
115. Lyons J. *Structural Semantics*—Oxford, 1963.
116. Lyons J. Towards a "notional" theory of the "Parts of Speech" "*Journal of Linguistics*", New York, 1996.
117. Lyons J. *Semantics*. Cambridge University Press, Cambridge, 1977.
118. Lyons J. *Semantics*. vol.1. Cambridge University Press. 1977.
119. Lyons J. *Linguistic Semantics*. Cambridge University Press. 1995.
120. Lyons J. *New Horizon in Linguistics*, Harmonds—north: Penguin. 1970.
121. Lyons J. *Human Language* . 1972.
122. Malmkjaer K. and J. Williams (eds.) *Context in Language Learning and Language Understanding*. Cambridge University Press. 1998.
123. McIntosh A. Predictive statements. In memory of J. R. Firth, ed. by C. E. Bazell al., 303-20. London, Longman. 1966.
124. Mathews P. H. Review of Brown. (1973 *Journal of Linguistics* II.) 1975.
125. Miller G. A. Chomsky N. *Finitary models of English Language*—New York, 1963.
126. Miller G. A. *Language and communication*. New York. Mc. Graw Hill. 1951.

127. Mitchel J. E. *The Formal Semantics of Point of View*. Ph. D. Dissertation, University Of Massachusetts. 1986.
128. Morgan J. *On the treatment of presupposition in transformational grammar-Chicago*, 1969.
129. Morris Ch. *Writings on general theory of signs.- Paris*, 1971.
130. Motsch W. *Situational context and illocutionary force-Cambridge*, 1980.
131. Newmark L. *Learning theory and symbolic process-New-York*, 1960.
132. Nida E. *Componental analysis of meaning-Paris*, 1975.
133. Nunberg, Geoffrey : 'The Non-uniqueness of Semantic Solutions: Polysemy', *Linguistics and Philosophy* 3, 1. 1979.
134. Palmer F. R. *A Linguistic study of the English verb*. London: Longmans. 1965.
135. Palmer F. R. *The semantics of the English verb*. *Lingua*. 1967.
136. Palmer. F. R. *Semantics*. Cambridge. 1976.
137. Parret H. *Language and Context-Cambridge*, 1980.
138. Partee B. H. 'Binding Implicit Variables in Quantified Contexts,' in *Papers from the 25th Regional meeting, Chicago Linguistics Society: parasession on language in Context*, Chicago Linguistics Society, Chicago. 1989.
139. Peirce C. S *The philosophy of Pierce*. 1931.
140. Peirce C. S. *Collected Papers* . Harvard U. P. 1940.
141. Peterson E. Danziger E. Wilkins D. Levinson S. C. Kita S. Senft G. *Semantic Typology and spatial conceptualization*. *Language*, 1998.
142. Popper K. *The logic of Scientific Discovery*. New York. 1968.
143. Pozner R. *Semantics and Pragmatics of Sentence connectives in natural language-London*, 1980.
144. Quine W. V. *Word and object*. Cambridge. 1960.
145. Reichenbach H. *Elements of Symbolic Logic* . London & New York. 1947.
146. Robins R. *Syntactic analysis-Cambridge*, 1961.
147. Russel B. *An Inquiry into meaning and truth*. London, 1940
148. Sapire P. *Selected writings in Language , Culture and personality*. 1949.
149. Saussure F. *Course Linguistique. Generale*. Paris, Payot, English. 1916.
150. Schmidt F. *Logik der Syntax-Berlin*, 1962.
151. Searle J. R. *Speech acts*. London and New York. Cambridge U. Press. 1969.
152. Strawson P. *Intention and convention in speech acts-New York*. 1950.
153. Weinrich U. *On the semantic Structure of Language*. Paris. 1958.
154. Winograd T. *Towards a procedural understanding of semantics Bruxelles*. 1976.

1. Asimov I. Lucky Starr and moons of Jupiter. _New York, 1972.
2. Collin W. The Woman in White. Penguin books. 1994.
3. Kranz J. I'll Take Manhattan. New York, 1994.
4. Lawrence D. H. Lady Chatterley's Lover. London, 1997.
5. Lawrence D. H. Sons & Lovers. Penguin books. 1995
6. Lawrence D. H. Women in love. Penguin books. 1996
7. London J. Martin Eden. New York, 1982.
8. Hemingway E. A Canary for one. Moscow, 1979.